

# ჩვენს წინაშეა გაცხადებული

გზამკვლევი

მასწავლებლებებისათვის

2009



რედაქტორი: მანანა მიქელაძე

მხატვარი-დიზაინერი: გუბა ოჩიაური

ფოტოგრაფი: ნათელა ბრიგალაშვილი

დამკაბადონებელი: ქეთევან გოგავა

ISBN 978-9941-0-1494-9

# სარჩევი

## შესავალი

- ვისთვის არის სახელმძღვანელო განკუთვნილი ..... 9
- რა თემებს მოიცავს სახელმძღვანელო ..... 9
- როგორ არის სახელმძღვანელო აგებული ..... 9

## თავი I.

### ინკლუზიური განათლების არსი

- რა არის ინკლუზიური განათლება ..... 10
- ვისთვის არის ინკლუზიური განათლება ..... 13
  - რა არის შეზღუდული შესაძლებლობა ..... 13
  - რა არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ..... 14
- ინკლუზიური განათლების სახეები ..... 15
- ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი გარემო ..... 17
  - სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი გარემო ..... 18
  - მოსწავლეების ინდივიდუალური განსხვავებებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება ..... 18
- ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი გარემოს შექმნა და მართვა ..... 19
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები ..... 23
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლები ..... 25

## თავი II.

### ინკლუზიური განათლების პროცესი

- მოსწავლეთა სწავლის სირთულეების იდენტიფიკაცია ..... 29
- ეროვნული სასწავლო გეგმა და მისი მოდიფიკაციები ..... 30
  - სასწავლო პროგრამის გამარტივება ..... 31
  - სასწავლო პროგრამის ფორმის ცვლილება ..... 31
  - სასწავლო პროგრამისთვის განკუთვნილი დროის ცვლილება ..... 32
  - დამატებითი დამხმარე საშუალებების გამოყენება ..... 33



- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა ..... 33
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ..... 36
  - რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ..... 36
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესი ..... 37
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების ეტაპები ..... 38
  - ინფორმაციის შეგროვება ..... 39
  - ინფორმაციის დამუშავება და ჩანერა ..... 41
  - მიმართულების განსაზღვრა ..... 42
  - სკოლის ადმინისტრაციის როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდში ..... 42
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორის როლი გუნდში ..... 42
  - პედაგოგების როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდში ..... 43
  - სპეციალური პედაგოგისა და სკოლის ფსიქოლოგის როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდში ..... 43
  - მულტიდისციპლინური ჯგუფის როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდში ..... 44
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ..... 45
  - გრძელვადიანი მიზანი ..... 45
  - მოკლევადიანი მიზნები ..... 45
  - მიზნის მიღწევის გზები ..... 46
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება ..... 48
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა (გადაფასება) და განახლება ..... 50
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი და მისი შინაარსი ..... 51
  - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში ..... 52
- მოსწავლის პორტფოლიო ..... 60
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების აკადემიური და სოციალური მიღწევების შეფასება ..... 61
- ინკლუზიური განათლების პროცესის ხელშემწყობი (დამხმარე) საშუალებები ..... 63





- კომპიუტერული ტექნიკა ..... 64
- საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და საშუალებები ..... 65
- ტექნოლოგიები და საშუალებები გადაადგილებისათვის და ჯდომისათვის ..... 66
- სხვა დამხმარე საშუალებები ..... 66
- სკოლის ფიზიკური გარემოს ორგანიზება ..... 67

### თავი III.

#### სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები და სწავლების ეფექტური სტრატეგიები

- სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევები ..... 72
  - რას წარმოადგენს სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევა ..... 72
  - რა უნდა ვიცოდეთ სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევის შესახებ ..... 73
  - რა ინვესსიას სწავლის უნარის სპეციფიკურ დარღვევას
  - როგორ ხდება სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევის პირველადი გამოვლენა ..... 73
  - სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევის მქონე მოსწავლეები და მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები ..... 74
- სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევების სხვადასხვა ფორმები ..... 74
  - რა არის დისლექსია ..... 74
  - როგორ და ვის მიერ უნდა ჩატარდეს დისლექსიის დიაგნოსტიკა ..... 75
  - რატომ არის აუცილებელი დახმარება დისლექსიის დროს ..... 75
- წაკითხულის აღქმა ..... 75
- წერის უნარ-ჩვევები ..... 76
- მათემატიკური უნარ-ჩვევები ..... 76
- ყურადღების დეფიციტი, ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD) ... 77
  - რას წარმოადგენს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი ..... 77
  - ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მახასიათებლები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები ..... 78



- ვინ და როდის ახდენს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის დიაგნოსტიკას ..... 80
- განკურნებადია თუ არა ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობის სინდრომი ..... 82
- ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვები და საკლასო ოთახი ..... 83
- რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე მოსწავლის დასახმარებლად ..... 85
- სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეების სოციალური და ემოციური საჭიროებები ..... 89
- რა სახის ადაპტაცია არის საჭირო სწავლის სპეციფიური უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის ..... 90
- **გონებრივი განვითარების დარღვევები** ..... 90
  - რა არის გონებრივი ჩამორჩენილობა ..... 90
  - რა ახასიათებს გონებრივ ჩამორჩენილობას ..... 92
- **დაუნის სინდრომი** ..... 93
  - რა არის დაუნის სინდრომი ..... 93
  - რა ახასიათებს დაუნის სინდრომს ..... 93
  - დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის სწავლების სტრატეგიები ... 95
- **ცერებრული დამბლა** ..... 96
  - რა თავისებურებები ახასიათებს ცერებრულ დამბლას და როგორია მისი თანმდევი დარღვევები ..... 96
  - ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის ძირითადი სირთულეები სწავლასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ..... 97
  - ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის სწავლების სტრატეგიები ..... 98
  - ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის სწავლებისას გასათვალისწინებელი ფიზიკური გარემოს ასპექტები ..... 98
  - ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის სწავლებისას გასათვალისწინებელი აკადემიური ასპექტები ..... 99
- **აუტიზმი** ..... 99
  - რა არის აუტიზმი ..... 99
  - აუტიზმის მქონე ბავშვის სწავლების სტრატეგიები ..... 100

■ მხედველობის დარღვევები .....	101
● მხედველობის ფუნქციები .....	101
● ძირითადი სირთულეები, რომელიც სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება .....	101
● ტექნიკური მოწყობილობები .....	103
■ სმენის დარღვევები .....	103
● ძირითადი სირთულეები, რაც მოსწავლეს სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება .....	104
● კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენების ზოგადი წესები .....	105
● ჟესტური ენა .....	107
● სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სწავლების ზოგადი სტრატეგიები .....	107

## თავი IV.

### სავარჯიშოები მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებისთვის

■ კითხვის უნარი და რეკომენდაციები მისი განვითარებისთვის .....	112
● კითხვის უნარი და მისი განვითარება .....	112
● კითხვის სწავლების რამდენიმე ეფექტური სტრატეგია .....	114
● სავარჯიშოები კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად .....	114
■ წერის უნარი და რეკომენდაციები მისი განვითარებისთვის .....	118
● წერის უნარი და მისი განვითარება .....	118
● სავარჯიშოები წერის უნარის გაუმჯობესებისთვის .....	120
● წერითი დავალების შესრულების რამდენიმე ეფექტური სტრატეგია .....	125
■ მეტყველება და თხრობა .....	127
● მეტყველების განვითარება და დარღვევის ფორმები .....	127
● რამდენიმე ეფექტური სტრატეგია და სავარჯიშო მეტყველების და თხრობის უნარის განვითარებისთვის .....	130
■ მათემატიკური უნარები და რეკომენდაციები მათი განვითარებისთვის .....	135
● როგორ დავადგინოთ მათემატიკური უნარების დარღვევები .....	135



- რამდენიმე ეფექტური სტრატეგია მათემატიკური უნარების განვითარებისთვის ..... 135
- მოტორული უნარები და სავარჯიშოები მათი განვითარებისთვის ..... 136
- მოსწავლის თვითშეფასება ..... 139
- ტერმინთა განმარტება ..... 141
- ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ვებ-გვერდების მოკლე სია ..... 150
- თემატური ვებგვერდები ..... 154
- საქართველოში მომქმედი არასამთავრობო ორგანიზაციათა სია ..... 156
- გამოყენებული ლიტერატურა ..... 163

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

### ■ ვისთვის არის სახელმძღვანელო განკუთვნილი

სახელმძღვანელო განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზირებული სკოლების მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და ინკლუზიური განათლების სფეროში მომუშავე ყველა სპეციალისტისთვის. სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია წარმოდგენილია მარტივი, ადვილად აღსაქმელი ფორმით და თანაბრად საინტერესო იქნება როგორც პრაქტიკოსი მასწავლებლებისა და სპეციალისტებისთვის, ისე მშობლებისთვის.

### ■ რა თემებს მოიცავს სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო მოიცავს ყველა აქტუალურ თემას და პრობლემას, რომელიც ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების პროცესში გვხვდება. სახელმძღვანელოში აღწერილია შეზღუდული შესაძლებლობის და სწავლის უნარის სპეციფიური დარღვევების სახეები. დიდი ყურადღება ეთმობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სწავლისა და სწავლების თავისებურებების განხილვას. აგრეთვე სახელმძღვანელოში აღწერილია სწავლების სხვადასხვა ეფექტური სტრატეგია და ძალიან კონკრეტული სავარჯიშოები მოსწავლის უნარების განვითარების სტიმულირებისთვის.

### ■ როგორ არის სახელმძღვანელო აგებული

სახელმძღვანელო ინკლუზიური განათლების პრინციპებისა და სამართლებრივი ჩარჩოს მოკლე მიმოხილვით იწყება. შემდეგ განხილულია სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების სახეები და განვითარებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. თითოეული დარღვევისა, თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების აღწერას თან ახლავს სწავლების ის სტრატეგიები, რომელიც ყველაზე მეტად ეფექტურია ამა თუ იმ შემთხვევაში. იმასათვის, რომ სახელმძღვანელოში განხილული სტრატეგიები პედაგოგიურ პრაქტიკაში ადვილი დასანერგი გახდეს, მეოთხე თავში აღწერილია ის კონკრეტული სავარჯიშოები, რომელიც ხელს უწყობს ამა თუ იმ უნარის განვითარებას. სახელმძღვანელოს აგრეთვე თან ახლავს გამოყენებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, სასარგებლო ელექტრონული გვერდების მისამართები მათზე განთავსებული ინფორმაციის მოკლე აღწერით და იმ ორგანიზაციების სია, რომელნიც შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლებისა და სოციალური ინტეგრაციის საკითხებზე მუშაობენ.

### ■ რა არის ინკლუზიური განათლება

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს, ყოველგვარი დისკრიმინაციული გამოწვევის გარეშე. ბავშვის უფლებათა ამგვარ ფართო აღიარებას მხოლოდ თეორიული საფუძველი არ გააჩნია. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ სფეროებში.


სწავლისას ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. სწავლის პროცესში სირთულეები შეიძლება ექმნებოდეთ ნიჭიერ ბავშვებსაც, ქუჩის და მომუშავე ბავშვებს, ეთნიკური, კულტურული უმცირესობის და სხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლებს. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებას კი წარმოადგენს მოძებნოს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლების გზები.

ინკლუზიური განათლება, არის მიდგომა, რომელიც ცდილობს ყველა სკოლის ასაკის ბავშვის **ჩართვას** სასწავლო პროცესში, მიუხედავად მისი შესაძლებლობისა და/ან სირთულეებისა სწავლის პროცესში.

ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საკლასო ოთახში ყოფნას და თანატოლებთან ერთად გარკვეული დროის გატარებას. ინკლუზიური განათლება მოითხოვს მთლიანად სკოლის დაულალავ შრომას იმისთვის, რომ გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოდელის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და







კლასის სრულყოფილი წევრია. ის სრულად უნდა მონაწილეობდეს სასკოლო და საკლასო აქტივობებში; სკოლაში მიმდინარე აკადემიურ (მაგ. წერა, კითხვა) და არა აკადემიურ (მაგ. დასვენებებზე თანატოლებთან თამაში) პროცესებში.

ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობის აუცილებლობას მოსწავლეების სწავლების პროცესში. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების და საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება, რასაკვირველია, სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ყველას მიმართ სწავლებისა და ქცევის მართვის ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება უარყოფს ბავშვებს შორის განსხვავებულობას და მათ ინდივიდუალობას. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან სწავლების ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება, (მსგავსი ინსტრუქციები მასალის ახსნისას, იდენტური საშინაო დავალებები, თანაბარი დრო დავალების შესასრულებლად) ერთის მხრივ არა პროფესიონალური მიდგომაა, ხოლო მეორეს მხრივ, არ უზრუნველყოფს **ერთნაირ სასწავლო შედეგს ყველა მოსწავლესთან.**

შესაბამისად, განათლების სისტემაში სკოლა წარმატებულად ითვლება, თუ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური განსხვავებულობის მიმღებლობა გააჩნია და შესწევს უნარი შესაბამისი განათლებით უზრუნველყოს განურჩევლად ყველა მოსწავლე. სწორად დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პირობებში, ყველა მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის.

ინკლუზიური განათლების დანერგვა სკოლისგან გარკვეული ამოცანების გადაჭრას მოითხოვს:

- სკოლაში ჩართულმა ყველა ადამიანმა უნდა მიმართოს ერთობლივ ძალისხმევას ინკლუზიური განათლების დასამკვიდრებლად სკოლის სივრცეში;
- ინკლუზიურმა გარემომ უნდა აღიაროს და გაითვალისწინოს მოსწავლის მრავალფეროვანი საჭიროებები; სკოლამ უნდა შესძლოს სწავლის განსხვავებული სტილით და შესაბამისი სტრატეგიის გამოყენებით სწავლების უზრუნველყოფა;

- სკოლის გარემომ უნდა შესძლოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შესაბამისი მხარდაჭერა; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მოსწავლისთვის სპეციალისტების დახმარება;
- სკოლა დაინტერესებული უნდა იყოს პედაგოგების უწყვეტი პროფესიული განვითარებით და მომზადებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად;
- სკოლას უნდა ყავდეს მოტივირებული პედაგოგები, რომლებსაც უწყვეტი ურთიერთობა ექნებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებთან და უზრუნველყოფენ მშობელთა აქტიურ ჩართულობას და თანამონაწილეობას მათი შვილების სწავლის პროცესში.
- სკოლამ უნდა უზრუნველყოს მისაწვდომი ფიზიკური გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ტექნოლოგიების (კომუნიკაციისთვის, მობილობისთვის) გამოყენება.

ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია. მოსწავლეების სპეციალიზირებულ სკოლებსა და კლასებში განაწილება უნდა ხდებოდეს გამონაკლის შემთხვევებში და რეკომენდირებულია მხოლოდ მაშინ, როცა ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ჩართულობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საგანმანათლებლო თუ სოციალურ საჭიროებებს, ან როცა ეს აუცილებელია ამ ბავშვის ან სხვა ბავშვების კეთილდღეობისთვის.

ამ შემთხვევაში, მშობლებს აქვთ უფლება მიიღონ კვალიფიციური და ამომწურავი კონსულტაცია განათლების იმ ფორმის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათი შვილების საჭიროებებს, რათა **ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ.**

სკოლები, რომლებიც იზიარებენ ინკლუზიური განათლების მიდგომებს, არის დისკრიმინაციული დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლის, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის ყველაზე ეფექტური საშუალება. ინკლუზიური განათლება ინკლუზიური საზოგადოების ფორმირების აუცილებელი წინაპირობაა.

სწორედ ინკლუზიური განათლების კონტექსტში ხდება შესაძლებელი, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა მიაღწიონ პროგრესს განათლებაში და წარმატებულ სოციალურ ინტეგრაციას.



## ■ ვისთვის არის ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვის პარალელურად, იმისათვის, რომ ნათლად განისაზღვროს მოსწავლეთა რა ჯგუფი სარგებლობს ინკლუზიური განათლების მიდგომით, მნიშვნელოვანია გარკვეული ცნებების განმარტება.

### ● რა არის შეზღუდული შესაძლებლობა

სამწუხაროდ, მრავალ სკოლის ასაკის ბავშვს აღენიშნება სხვადასხვა სახის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც ორგანიზმის სხვადასხვა სისტემის ორგანული დაზიანებით არის გამოწვეული და იწვევს ადამიანის ფუნქციონირების დაქვეითებას სხვადასხვა სფეროში. მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობას მისი სამედიცინო დიაგნოზი ასახავს. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვის არსებული მდგომარეობა ქრონიკულია.

მნიშვნელოვანია, იმის ხაზგასმამა, რომ სამედიცინო დიაგნოზის არსებობა ავტომატურად არ გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის (ინვალიდობის) სტატუსს. ხშირია შემთხვევები, როდესაც გარკვეული დიაგნოზის მქონე ბავშვები (მაგალითად, ეპილეფსია და სხვა) საკმაოდ კარგად არიან ადაპტირებულნი როგორც სასწავლო გარემოში, ასევე სოციალურში.

საერთაშორისო ჯანდაცვის ორგანიზაციის კლასიფიკაციით, შეზღუდული შესაძლებლობა არის დაზიანების/დარღვევის შედეგად გამოწვეული უნარის დროებითი ან ქრონიკული შეზღუდვა ფიზიკურ ან ფსიქიკურ სფეროში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე.

საგულისხმოა, რომ ორი ერთნაირი დაზიანების და / ან სამედიცინო დიაგნოზის მქონე ბავშვს, შესაძლებელია განსხვავებული სახის შეზღუდვები ჰქონდეს და თავისი ასაკისთვის დამახასიათებელ ყოველდღიურ საქმიანობებს განსხვავებულად უმკლავდებოდნენ.

შეზღუდული შესაძლებლობის



მქონე პირის სტატუსის მინიჭება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც შესაბამისი პროფესიონალების ჩართულობით ხორციელდება და ეფუძნება, ერთის მხრივ, მოსწავლის სამედიცინო დიაგნოზს, ხოლო მეორეს მხრივ, მისი ფუნქციონირების დონის დეტალურ ანალიზს.

შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებად ის მოსწავლეები ითვლებიან, რომელთაც მნიშვნელოვანი სირთულეები ექმნებათ ასაკის შესაბამისი აქტივობების განხორციელებისას და ამ პროცესში მნიშვნელოვან დახმარებას საჭიროებენ.

ტერმინის – შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი – განმარტებისას, გამოყოფენ ბავშვების შემდეგ ძირითად კატეგორიებს:

- გონებრივი განვითარების დარღვევით,
- მეტყველების განვითარების დარღვევით,
- მხედველობის დაზიანება/სიბრმავეთ,
- ორთოპედიული დაზიანებებით,
- ემოციური დარღვევებით,
- აუტიზმით,
- თავის ტვინის ტრავმით,
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებით.

### ● რა არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება

ტერმინი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას სწავლის პროცესში, რომელსაც აწყდება მოსწავლე და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს. მოსწავლეს, რომელსაც გააჩნია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ექმნება სირთულეები და სჭირდება დახმარება შემდეგ სფეროებში:

- კითხვა, წერა, ანგარიში,
- ინფორმაციის გადამუშავება,
- საკუთარი აზრის და შეხედულებების გამოხატვა, სხვების აზრის გაგება,
- საშინაო და საკლასო დავალებების შესრულება,
- ქცევა,
- ურთიერთობა თანატოლებთან და პედაგოგებთან,
- მონესრიგებულობა.

სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას შეიძლება იწვევდეს:

- სხვადასხვა სახის სენსორული და ფიზიკური დეფიციტი, თუ კი ის ზეგავლენას ახდენენ სასწავლო პროცესზე,
- გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება,
- ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა,
- სოციალური დაუცველობა,

ტერმინის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, დამკვიდრება აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც სპეციალისტებმა აღიარეს, რომ სირთულეები სწავლის პროცესში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს არ ახასიათებთ. ბევრი მოსწავლე წარუმატებელია სკოლაში, მიუხედავად იმისა, რომ თვალსაჩინო დაზიანება თუ განვითარების დარღვევა არ გააჩნია.

შესაბამისად, განსაზღვრა იმისა, აქვს თუ არა მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, დამოკიდებული უნდა იყოს არა მის სამედიცინო დიაგნოზზე, ან შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსზე, არამედ სირთულეებზე სწავლის პროცესში.

2004 წლამდე საქართველოს განათლების სისტემა არ იცნობდა ინკლუზიური განათლების პრინციპებს და შესაბამისად, ნებისმიერი შეზღუდული შესაძლებლობის, თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის განათლების ერთადერთ ალტერნატივას სპეციალიზირებული სკოლა წარმოადგენდა. ბავშვებს ვისაც აღენიშნებოდა უყურადღებობისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომები, დისლექსია, კითხვის, წერისა თუ მეტყველების სპეციფიური დარღვევები, შეზღუდული შესაძლებლობის პირის სტატუსი არა აქვთ, თუმცა განათლების მხრივ სერიოზული საჭიროებები უდგებათ. სამედიცინო დიაგნოზის, თუ შეზღუდული შესაძლებლობის არ არსებობის გამო კი, მათი სწავლისა და ქცევის თავისებურებების არასწორი ინტერპრეტაცია ხდება. ხშირად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შეუსაბამო ქცევა სიზარმაცედ ფასდება. ეს კი თავის მხრივ სასწავლო პროცესის არა ეფექტურ დაგეგმვას, ჩარევის არასწორი სტრატეგიების და არა ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს.

შესაბამისად, ნათელია, რომ სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განსაზღვრას, დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან იქნეს აცილებული, ერთის მხრივ მოსწავლის ქცევის თავისებურების **არასწორი ინტერპრეტაცია**, ხოლო მეორეს მხრივ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის არამართებულად მინიჭება იქ, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს.

## ■ ინკლუზიური განათლების სახეები

ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპია განსხვავებული შესაძლებლობებისა და საჭიროებების მოსწავლეების ყოველდღიური სწავლება სკოლაში და კლასში თანატოლებთან ერთად. თუმცა, ინკლუზიური განათლება გაცილებით უფრო ფართო ცნებაა და იგი განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლებისა და სწავლების სხვადასხვა სახეებს მოიცავს. ესენია: სრული ინკლუზია, ნაწილობრივი ინკლუზია და ინტეგრირებული სწავლება.

**სრული ჩართვა** – ნიშნავს, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე სრულად არის ჩართული სასწავლო პროცესში, იგი ესწრება უკლებლივ ყველა გაკვეთილს და ყველა ამ გაკვეთილისთვის აქვს თავისი შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.



**ნაწილობრივი ჩართვა** – ნიშნავს, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არჩევითად ესწრება გაკვეთილებს. ანუ, მოსწავლის შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე მისთვის იქმნება ინდივიდუალური საგაკვეთილო განრიგი და იგი ესწრება მხოლოდ იმ გაკვეთილებს, რომელსაც მისი განრიგი ითვალისწინებს. ნაწილობრივი ინკლუზია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ძალიან მოქნილი ფორმაა. მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე, იგი ემსახურება: ა) მოსწავლის ეტაპობრივ ჩართვას სასწავლო პროცესში; ბ) მოსწავლის შეგუებასა და თანდათანობით ადაპტირებას სასწავლო გარემოსთან; გ) მოსწავლისათვის საკმარისი დროისა და სივრცის უზრუნველყოფას თანატოლების გასაცნობად და არაფორმალურ გარემოში ურთიერთობისათვის.

ნაწილობრივი ინკლუზიის შემთხვევაში მოსწავლისთვის შემუშავებულ უნდა იქნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დეტალურად აღწერს მოსწავლის საგანმანათლებლო მიზნებს და განსაზღვრავს შესაბამის აქტივობებს, როგორც გაკვეთილზე დასწრებისას, ასევე იმ დროს, როდესაც მოსწავლე გაკვეთილს არ ესწრება.

**ინტეგრირებული სწავლება** – ნიშნავს, რომ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები არიან გაერთიანებულნი ერთ კლასში და სწავლობენ მათთვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამით. ინტეგრირებული

კლასის სასწავლო პროგრამა დგება მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებებისა და სკოლის სასწავლო

გეგმის გათვალისწინებით. ინტეგრირებული კლასის მოსწავლეები

ჩართულები არიან ყველა სასკოლო აქტივობაში (ექსკურსია, ზეიმი, გამოფენები და სხვა), ინტეგრირებული სწავლება ხშირად ხდება საფუძველი წარმატებული სრული ინკლუზიისა და ამდენად, საკმაოდ ღირებული ფორმაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლებისთვის.

ინკლუზიური განათლების შესაძლო სახეებზე საუბრისას განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს რესურს ოთახის როლი და ფუნქცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლების საქმეში.

**რესურს ოთახი** – არის სკოლაში სპეციალურად გამოყოფილი ოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების განათლების ხელშემწყობი ყველა აუცილებელი თვალსაჩინოებითა და ტექნიკური საშუალებებით. ადაპტირებული ავეჯი,




მრავალფეროვანი თვალსაჩინო სასწავლო მასალა, აუდი-ვიდეო აპარატურა. რესურს ოთახს შესაძლოა ემსახუროდეს სკოლის ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი და ყველა ის მასწავლებელი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ინკლუზიური განათლების პროცესში მონაწილეობს. რესურს ოთახში ყოფნა და დამატებითი მეცადინეობა მოსწავლეთა საგაკვეთილო განრიგის შემადგენელი ნაწილია. აქ მათ შესაძლებლობა ეძლევათ საჭიროებისამებრ დაისვენონ, ინდივიდუალურად და/ან ჯგუფურად იმეცადინონ. მოსწავლის რესურს ოთახში ყოფნის სიხშირესა და ხანგრძლივობას მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრავს.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლის რესურს ოთახში ყოფნა დამხმარე საშუალებაა და არა მისი სწავლების ფორმა. სწავლება და სწავლა ხდება გაკვეთილზე, ყველასთან ერთად, ხოლო რესურს ოთახში ხდება ნასწავლის განმტკიცება და გავარჯიშება. რესურს ოთახის გამოყენება ასევე შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეთა დასვენებისთვის და კლასებთან ერთად კლასგარეშე აქტივობების განხორციელებისთვის.

**■ ინკლუზიური განათლების ხელშეწყობი გარემო**

სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისთვის რამდენიმე აუცილებელი პირობის დაცვაა საჭირო. ესენია: სწავლისადმი და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა; მოსწავლეების ინდივიდუალური განსხვავებებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება; ყველა მოსწავლისთვის განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და თანამონაწილეობის ხელშეწყობა სასკოლო საქმიანობაში.



### ● სწავლისადმი და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი გარემო

სწავლისადმი და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, სკოლის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების უმთავრესი ამოცანაა. როდესაც ყველა მოსწავლის აკადემიური და სოციალური წარმატებები სკოლისთვის მთავარი ღირებულებაა, მაშინ ყველა, ვინც სასწავლო პროცესშია ჩართული – მასწავლებლები, მოსწავლეები, ადმინისტრაცია და მშობლები – ყურადღებას ამ მიზნის მიღწევისკენ მიმართავს და შესაბამისად, სკოლაში თანამშრომლობის, ურთიერთ დახმარებისა და პატივისცემის გარემო იქმნება. ინკლუზიური განათლება, თავისი არსით, სწორედ ასეთ დამოკიდებულებას გულისხმობს ყველა მოსწავლის მიმართ და აღიარებს, რომ მიუხედავად ინდივიდუალური განსხვავებებისა სწავლისა და მოსწავლის მიმართ, კეთილგანწყობილი გარემო განათლების აუცილებელი პირობაა.

### ● მოსწავლეების ინდივიდუალური განსხვავებებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება

ყველა მასწავლებლის მიზანია მოსწავლის სასწავლო მიღწევებისა და წარმატებების უზრუნველყოფა, მაგრამ მოლოდინები და მოსწავლისთვის დასახული მიზნები აუცილებლად რეალისტური და განხორციელებადი უნდა იყოს. შესაბამისად, ნებისმიერი დავალება, რომელსაც მოსწავლეს ვაძლევთ მის შესაძლებლობებს, უნარებს და ცოდნის დონეს უნდა შეესაბამებოდეს.

თუმცა, მიუხედავად მოსწავლეებს შორის ინდივიდუალური განსხვავებებისა არსებობს მათი მხარდაჭერის და სწავლის სტიმულირების რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველასთვის. უპირველეს ყოვლისა ეს არის მოსწავლის თვით შეფასების ამაღლება, ქცევის პოზიტიური მართვა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და სწავლის მოტივაციის ამაღლება.





■ ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი  
ბარემოს შექმნა და მართვა



ინკლუზიური განათლების სკოლაში დანერგვისთანავე, ის სკოლის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ხდება. ყველა პროცესი რომელიც სკოლაში მიმდინარეობს გავლენას ახდენს ინკლუზიურ განათლებაზე და პირიქით. შესაბამისად, სკოლის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო და ინკლუზიური განათლების პროცესები სკოლის მართვის ერთიან კონტექსტში განიხილება. სკოლა, კარგად დაგეგმილი მართვის პირობებში, ქმნის ყველა აუცილებელ პირობას იმისთვის, რომ თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროება მაქსიმალურად იყოს დაკმაყოფილებული და რომ ყველა მოსწავლეს სწავლისა და განვითარების ყველა აუცილებელი პირობა ქონდეს შექმნილი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სკოლა ერთი მიზნის გარშემო გაერთიანებული და ყველა - სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები - ამ საერთო მიზნის მიღწევაში არიან ჩართულნი. საერთო მიზანი და თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლებისთვის, რომელიც კარგ ორგანიზებულობასა და მართვას მოითხოვს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვაში არის რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს მთლიანად სკოლის და ინკლუზიური განათლების ეფექტიან მართვას. აღნიშნული პრინციპებია:

- სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის ზოგადი განათლების მიღების უფლებას. სკოლა, მოსწავლეების მიღებისას, არ უშვებს რაიმე სახის დისკრიმინაციას და არ ამბობს უარს სწავლის სირთულეების მქონე ბავშვის სკოლაში მიღებაზე.
- თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები უზრუნველყოფენ ადეკვატურ და ხარისხიან განათლებას მისი საგანმანათლებლო

საჭიროებების გათვალისწინებით. ამისათვის, სკოლის ადმინისტრაციამ, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით<sup>1</sup> უნდა უზრუნველყოს: ა) კვალიფიციური სპეციალისტების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ფსიქიკური, ფიზიკური და სოციალური უნარების განვითარების შეფასება; ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გამოკვეთა და გ) შეფასების შედეგებსა და საგანმანათლებლო საჭიროებებზე დაყრდნობით, ბავშვის მშობელთან და მასწავლებლებთან ერთად, მისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება.

- სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სკოლას ინკლუზიური განათლების კოორდინატორით. კოორდინატორი შეიძლება იყოს დირექციის წევრი, მასწავლებელი ან მშობელი. სასურველია, არჩეული ინკლუზიური განათლების კოორდინატორი სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრიც იყოს. სკოლის ინკლუზიური განათლების კოორდინატორის ფუნქციაა თვალყური ადევნოს ინკლუზიური განათლების პროცესს, მოსწავლეთა დასწრებას, მათი სასწავლო პროცესში და მთლიან სასკოლო აქტივობებში ჩართულობის ხარისხს. კოორდინატორმა საბჭოს წინაშე უნდა დააყენოს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და საბჭოს წევრებთან ერთად, პრობლემების მოგვარების ეფექტური გზები ეძიოს. მათ შორის, საბჭოს წევრებთან ერთად დაგეგმოს ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი დამატებითი სახსრების მოძიების ღონისძიებები. წინასწარ უნდა იყოს გამოყოფილი კოორდინატორთან შეხვედრის დღეები კვირის განმავლობაში, როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები და მათი მეგობრები შეძლებენ მასთან გასაუბრებას გარკვეულ ინიციატივებზე, შესაძლო პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.
- სკოლა, რომელსაც ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ვალდებულია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე დაყრდნობით, სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვროს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ხელშემწყობი მექანიზმები – ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული ან ადაპტირებული სასწავლო პროგრამები, განსაკუთრებული საგაკვეთილო განრიგი, დამატებითი ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის

<sup>1</sup> იმ შემთხვევაში თუ სკოლას არ ჰყავს შესაბამისი სპეციალისტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განვითარების შეფასებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის, სკოლა ვალდებულია მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების მიმართულებას და/ან საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს დახმარებისთვის.



მაქსიმალურად ხელშემწყობი და ნაკლებად შემზღვეველი სასწავლო გარემო (მაგალითად, მეცადინეობა და/ან დასვენება რესურს ოთახში, შემეცნებითი ექსკურსიები, დამოუკიდებელი ცხოვრების გაკვეთილები) და სხვა. სკოლამ სისტემატურად უნდა მოახდინოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასება. ასეთი შეფასების პრინციპებია:

1. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მიჰყვება სასკოლო სასწავლო გეგმას ყველა საგანში და დამაკმაყოფილებელ დონეს აღწევს, მაშინ იგი ყველა დანარჩენი მოსწავლის მსგავსად ფასდება;
  2. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, კლასიდან კლასში გადასასვლელად მან უნდა მიაღწიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს და ამოცანებს. ამ ამოცანების ფარგლებში კი, შეფასება ჩვეულებრივი 10 ქულიანი სისტემით მოხდება. მაგალითად, VI კლასის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს მათემატიკის გაკვეთილზე დავალებად ჰქონდა ენარმოებინა მარტივი გამოთვლები ასის ფარგლებში. მან წარმატებით გაართვა თავი დავალებას. შესაბამისად მას მასწავლებელი უმაღლეს შეფასებას (10 ქულას) უწერს. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს თავს არიდებს და არ ასრულებს, ის შესაბამისად დაბალ ქულას იღებს. აუცილებელია თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი ქულებთან (ნიშნებთან) ერთად იღებდეს კომენტარს (ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განმავითარებელი შეფასების ტიპური ფორმა) ტექსტის სახით, სადაც აღწერილია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები დავალების შესრულებისას და მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენა.
  3. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ვერ აღწევს დამაკმაყოფილებელ დონეს რომელიმე კონკრეტულ საგანში, მისთვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ამ საგნებში. მაგ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სტანდარტულად სძლევს ქართულს და ისტორიას, ხოლო მათემატიკას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ეუფლება. შესაბამისად ქართულსა და ისტორიაში მას სტანდარტული ნიშნები ეწერება, ხოლო მათემატიკაში ნიშანი და შესაბამისი კომენტარი. (დანვრილებით შეფასების პრინციპებსა და თავისებურებებზე იხილეთ თავი III).
- 7-18 წლის ასაკის ბავშვის სკოლაში მიღება და შესაბამისი სწავლის საფეხურის (კლასის) შერჩევა ხდება მისი აკადემიური და სოციალური უნარების, ასაკის და საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად. მოსწავლეთა საგანმანათლებლო და სოციალური ინტეგრაციის ინტერე-

სების დასაცავად, სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბავშვის ასაკსა და მისთვის შერჩეული სწავლის საფეხურს (კლასს) შორის შესაბამისობას. დაუშვებელია 10 წლის მოსწავლე სწავლობდეს I ან II კლასელებთან ერთად, ან 14-15 წლის მოსწავლე III ან IV კლასელებთან ერთად. მაქსიმალურად დასაშვები განსხვავებაა 3 წელი.

- სკოლა ქმნის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების განათლებასთან დაკავშირებული შესაძლო სადავო საკითხების, საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიან მექანიზმს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განათლებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისას სკოლა უფლებამოსილია მომართოს საგანმანათლებლო რესურს ცენტრს და მოითხოვოს მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურება/დახმარება სადავო საკითხების მიუკერძოებლად განხილვისთვის.
- სკოლა, ადგილობრივ თემთან ერთად, გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, რათა ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრაციას. მაგ. მოაწყოს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; საქველმოქმედო კონცერტები, რომლის შემოსავლებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, თავიანთ მეგობრებთან ერთად, დაეხმარებიან მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს და სხვა.

ყველა ამ პრინციპის დაცვის შემთხვევაში ინკლუზიური განათლება კარგად ორგანიზებული ხდება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში, იღებენ ხარისხიან და მათი შესაძლებლობების შესაბამის განათლებას, მათი მშობლები მასწავლებლებთან ერთად ჩართულები არიან მათი განათლების პროცესში და სკოლაში ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო სუფევს. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში ყველას, ვინც სკოლის ცხოვრებაში არის ჩართული გარკვეული უფლება-მოვალეობები აქვთ.



**■ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო გარემოში წარმატებულ ჩართულობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. სკოლაში მოსწავლის ინკლუზიის პროცესი, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ სოციალურ გარემოზე, რომელთანაც მოსწავლეს უხდება ურთიერთობა განათლების მიღების პროცესში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სოციალური გარემოს ნაწილს, სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ერთად, სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები წარმოადგენენ.

ინკლუზიური განათლების მიმართ სკოლის სოციალური გარემოს პოზიტიურმა ან ნეგატიურმა დამოკიდებულებამ შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეაფერხოს



ან შეუწყოს ხელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის წარმატებებს სკოლაში.

სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებული დანერგვისათვის, აუცილებელია სკოლის მოსწავლეების და მათი მშობლების დამოკიდებულების, მზაობისა და ინფორმირებულობის გათვალისწინება ინკლუზიური განათლების მიმართ.

შესაბამისად, გაუმართლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში ჩართულობის ინიციატივა, სკოლის სოციალური გარემოს წინასწარი მომზადების გარეშე. სკოლაში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ უფლება მიიღონ ინფორმაცია სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სკოლის სოციალური გარემო შესაბამისი ინფორმაციით და ამისათვის გამოიყენოს სხვადასხვა საშუალებები, მათ შორის, საინფორმაციო პლაკატები, შეხვედრები და მსჯელობები მშობელთა კრებებზე, შესაბამისი აქტივობები გაკვეთილებზე ბავშვებთან და ა.შ.

მსგავსი შეხვედრები ხელს შეუწყობს დამკვიდრებული არასწორი დამოკიდებულებების, შიშების და ცრურწმენების გაქარწყლებას ინკლუზიური განათლების



და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ.

გარდა ზოგადი ინფორმაციისა სკოლაში დაგეგმილი ან მიმდინარე ინკლუზიური განათლების პროცესის შესახებ, მშობელს აქვს უფლება მოითხოვოს და მიიღოს დეტალური ინფორმაცია მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ, თუკი ასეთი მოსწავლე მის შვილთან ერთად სწავლობს. მშობლებს ხშირად აინტერესებთ:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის კლასში არსებობა უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს სხვა მოსწავლეების სასწავლო მიღწევებზე;
- ხომ არ დაეთმობა სხვა მოსწავლეებს ნაკლები ყურადღება მასწავლებლების მხრიდან;
- ხომ არ არის შეზღუდული შესაძლებლობა გადამდები;
- ხომ არ მიბაძავენ დანარჩენი მოსწავლეები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ქცევას და ამით, მშობლებისთვის არასასურველ უნარ-ჩვევებს აითვისებენ;
- ხომ არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე აგრესიული;

კლასის დამრიგებელი ვალდებულია უზრუნველყოს მშობელი შესაბამისი, ობიექტური ცნობებით და გასცეს პასუხი მშობლის შეკითხვებს. ამ პროცესში, რასაკვირველია, დიდია პროფესიონალთა – ფსიქოლოგთა და სპეც-პედაგოგთა როლი.

მშობლის ობიექტური ინფორმაციით უზრუნველყოფა, ერთის მხრივ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა მიმართ, სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ხოლო მეორეს მხრივ, სწორედ ინფორმირებული და ინკლუზიური განათლებისადმი კეთილგანწყობილი მშობელი, არის გარანტი ბავშვის სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისა.

პედაგოგის ფუნქციაა ხელი შეუწყოს კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელსა და დანარჩენ მშობელთა შორის დადებითი ურთიერთ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და უზრუნველყოს მეტი სიახლოვე მათ შორის. ამისათვის შესაძლებელია კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვა, მაგ. ლაშქრობები ქალაქგარეთ, სადაც მშობლებს ურთიერთობა აქვთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან და მის მშობელთან. ამ ურთიერთობის შედეგად კლასის მშობლების კეთილგანწყობა კიდევ უფრო გაძლიერდება.

მშობელთა შორის დადებითი კომუნიკაციის ნახალისების პარალელურად, საგანმანათლებლო სისტემის უპირველესი ამოცანაა ბავშვებს შორის დადებითი კომუნიკაციის და ურთიერთობის



წახალისება. მასწავლებელს ამისთვის შეუძლია ჯგუფური მუშაობის გამოყენება, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სხვა მოსწავლეებთან ერთად, ერთი დავალების ირგვლივ გაერთიანდება.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების უფლების უზრუნველყოფის პარალელურად, სკოლის ადმინისტრაციის და პედაგოგთა მოვალეობაა სკოლის დანარჩენი მოსწავლეების ინტერესების დაცვა. გაუმართლებელია ინკლუზიური განათლების დანერგვა, თუკი ეს პროცესი დანარჩენი მოსწავლეების საზიანოდ განხორციელდება. მაგ. თუ ხშირად იშლება საგაკვეთილო პროცესი, მასწავლებელი ვერ უთმობს მოსწავლეებს საკმარის ყურადღებას, უხდება კლასის ხშირი დატოვება და ა.შ. ამ შემთხვევაში, მშობელს უფლება აქვს, სკოლის ადმინისტრაციას სიტუაციაში გარკვევა და შესაბამისი რეაგირება მოსთხოვოს. პრობლემური სიტუაციის გადაჭრა ორივე მხარის ინტერესების დაცვით უნდა მოხდეს – არ შეიზღუდოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის უფლებები მიიღოს განათლება თანატოლებთან ერთად და არ ჩაიშალოს საგაკვეთილო პროცესი.

### ■ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლები

ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში, სკოლამ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის სწავლებისთვის რეკომენდირებული პირობები და ხელი შეუწყოს მისი საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებას. ამ პროცესის წარმატებით განხორციელება, ხშირ შემთხვევაში წარმოუდგენელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობლის ჩართულობის გარეშე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლება არის მშობლებისა და პროფესიონალების საერთო ამოცანა.

სკოლის ადმინისტრაციამ, და პედაგოგებმა, ყველაფერი უნდა გააკეთონ მშობელსა და პედაგოგს შორის თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დასამყარებლად. რეალურად, ეს ნიშნავს მშობლებთან პარტნიორობას და მათ მნიშვნელოვან თანამონაწილეებად აღიარებას ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, სკოლა ვალდებულია განსაზღვროს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები და საგანმანათლებლო პრიორიტეტები. მიუღებელია ამ პროცესის მშობლის თანხმობის, ჩართულობისა და თანამონაწილეობის გარეშე განხორციელება.

ექსპერტებისგან და პროფესიონალებისგან, საჭირო ინფორმაციის და რეკომენდაციის მიღების შემდეგ, მშობელს ენიჭება გადაწყვეტილების მიღების უფლება თავისი შვილისთვის განათლების ფორმის არჩევაში.

ამ მხრივ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების მშობელთა დამოკიდებულება საკმაოდ არა ერთგვაროვანია. მიუხედავად იმისა,

რომ უმეტესობა დადებითად აფასებს ინკლუზიურ განათლებას და იმ შესაძლებლობებს, რასაც სწავლის ეს ფორმა იძლევა, მშობელთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათი შვილების ჩართვა კიდევ უფრო გააღრმავებს მათ იზოლაციას. ისინი არა მარტო ვერ აითვისებენ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არამედ გახდებიან გარიყვის და დაცინვის ობიექტები. ამგვარი დამოკიდებულების არსებობის შემთხვევებში, მშობლები არჩევენ სპეციალიზირებული განათლების ან ინტეგრირებული სწავლების სასარგებლოდ აკეთებენ.

ამ დროს ექსპერტთა და პროფესიონალოთა ამოცანაა, შეაფასონ ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები და საგანმანათლებლო სისტემის რესურსების გათვალისწინებით, დაეხმარონ მშობლებს სწორი არჩევანის გაკეთებაში.

როგორც წესი, მშობელი შვილის მდგომარეობას ყველაზე კარგად იცნობს. მიუხედავად იმისა, თუ განათლების რა ფორმას მიანიჭებს მშობელი უპირატესობას, ის ვალდებულია სკოლას გაუზიაროს ყველა გასათვალისწინებელი ინფორმაცია ბავშვის შესახებ, რომლის ობიექტურ შეფასებას თუ გადამონმებას სკოლის ადმინისტრაცია შესაბამისი პროფესიონალების მონაწილეობით უზრუნველყოფს.

ყველა მშობელს აქვს გარკვეული მიზნები და მოლოდინები იმ საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ, რომელშიც მისი შვილი ჩაერთვება. შესაბამისად, მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ისევე და ისევე მშობლის პრიორიტეტების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. სასურველია, რომ ყველა გადანიშნულებული მასთან შეთანხმებით და მისი მხარდაჭერით მიიღებოდეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ სასწავლო მიზანი იმთავითვე მიუღწეველი იქნება, თუკი ის მშობლისთვის მიუღებელია ან მას არასაკმარისი მნიშვნელობა ენიჭება. მაგ, მასწავლებლის ძალისხმევა ასწავლოს მოსწავლეს საათის ცნობა, უშედეგო იქნება, თუკი მშობელი ამ მიზანს არ გაიზიარებს და სახლში დამატებით არ იმუშავებს ამ უნარის განვითარებაზე.

სასურველია არ მოხდეს სკოლის პედაგოგთა მხრიდან მშობლის მიერ გამოთქმული საგანმანათლებლო პრიორიტეტების მექანიკურად აღიარება. არსებობს რისკი იმისა, რომ მშობელს ჰქონდეს არა რეალისტური ან არა ადეკვატური მოლოდინები საკუთარი შვილის ან სკოლის მიმართ. სკოლა ვალდებულია მოუსმინოს მშობელს, გაიზიაროს მისი ხედვა, მაგრამ, უნდა შეეცადოს მშობელთან მოლაპარაკების გზით, რეალისტური და მიღწევადი მიზნების დასახვას. ამ პროცესში რასაკვირველია, დიდია პროფესიონალოთა – ფსიქოლოგთა და სპეც-პედაგოგთა როლი.

მშობელი ჩართულია საკუთარი შვილის სასწავლო პროცესის არა მხოლოდ დაგეგმვის, არამედ განხორციელების პროცესში. მშობელი სკოლასთან ერთად იზიარებს პასუხისმგებლობას მოსწავლის აკადემიურ წარმატებებზე, რაც მას ავალდებულებს აქტიურად იმუშაოს ბავშვთან სახლში განსაზღვრული მიზნის და მიცემული დავალების შესაბამისად.

სკოლის პედაგოგს, მოეთხოვება დეტალურად განიხილოს მშობელთან ის სასწავლო მიზნები, რომლებზეც ორივე მხარე თანხმდება და სასწავლო სტრატე-

ეგები, რომლის გამოყენებაც კონკრეტულ მოსწავლესთან გამართლებული იქნება. **გვახსოვდეს, რომ მხოლოდ შეთანხმებული მოქმედებით და ერთიანი სტრატეგიით მიიღწევა დასახული მიზნები.**

ამასთანავე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის მშობელს ევალება გააცნობიეროს, რომ თავისი შვილის მაქსიმალური წარმატებებისთვის, აუცილებელია პედაგოგებთან შეთანხმებული სასწავლო განრიგისა და გეგმის მიმართ სრული საპასუხისმგებლო დამოკიდებულების ჩამოყალიბება და რეგულარული მეცადინეობები.

დაუშვებელია, სწავლის პროცესში, ბავშვის არსებული მდგომარეობის მომიზეზებით, მშობლის მხრიდან ბავშვისთვის რაიმე დამატებითი შეღავათების მოთხოვნა, რომლებიც მისი საგანმანათლებლო საჭიროებით არ არის გამონვეული. მაგ. არასწორია მოთხოვნა მოსწავლეს საპატიოდ ჩაეთვალოს სკოლის გაცდენები, თუკი ეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით ან სხვა საპატიო მიზეზით არ არის გამონვეული. არამართებული იქნება მასწავლებლის მხრიდან, აპატიოს მოსწავლეს ინდივიდუალური დავალების არშესრულება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის გამო.

მშობლის მხრიდან სასწავლო პროცესის სრული სერიოზულობით აღქმა და მხარდაჭერა, იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის აკადემიური და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარების წინაპირობა.

კლასის პედაგოგმა კი, თავის მხრივ, ცდა არ უნდა დააკლოს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელმა თავი თანასწორად და თავდაჯერებულად იგრძნოს კლასის სხვა მშობელთა შორის, არ ჰქონდეს დანაშაულისა და რიდის განცდა, შვილის სპეციალური საჭიროებების არსებობის და/ან დამატებითი მხარდაჭერის საჭიროების გამო.

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი შეკითხვა რომელიც საკუთარ თავს უნდა დაუსვას მასწავლებელმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის მშობელთან ურთიერთობისას:

- იჩენს თუ არა მასწავლებელი საკმარისს ინიციატივას მშობელთან ურთიერთობისას?
- მოხდა თუ არა მშობლის საჭიროებების და მოთხოვნების გათვალისწინება?
- საკმარისია თუ არა მშობლის მხარდაჭერა და ჩართულობა მოსწავლის სასწავლო პროცესში?
- რამდენად შეთანხმებულად მუშაობენ ისინი?
- არის თუ არა მშობელი მიმდინარე პროცესით კმაყოფილი?

მასწავლებლისა და მშობლის შეხვედრების ინტენსიურობა დამოკიდებულია გარემოებებზე, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს რეგულარული. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლაში მშობლებსა და მასწავლებლებს შორის სისტემურ ურთიერთობას. მნიშვნელოვანია განისაზღვროს მხარეების ფუნქციები და ორივე მხარემ გამოთქვას აზრი როგორ წარმოუდგენია თანამშრომლობა. მშობლები

შესაძლებელია მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად, რათა მათთვის ნათელი გახდეს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესები და ის სასწავლო სტრატეგიები, რომლითაც მისი შვილის სწავლება ხორციელდება. ასევე სისტემატიურად უნდა ხდებოდეს ინფორმაციის გაცვლა მოსწავლის მიღწეულ წარმატებებზე თუ მიმდინარე სირთულეებზე.



## ■ მოსწავლეთა სწავლის სირთულეების იდენტიფიკაცია

ყველა მასწავლებელმა კარგად იცის, რომ მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სწავლის უნარით, ახალი მასალის ათვისების ტემპით და მიდრეკილებებით სხვადასხვა საგნების მიმართ. მასწავლებელი აცნობიერებს რა ამ მრავალფეროვან განსხვავებებს ცდილობს, რომ სწავლების პროცესში ყველა მოსწავლის საგანმანათლებლო ინტერესი ერთნაირად იყოს გათვალისწინებული. ამის მისაღწევად მასწავლებლები სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ. მაგალითად, დამატებითი და ინდივიდუალური მეცადინეობა მოსწავლესთან, მასალის გამარტივება ან უბრალოდ მოცულობის შემცირება, ახალი მასალის დამატებითად ახსნა და მოსწავლის ნახალისება. თუმცა, არსებობენ ისეთი მოსწავლეებიც, რომელთაც სწავლასთან დაკავშირებული რთული პრობლემები აქვთ და მიუხედავად მასწავლებლის ძალისხმევისა ისინი მაინც ვერ ითვისებენ ახალ მასალას, უჭირთ კითხვა, ვერ ისვენებენ გაკვეთილზე და გაუთავებელ მოძრაობაში არიან, მუდამ ზარმაცობენ და ყველანაირად არიდებენ თავს სასწავლო გარემოს. სამწუხაროდ მოსწავლეები, რომელთაც ამგვარი სწავლის სირთულეები აქვთ, სწავლის დაწყებისთანავე „დალდასმულნი“ არიან და თითქოს ყველა შეგუებულია, რომ „მათგან არაფერი გამოვა“. სწავლის ადრეულ ეტაპზევე გამოტანილი ეს ვერდიქტი მოსწავლეს ბოლომდე მიყვება და მისი მრავალი ემოციური, თუ ქცევითი პრობლემების საფუძველი ხდება. მოსწავლისთვის დალის დასმა და მისი წარუმატებლობისთვის განწირვა ხშირად იმიტომაც ხდება, რომ მასწავლებელმა არ იცის რასთან აქვს საქმე. ეს უბრალოდ სიზარმაცაა თუ სირთულეები სწავლის პროცესში? ეს კითხვის უუნარობაა თუ მეცადინეობის და სიბეჯითის ნაკლებობა? და რაც ყველაზე მთავარია, მასწავლებელმა ხშირად არ იცის ვის მიმართოს მოსწავლის პრობლემების თაობაზე. მშობლებს? მშობლები ხშირად თავად არიან დაბნეულნი, ვერ გარკვეულან რა ემართება მათ შვილს და პასუხს მასწავლებელს თხოვენ. კოლეგებთან სწავლების სირთულეებზე ლაპარაკი უხერხულია, არა კომპეტენტურობას დაგაბრალებენ. ყველაზე იოლი გზა ბავშვისთვის დალის დასმაა, რომელიც გვაუწყებს, რომ „ამისგან მაინც არაფერი გამოვა“. სინამდვილეში კი მოსწავლეს, რომელსაც სწავლის სირთულეები აქვს სპეციალისტთა დახმარება ჭირდება. პირველ რიგში უნდა გაირკვეს და ყველასთვის ნათელი გახდეს თუ რა ტიპის სწავლის დარღვევასთან გვაქვს საქმე, ანუ რატომ ვერ სწავლობს ბავშვი. რა გამომწვევი მიზეზები აქვს მის სწავლის უუნარობას. ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ბავშვის შესაძლებლობებისა და კოგნიტიური ფუნქციების შეფასებას შეუძლია გასცეს. ამას ფსიქოლოგები აკეთებენ მათ ხელთ არსებული ტესტების, კითხვარების და ბავშვის ქცევაზე დაკვირვების საფუძველზე. შეფასებამ ყველა ის სფერო უნდა მოიცვას, რომელიც ბავშვის სწავლის სირთულეებს უკავშირდება. განსაკუთრებული ყურადღება ბავშვის ინტელექტუალურ, აკადემიურ, მოტორულ, ემოციურ, ქცევით და სოციალურ უნარებზე უნდა გამახვილდეს.

სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეების იდენტიფიკაცია/შეფასება საკლასო ოთახში იწყება, როცა მასწავლებელი ათვისების და ქცევის სირთულეებს

აფიქსირებს. სირთულეების პირველადი დაფიქსირების შემდგომ, მასწავლებელი იწყებს სიღრმისეულ, სისტემატურ დაკვირვებას მოსწავლის სწავლასა და ქცევ-აზე საკლასო ოთახში. ამის შემდეგ, მასწავლებელი ცვლის სწავლების სტრატე-გიას და ბავშვთან მიდგომას და აკვირდება, თუ რა შედეგი გამოიღო ცვლილე-ბებმა სასწავლო პროცესში.

მასწავლებელი მართავს კონსულტაციას მოსწავლის მშობელთან/მზრუნველ-თან და, თუ შესაძლებელია თავად მოსწავლესთანაც არსებული სირთულეებისა და მიდრეკილებების შესახებ. მასწავლებელი მშობელთან ერთად განიხილავს ბავშვის ფსიქოლოგთან, ოკუპაციურ თერაპევტთან და ნევროლოგთან კონსულ-ტირების შესაძლებლობებს, რათა სპეციალისტთა დასკვნების საფუძველზე ზედ-მინვენით ზუსტად გახდეს ცნობილი თუ რა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს მოსწავლეს და შესაბამისად, დაიგეგმოს მისთვის ინდივიდუ-ალური სასწავლო გეგმა თუ ცვლილებები სასწავლო პროცესში.


ბევრი მოსწავლისათვის, ამგვარი მულტიდისციპლინური მიდგომა და მას-წავლების მშობლებთან თანამშრომლობა აბსოლუტურად საკმარისია, იმისთ-ვის, რომ მათ წარმატებებს მიაღწიონ სწავლის პროცესში და ბევრი სირთულე აიცილონ თავიდან.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც მასწავლებელს შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლე ჰყავს კლასში და წინასწარ არის ცნობილი ბავშვის სწავლის სირ-თულეების შესახებ, მასწავლებელი აზუსტებს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხა-რებს, სპეციალისტთა დასკვნის საფუძველზე უდგენს მას ინდივიდუალურ სას-წავლო გეგმას და ცდილობს მაქსიმალურად ჩართოს იგი სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

## ■ ეროვნული სასწავლო გეგმა და მისი მოდიფიკაცია

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო პროცესი ეროვნ-ული სასწავლო გეგმის შესაბამისად ხორციელდება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ეროვნული სას-წავლო გეგმა თითოეული საგნის ფარგლებში, ყოველი საფეხურისთვის განსაზ-ღვრავს სასწავლო მიზნებს, ამოცანებს და წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებს. სკოლისა და პედაგოგის მიზანია, რაც შეიძლება მეტად მიუახლოოს ყველა მო-სწავლე დასახულ წლიურ მიზანსა და სასწავლო შედეგს. შესაბამისად, მოსწავლე შეფასებას ღებულობს მიღწევის დონის მიხედვით მიზანთან მიმართებაში.

სკოლაში პედაგოგის ამოცანაა სასწავლო პროცესი სწორედ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად წარმართოს, მაგრამ იმავდროულად მოარგოს ის მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და ინტერესებს. ეროვნული სასწავლო გეგმა „ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ცოდნის ხარისხზე და არა ოდენობაზე“. ეს მიდგომა განსა-კუთრებით აქტუალური ხდება, თუკი პედაგოგს კლასში სპეციალური საგანმანა-თლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ყავს, რომლისთვისაც გაუმართლებელი იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული იგივე სასწავლო მიზნების დასახვა, რომელიც პედაგოგს დასახული აქვს კლასის დანარჩენი მოსწავლეე-ბისთვის.



ამ შემთხვევაში, პედაგოგის ამოცანაა, მოსწავლისთვის უზრუნველყოს ხარისხიანი და ეფექტური განათლება და საგაკვეთილო პროცესი, ოღონდ მისი შესაძლებლობების, ინტერესების, ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით. ამ დროს, პედაგოგი უფლებამოსილია დასახოს ამ კონკრეტული მოსწავლისთვის ინდივიდუალური მიზანი, ამოცანა და სასწავლო შედეგი, რომელიც განსხვავებული იქნება კურიკულუმით გათვალისწინებული გეგმისგან. ამ გეგმით მოხდება მოსწავლისთვის ყველაზე შესაფერისი მოთხოვნების განსაზღვრა და მისი დაცვა არაადეკვატური მოლოდინებისგან, რომლებიც ხშირად გააჩნიათ, როგორც მშობლებს, ასევე მასწავლებლებს.

ხშირ შემთხვევაში, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვა, აუცილებელი ხდება ეროვნული სასწავლო და/ან სასკოლო სასწავლო გეგმის ცვლილება (მოდიფიკაცია) მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით.

მთავარია, არ დაგვავინყდეს, რომ ყოველი მოსწავლისთვის განსაზღვრული ცვლილება, მოსწავლის შეფასების შედეგებზე დაფუძნებით უნდა განისაზღვრობოდეს და მის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ხდებოდეს დოკუმენტირება.

მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით დასაშვებია:

● **სასწავლო პროგრამის გამარტივება**

ამ შემთხვევაში მასწავლებელი ან სპეციალური განათლების პედაგოგი ამარტივებს სასწავლო გეგმას და შესაბამის დავალებებს მოსწავლისთვის, მაგ. თუ მოსწავლეს უჭირს ჩვეულებრივი სირთულის ტექსტების კითხვა, მასწავლებელი მას ამარტივებს; ამარტივებს რთულ თანწყობილ წინადადებებს, უცხო და რთულ სიტყვებს ცვლის მოსწავლისთვის ნაცნობი სიტყვებით. თუკი მოსწავლისთვის ეს სტრატეგია ადეკვატურია, ეს სტრატეგია ბუნებრივია უნდა გამოიყენებოდეს არა მხოლოდ ქართულის, არამედ სხვა საგნების სწავლებისას, მაგ. მსგავსად შეიძლება ხდებოდეს ისტორიის, ბუნების ტექსტების გამარტივება. შესაძლებელია დასმული კითხვების გამარტივება წერითი დავალების შესრულებისას.

● **სასწავლო პროგრამის ფორმის ცვლილება**

ამ შემთხვევაში, მასწავლებელი და/ან სპეც. პედაგოგი (არ გამოირიცხება ამ შემთხვევაში მშობლის თანამონაწილეობა) მიმართავს დამატებით სასწავლო

მეთოდებს და თვალსაჩინოებებს მოსწავლისთვის სასწავლო პროგრამის მისწავლობის უზრუნველყოფისთვის. მაგ. შესაძლებელია მოსწავლეს ახალი საგაკვეთილო თემა მივანოდოთ არა ნაწერის სახით, (რომელიც მან უნდა მოისმინოს, ან წაიკითხოს), არამედ თვალსაჩინო გამოსახულების, სიუჟეტური სურათის სახით, რომელიც მან უნდა დაათვალიეროს და აღწეროს. მშობლის როლი ამ შემთხვევაში შესაბამისი სიუჟეტური სურათების მოძიება, მოსწავლის რვეულში ჩამაგრება ან დამატებითი ალბომის შექმნა შეიძლება იყოს. ამ დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ პროგრამის შინაარსი საგაკვეთილო კონტექსტს მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს.

გაბმული მეტყველების სირთულეების არსებობის შემთხვევაში, გამართლებული იქნება, თუკი მოსწავლეს დავალებით შინაარსის გადმოცემას, არა სხვების მსგავსად თხრობით, არამედ კითხვებზე პასუხის გაცემით. რასაკვირველია, კითხვების სირთულე და ფორმა მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს.

### ● სასწავლო პროგრამისთვის განკუთვნილი დროის ცვლილება

ამ შემთხვევაში, შესაძლებელია მოსწავლეს განსხვავებული დრო განუყოს ვეროთ (ვიდრე მის თანაკლასელებს) სასწავლო პროგრამის დასაძლევად, ან



საგაკვეთილო დავალების შესასრულებლად. მაგ, მივცეთ მეტი დრო ტესტირების პროცესში, საკონტროლოს წერისას. ლექსი ზეპირად მოვთხოვოთ არა მეორე საგაკვეთილო დღეს, არამედ კვირის ბოლოს და ა.შ. ამავე დროს, შესაძლებელია, მოსწავლეს შევუმციროთ დრო, განკუთვნილი ამა თუ იმ საგაკვეთილო აქტივობებისთვის, მაგ. ნაკლები დრო ხატვისას, თუკი ხელის მოტორული უნარების გათვალისწინებით, ხანგრძლივი ჩართულობა ხატვის პროცესში არ არის რეკომენდირებული.



- დამატებითი დამხმარე საშუალებების გამოყენება

ამ შემთხვევაში, შესაძლებელია მოსწავლეს ნება დავართოთ დამხმარე საშუალებების მოხმარებისა საგაკვეთილო აქტივობების შესრულებისას. მაგ. მივცეთ უფლება კალკულატორის გამოყენებისა მათემატიკური გამოსახულებების ამოხსნისას.

### ■ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა



კლასში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის შემთხვევაში, მასწავლებლის უმთავრეს ამოცანას საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა და თითოეული მოსწავლისთვის დასახული მიზნის შესაბამისი ცოდნის გადაცემა წარმოადგენს. პედაგოგმა ეს უნდა შესძლოს, მიუხედავად იმისა, რომ ის, განსხვავებულ მოსწავლეებთან განსხვავებული სტრატეგიებით და გეგმით მუშაობს.

მაგალითად, დასაშვებია, რომ მასწავლებლის მიზანი პირველ კლასელი მოსწავლეებისთვის იყოს დაფიდან მარტივი წინადადებების გადანერის უნარის განვითარება; მათი თანაკლასელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის დასახულ მიზანს კი წარმოადგენდეს წერის წინმსწრები ფიგურების ხატვის უნარის განვითარება. დაუშვებელია, რომ მასწავლებელი კლასის უმრავლესი მოსწავლეებისთვის გეგმავდეს მიზნის შესაბამის აქტივობას – დაფაზე წერდეს წინადადებებს, მოსწავლეები მას იწერდნენ რვეულში; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე კი ამ დროს უქმად იჯდეს და არ იყოს ჩართული რაიმე სახის წერილობით აქტივობაში. სწორი იქნება, თუკი პარალელურად, მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს გეომეტრიული ფიგურების გაფერადებას ან გადახატვას დაავალდებს. მეტიც მასწავლებელი, შეიძლება მის გვერდითა დადარჩეს, სანამ სხვა მოსწავლეები წერენ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ნაახალისოს დავალების შესრულების პროცესში.



იმავედროულად, მასწავლებელი უნდა ეცადოს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შერჩეული აქტივობები, არ იყოს გაკვეთილის კონტექსტიდან და საგაკვეთილო თემიდან ამოვარდნილი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სხვა მოსწავლეების მიზნებისგან სრულიად განსხვავებულ მიზანს ემსახურებოდეს.

მაგალითად, მასწავლებლის მიზანია მეორე კლასელ მოსწავლეს განუვითაროს ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტების გაგების და გადმოცემის უნარი; ხოლო საგაკვეთილო თემაა ი. გოგებაშვილის „უსუნო ყვავილი“, შესაბამისად, მასწავლებელი თავის მოსწავლეებს ამ ნაწარმოების თხრობით გადმოცემას სთხოვს. გამართლებული იქნება, თუკი მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს სთხოვს მისთვის ნაცნობი ყვავილების დასახელებას (ეს აქტივობა საგაკვეთილო კონტექსტს ეხმაურება). შესაბამისად, თუკი მასწავლებელი მოსწავლეებს აღნიშნული ტექსტის გადწერას ან მოკლე შინაარსის წერით გადმოცემას მოსთხოვს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შესაძლებელია ყვავილების დახატვა დაავალოს.

ამ მიდგომის გამოყენებისას, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ყოველი აქტივობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობების და დასახული მიზნების გათვალისწინებით განსაზღვროს და არ დაივიწყოს მთავარი პრინციპი – **მიუხედავად განსხვავებული მიზნებისა, მან უნდა უზრუნველყოს ყველა თავისი მოსწავლის თანაბარი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და აქტივობებში.**

იდელური იქნება, თუკი მასწავლებელი მოახერხებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობების და მიზნების გათვალისწინებას და თავისი საგაკვეთილო პროცესის იმგვარად დაგეგმვას, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ზუსტად იმავე

საგაყვებელი პროცესი იყოს ჩართული და იმ ხანგრძლივობით, როგორც სხვა მისი თანაკლასელები.

მაგალითად, თუკი მასწავლებლის ერთი კონკრეტული დღის საგაყვებელი განრიგი ითვალისწინებს მოსწავლეთა ზეპირ გამოკითხვას, მასწავლებელმა ზეპირი გამოკითხვის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს უნდა ჩართოს (ოღონდ შესაბამისად შერჩეული მეთოდით); თუკი დარჩენილი საგაყვებელი პროცესი საკლასო წერით აქტივობას ეთმობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემაც უნდა განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, თუმცა შესაძლებელია, რომ როცა სხვები წერენ მან ხატოს, როგორც ეს წინა მაგალითში არის განსაზღვრული.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, საგაყვებელი პროცესის ამგვარად დაგეგმა ყოველთვის არ ხერხდება და ხშირად გამართლებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ზეპირი გამოკითხვა სწორედ მაშინ განხორციელდეს, როდესაც მისი თანაკლასელები წერენ. ასე მასწავლებელი უფრო კონცენტრირდება ამ მოსწავლეზე; ან პირიქით, გამართლებულია მოსწავლემ ხატოს მაშინ, როდესაც სხვების ზეპირი გამოკითხვა ხორციელდება.

ამ შემთხვევაში, მთავარია, რომ მასწავლებლის მიერ შერჩეული სტრატეგია წინასწარ კარგად იყოს მოფიქრებული და ითვალისწინებდეს მოსწავლის შესაძლებლობებს, კლასის სტრუქტურას და საგაყვებელი პროცესს.

მთავარია, რომ მასწავლებელმა არ დაუშვას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უქმად ჯდომა გაყვებელზე, მაშინ როდესაც მისი თანაკლასელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

ცალკეულ შემთხვევებში, აუცილებელი ხდება, მოსწავლისთვის გაყვებელზე კლასის აქტივობებისგან სრულიად განსხვავებული აქტივობების შეთავაზებაც. მაგ. დასაშვებია, მოსწავლეს მასწავლებელმა დაფის განმენდა დაავალოს მაშინ, როდესაც კლასის სხვა მოსწავლეები საკონტროლოს წერენ ან მოსწავლემ ქართულის გაყვებელზე ხატოს და აფერადოს, მაშინ როცა მისი თანაკლასელები სხვადასხვა ზეპირ და წერით აქტივობებს ახორციელებენ. ამგვარი აქტივობები ხშირ შემთხვევაში საშუალებად გამოიყენება მოსწავლის საგაყვებელი პროცესის მიჩვევის და ქცევის წესების გამომუშავების უზრუნველსაყოფად. მთავარია, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, მოსწავლისთვის საინტერესო აქტივობები შეირჩეს და სხვა მოსწავლეების მხრიდან ზედმეტი ინტერესის გამო, საგაყვებელი პროცესის ჩაშლა არ გამოიწვიოს. ამგვარი აქტივობების გამოყენებისას, გადამწყვეტია, რომ მოსწავლეს ეს აქტივობები, დავალების სახით მასწავლებლისგან მიეცეს (ანუ ხატვა წამოიწყოს, იმიტომ რომ მასწავლებელმა დაავალა, და არა იმიტომ, რომ მას ასე მოუნდა) და გაკონტროლდეს გაყვებელის მსვლელობისას.

## ■ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

### ● რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?

მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის აუცილებლობის შესახებ დგება საკითხი, თუკი მოსწავლეს:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისას და შეფასებისას.
- არ აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო (ხანგრძლივი ავადმყოფობა), გარკვეული დროით საჭიროებს სპეციალურ სასწავლო პროგრამას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, არის შესაძლებლობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგანმანათლებლო და სასკოლო აქტივობებში ჩართვისა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას მოსწავლეზე ორიენტირებულად მოხდეს დროის იმ ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, რომელსაც მოსწავლე სასკოლო სივრცეში გაატარებს ან დაუთმობს სასწავლო საქმიანობებს სკოლაში თუ სახლში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის სახელმძღვანელო დოკუმენტი, იმისათვის, რომ არ მოხდეს მოსწავლის მექანიკური დასწრება სასკოლო სივრცეში, რასაც ასე ხშირად ჰქონდა ადგილი ამ უკანასკნელ წლებში.

აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას არა მხოლოდ საკლასო და აკადემიურ საქმიანობებში, არამედ აქ ხდება ყველა იმ არა აკადემიური საქმიანობების მოაზრებაც, რომლის განხორციელებაც მოსწავლეს უწევს სკოლაში და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ასეთი აქტივობებია ტუალეტის მოხმარება, ბუფეტში სადილის მირთმევა თანაკლასელებთან ერთად, დასვენებებზე გართობის შესაძლებლობა და სხვა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ეს არის დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო მიზნები მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში განსაზღვრული სასწავლო მიზნები შესაძლებელია განსხვავებული იყოს მოსწავლის საფეხურის შესაბამისი სასწავლო პროგრამის მიზნებისგან. შესაბამისად, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დასახული სასწავლო მიზნების განხორციელება სწავლების სპეციფიური სტრატეგიების და პროცესის განსაზღვრას გულისხმობს.

მნიშვნელოვანია, ეს პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესისაგან მოწყვეტილად და სხვა მოსწავლეებისგან იზოლირებულად (მხოლოდ რესურს ოთახში) არ მიმდინარეობდეს. პირიქით ინდივიდუალურმა გეგმამ, კიდევ უფრო უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლის სოციალიზაციას და ინტეგრაციას კლასში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ეხმარება პედაგოგს გააკონტროლოს მოსწავლის მიღწევები და წარმოადგენს საშუალებას მოსწავლის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა პირებს შორის გაზიარებისა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განახლება ხდება რეგულარულად, წინასწარ დათქმულ ვადებში და მასში



აღინერება ის ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის ეფექტური განათლების უზრუნველყოფისთვის. სასწავლო გეგმის განახლება ხორციელდება მოსწავლის შეფასების შედეგების და მისი სასწავლო მიღწევების საფუძველზე.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს მოსწავლის პედაგოგთა, სკოლის ადმინისტრაციის, მშობლის და თავად მოსწავლის შეთანხმებას სპეციალური სასწავლო პროგრამის თაობაზე და სერვისზე, რომლის უზრუნველყოფა შესაძლებელია აღნიშნული სკოლის ფარგლებში და არსებული რესურსების გათვალისწინებით.

მაშასადამე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, არის სახელმძღვანელო, რომელშიც ასახული და დასაბუთებულია კონკრეტული მოსწავლისთვის საჭირო მხარდაჭერა, რომელსაც მასთან მომუშავე ყველა მასწავლებელი თუ პროფესიონალი უნდა იზიარებდეს და მისდევდეს. ეს არ არის ხისტი დოკუმენტი, არამედ ეს არის სამუშაო დოკუმენტი, რომელიც რეგულარულ ცვლილებებს მოითხოვს. აუცილებლად უნდა ხდებოდეს მისი დროის გარკვეულ მონაკვეთში გადახედვა/გადაფასება, მოსწავლის შესაძლებლობებთან და მიღწევებთან მიმართებაში მოყვანა და საჭირო ცვლილებების განსაზღვრა.

### ● ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება ერთი მოსწავლისთვის და ის უნდა იყოს კონკრეტული მოსწავლისთვის განკუთვნილი. მისი შემუშავება არის პროცესი, რომელიც აუცილებლად გუნდურ მიდგომას გულისხმობს. ანუ, ერთი მოსწავლის მხარდასაჭერად ხდება მისი მშობლის, მასწავლებლის, სპეც. პედაგოგის, ფსიქოლოგის, მეტყველების, ოკუპაციური თერაპევტის და სხვა სპეციალისტების შეთანხმებული და მიზანმიმართული მუშაობა. იმ პირებს, რომლებიც მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განვითარების და განხორციელების მიზნით ერთიანდებიან შემოკლებით **ისგ** გუნდს უწოდებენ. გუნდური მუშაობის პროცესი მოქმედებს სასწავლო გეგმის განხორციელების ყველა ეტაპზე. გუნდის ყველა წევრს თავისი პასუხისმგებლობის სფერო და საზღვრები გააჩნია გეგმასთან და მოსწავლესთან მიმართებაში.



გუნდის ყოველი სპეციალისტი თავისი პერსპექტივიდან ახდენს მოსწავლის შეფასებას, რათა გამოავლინოს ის

ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოსწავლის სასწავლო აქტივობებში ჩართულობაზე. გუნდის შეხვედრაზე, გუნდის წევრები განიხილავენ მოპოვებულ ინფორმაციას, განსაზღვრავენ მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მშობლის, პედაგოგის პიორიტეტის და სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, თანხმდებიან სასწავლო მიზნებზე და მიზნების მისაღწევ გზებზე. მნიშვნელოვანია, რომ გუნდის ყოველი წევრი უშუალოდ იცნობდეს მოსწავლეს და თავისი წვლილი შეჰქონდეს გეგმის შემუშავების და განხორციელების პროცესში.

მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელება გუნდის წევრთა რეგულარულ შეხვედრებს გულისხმობს ინფორმაციის გაზიარების და საერთო შეთანხმების მიღწევის მიზნით.

გუნდური შეხვედრები საშუალებას იძლევა:

- მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გუნდის წევრებს შორის გაზიარების და შევსების,
- მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებზე ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების,
- შეთანხმებული მიზნების დასახვის,
- ერთიანი საჭირო სასწავლო ღონისძიებების და სტრატეგიების დაგეგმვის,
- დახმარების ღონის განსაზღვრის,
- შეფასების ერთიანი პროცედურის შეთანხმების.

გუნდის შეხვედრებს ორგანიზებას და კოორდინირებას მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორი უწევს, რომელიც განისაზღვრება სკოლის ადმინისტრაციის მიერ. ხშირ, შემთხვევაში ასეთ პირად მოსწავლის დამრიგებელი, იშვიათად კი სპეც. პედაგოგი ან ფსიქოლოგი სახელდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორის მოვალეობაა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, განხორციელების და მინიტორინგის პროცესის კოორდინირება. ეს პროცესი მოსწავლის სწავლების პროცესში ჩართულ პირთა შეთანხმებული და თანამშრომლობითი ურთიერთობების ნახალისებას გულისხმობს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორის ამოცანაა შეხვედრების ორგანიზება, წარმართვა, განხილული ინფორმაციის თავმოყრა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტში ასახვა.


### ● ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების ეტაპები

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი 5 ეტაპისგან:

1. ინფორმაციის შეგროვება,
2. მიმართულების განსაზღვრა,
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება,
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება,
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა (გადაფასება) და განახლება.

● ინფორმაციის შეგროვება

მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლის და მისი სასწავლო პროცესის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის შეგროვება. ამ ინფორმაციის საფუძველზე, გუნდის წევრებს უნდა შეექმნათ სრულფასოვანი სურათი მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესის შესახებ, მის საგანმანათლებლო საჭიროებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. ამისათვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორის ხელმძღვანელობით ხდება გუნდის წევრებს შორის შესაფასებელი სფეროების გადანაწილება, რომელსაც გუნდის ყოველი წევრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აფასებს. თავმოყრილი ინფორმაციის საფუძველზე უნდა გამოიკვეთოს მოსწავლისთვის ოპტიმალური სასწავლო მიზნები და სტრატეგიები.



მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდი უფლებამოსილია მოითხოვოს და გაეცნოს მოსწავლის შესახებ არსებულ სამედიცინო დასკვნებს ან სხვა წერილობით დოკუმენტებს, განახორციელოს კონსულტაციები კომპეტენტურ პირებთან, მოახდინოს უშუალო დაკვირვება მოსწავლის სასწავლო აქტივობებში ჩართულობისას, განახორციელოს მოსწავლის პიროვნული ფაქტორების შეფასება სხვადასხვა სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენებით.

მნიშვნელოვანია, გუნდის წევრებმა, საჭირო ყურადღება დაუთმონ იმ სასწავლო გარემოს ანალიზსაც, სადაც ჩართულია მოსწავლე. ყველასათვის ცნობილია, რომ გარემო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პიროვნულ ფაქტორებზე და განსაზღვრავს მოსწავლის საქმიანობის წარმატებას.

**მშობელთა, მოსწავლეთა, პედაგოგთა, სკოლის პერსონალის და სხვა პროფესიონალთა კონსულტაცია** წარმოადგენს მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მნიშვნელოვან პროცესს და უნდა ხორციელდებოდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და განხორციელების ყველა ეტაპზე.



**მშობელთა კონსულტაციის** შედეგად შესაძლებელია მოსწავლის პიროვნული ფაქტორების (ინტერესების, მოლოდინების) შესახებ საგულისხმო ინფორმაციის შეგროვება. გარდა ამისა, მშობელი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრიორიტეტული სფერო, რომლის გაუმჯობესებაც მშობლის პერსპექტივიდან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა განხორცილდეს.

**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კონსულტაცია** მნიშვნელოვანია, რამდენადაც თუკი ის თავად განსაზღვრავს თავის ინტერესებს და პრიორიტეტულ სფეროებს, ის მეტი პასუხისმგებლობით ჩაერთვება ამ მიზნის მიღწევის პროცესში და შედეგიც უფრო ეფექტიანი იქნება. ყველა მოსწავლე უნდა იღებდეს აქტიურ მონაწილეობას საკუთარი სასწავლო გეგმის შედგენის და მიზნების დასახვის პროცესში. იმ შემთხვევებში კი, როდესაც მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე არ შეუძლია სრულფასოვანო მონაწილეობის მიღება სასწავლო გეგმის შემუშავებაში, აუცილებელია მისი სურვილები, ინტერესები და მიდრეკილებები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში. მნიშვნელოვანია, პროფესიონალთა მიერ მოხდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში აქტიური მონაწილეობის ნახალისება. მოსწავლეთა მხრიდან ინფორმაციის მიღება უნდა ხდებოდეს ინტერვიუს, დისკუსიის, კითხვარის მეთოდებით.

**საგნის მასწავლებელთა კონსულტირება** მნიშვნელოვანია, რამდენადაც საგნის თავისებურებიდან გამომდინარე, მათ მოსწავლესთან განსხვავებულ სასწავლო გარემოში უწევთ ურთიერთობა (ეზოში –ფიზკულტურის გაკვეთილზე, მუსიკის კაბინეტში – სიმღერის გაკვეთილზე და ა.შ). პედაგოგები მოსწავლის პიროვნული ფაქტორების, ინტერესების, რესურსების შესახებ საგულისხმო ინფორმაციას ფლობენ და მნიშვნელოვნად შეავსებენ სხვა პროფესიონალთა მიერ მოპოვებულ ცნობებს.

**სხვა პროფესიონალთა კონსულტაცია** და მონაწილეობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში მნიშვნელოვანია, რადგანაც მათ მოსწავლის სხვადასხვა პიროვნული ფაქტორების შეფასების ობიექტური მეთოდოლოგია გააჩნიათ და ექსპერტიზის სფეროს გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი რეკომენდაციების გაცემა შეუძლიათ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით. პროფესიონალთა შორის შეიძლება იყვნენ:

- ფსიქოლოგი,
- სპეციალური განათლების პედაგოგი,
- მეტყველების თერაპევტი,
- ოკუპაციური თერაპევტი,
- ექიმი,
- სოციალური მუშაკი და სხვა.

**ინფორმაციის შეგროვება მოსწავლეზე დაკვირვების** გზით, შესაძლებელია უზრუნველყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის იმ წევრებმა, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს. შესაძლებელია, პედაგოგები მოსწავლის ამა თუ იმ პიროვნული ფაქტორის თუ უნარის შეფასების სტანდარტულ ინ-



სტრუმენტებს არ იცნობდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ კომპეტენტურად შეუძლიათ მოსწავლეზე დაკვირვების და მოსწავლის ნამუშევრების ანალიზის შედეგად, ამომწურავი ინფორმაციის უზრუნველყოფა მოსწავლის:

- წერის, თხრობის, ანგარიშის თავისებურებების შესახებ
- ქცევის მახასიათებლებზე
- კომუნიკაციის უნარზე
- ინფორმაციის ათვისების და გადამუშავების უნარზე
- ყურადღებაზე, მეხსიერებაზე და ა.შ.

მოსწავლებელმა შესაძლებელია საფუძვლიანად აღწეროს, როგორ რეაგირებს მოსწავლე განსხვავებულ გარემოში სხვადასხვა გარემო პირობებზე, იცვლება თუ არა საკლასო ჩართულობა და დღის ფონზე, ხალხმრავალ გარემოში, განათების ცვლილებისას და ა.შ.

**მოსწავლის სიღრმისეული შეფასება** ხშირად აუცილებელი ხდება მოსწავლის უნარების შესახებ ობიექტური მონაცემების მიღების მიზნით. ამას როგორც წესი პროფესიონალთა გუნდი ახორციელებს სტანდარტული ინსტრუმენტების, ტესტების გამოყენებით, რომლებიც სხვადასხვა პიროვნულ ფაქტორებს – აკადემიურ უნარებს და ფსიქიკურ ფუნქციებს იკვლევენ.

მოსწავლის სიღრმისეული შეფასება შესაძლებელია განახორციელოს სკოლის ფსიქოლოგმა ან სპეც. პედაგოგმა. დამატებითი შეფასების პროცედურის საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია მულტიდისციპლინური გუნდის მონაწილეობა, რომელიც მოსწავლის უნარების კომპეტენტურ შეფასებას მოახდენს. ხშირ შემთხვევაში, ზოგიერთი ტესტის ჩასატარებლად, საჭიროა მშობელთა ან მეურვის წინასწარი ინფორმირება და მათი თანხმობა პროცედურის განხორციელებისთვის. საჭიროა, მშობელს დეტალურად მიენოდოს ინფორმაცია, თუ რა სფეროების შესახებ იძლევა ესა თუ ის ინსტრუმენტი მონაცემებს და როგორ მოხდება შეფასების შედეგების მოსწავლის სასწავლო გეგმაში გათვალისწინება.

### ● ინფორმაციის დამუშავება და ჩანერა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის შეხვედრაზე ხდება მოსწავლის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის თავმოყრა და მოსწავლის შესაძლებლობების და საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორი პასუხისმგებელია გუნდის წევრების მიერ მოპოვებული ინფორმაციის ერთიანი ჩანაწერის სახით გაერთიანებაზე.

მნიშვნელოვანია მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზება და მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოდიფერენცირება. ეს ყველას ნათელ პერსპექტივას შეუქმნის, თუ რა სფეროები საჭიროებენ გაუმჯობესებას და მოსწავლის რომელი რესურსები შეიძლება ამისთვის გამოვიყენოთ.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრების მიერ მოპოვებული ინფორმაცია, უნდა აისახოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტის შესაბამის გრაფებში.

### ● მიმართულების განსაზღვრა

მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვების შემდეგ, მნიშვნელოვანია განისაზღვრონ ის პირები, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვებიან მოსწავლის ინდივიდუალური გეგმის განხორციელების პროცესში. სკოლაში მოსწავლეს მრავალ პედაგოგთან უნევს ურთიერთობა, თუმცა დასაშვებია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაში მხოლოდ რამოდენიმე მათგანი ჩაერთოს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონაწილე პედაგოგები დასახული მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრებიან. გუნდის მონაწილენი შესაძლებელია იცვლებოდნენ მოსწავლის მიზნების და საჭიროებების შესაბამისად.

მნიშვნელოვანია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრებს შორის როლების და პასუხისმგებლობების განაწილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების ყველა ეტაპზე ხდებოდეს.

### ● სკოლის ადმინისტრაციის როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდში

- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორის განსაზღვრა,
- აკადემიური წლის დაწყებიდან (ან სწავლის დაწყებიდან) დაახლოებით ერთ თვეში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების უზრუნველყოფა,
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განვითარების და მიმდინარეობის მონიტორინგი,
- მოსწავლისთვის საჭირო მხარდაჭერის უზრუნველყოფა სკოლის რესურსების გათვალისწინებით,
- სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა მოსწავლის გარდამავალი პერიოდისათვის მზადების ან საჭირო კონსულტაციის მიღების მიზნით,
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტზე პასუხისმგებლობის აღება.

### ● ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორის როლი გუნდში

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეხვედრების ორგანიზება,
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტაციის და მოსწავლის პორტფოლიოს წარმოება,
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრებს შორის თანამშრომლობის წახალისება,
- მონაწილეობის მიღება მოსწავლის შეფასების პროცესში,
- მონაწილეობის მიღება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზნების და



სტრატეგიების განსაზღვრაში,

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კონკრეტულ მიზანზე მუშაობა მოსწავლესთან,
- მოსწავლისთვის საჭირო მასალის მომზადება,
- მოსწავლესთან დამატებითი მეცადინეობების განხორციელება,
- მოსწავლის მშობელთან რეგულარული კონსულტაციების განხორციელება,
- საჭიროების შემთხვევაში, მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეხვედრებში ჩართულობის უზრუნველყოფა.

#### ● პედაგოგების როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდში

- მონაწილეობის მიღება მოსწავლის შეფასების პროცესში,
- მონაწილეობის მიღება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზნების და სტრატეგიების განსაზღვრაში,
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კონკრეტულ მიზანზე მუშაობა მოსწავლესთან,
- მოსწავლისთვის საჭირო მასალის მომზადება,
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედეგების დოკუმენტირება,
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის სხვა წევრებთან თანამშრომლობა, მათი საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა,
- მოსწავლესთან დამატებითი მეცადინეობების განხორციელება,
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის შეხვედრებში მონაწილეობის მიღება.

#### ● სპეციალური პედაგოგის და სკოლის ფსიქოლოგის როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდში

- მონაწილეობის მიღება მოსწავლის აკადემიური უნარების შეფასების პროცესში,
- პედაგოგის კონსულტირება სწავლების სტრატეგიების, კურიკულუმის მოდიფიკაციის თაობაზე,
- პედაგოგის კონსულტირება სასწავლო მასალასთან დაკავშირებით, სასწავლო მასალის მომზადება,
- მოსწავლესთან დამატებითი მეცადინეობების განხორციელება დასახული მიზნის მისაღწევად,
- პედაგოგის მხარდაჭერა კლასში გაკვეთილის მსვლელობისას,

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის სხვა წევრებთან თანამშრომლობა,
- მოსწავლის მშობელთან რეგულარული კონსულტაციების განხორციელება,
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის შეხვედრებში მონაწილეობის მიღება,
- საკუთარი ჩანაწერის გაკეთება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტში.



● მულტიდისციპლინური გუნდის როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდში

- საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღება,
- მოსწავლის შეფასება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე,
- მასწავლებლის კონსულტირება დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე,
- რეგულარული კონსულტაციები ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ჩართულ ყველა პირთან,
- საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის შეხვედრებში მონაწილეობის მიღება.



### ● ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

მოსწავლის უნარების და სასწავლო გარემოს დეტალური შეფასების შემდეგ იწყება მუშაობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად.

არსებობს საზოგადო შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს მოსწავლისთვის ადეკვატურ, ფუნქციურ და ასაკისთვის შესაბამის მიზნებს. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა, რომელიც ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაშია წარმოდგენილი შესაბამისობაში მოდიოდეს საკლასო აქტივობებთან, რუტინასთან, ინსტრუქციების ტიპთან და პირიქით. საკლასო პროგრამა და ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა უნდა იყოს ურთიერთ შეთანხმებული და ურთიერთმორგებული.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილების შემდეგ, მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების დასახვა, სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა, სწავლების პროცესის სხვა იმგვარი დამატებითი საკითხების დაზუსტება, როგორც არის მოსწავლის სასწავლო განრიგი, საჭირო დამხმარე საშუალებები და სერვისები. საკვანძო საკითხია ასევე, როგორ მოხდება მოსწავლის მიღწევების შეფასება.

### ● გრძელვადიანი მიზანი

გრძელვადიანი (წლიური) მიზანი არის დებულება, რომელსაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრები შეთანხმებულად აყალიბებენ და რომლის მიღწევასაც სასწავლო წლის დასრულებისას მოელიან მოსწავლის ძლიერი მხარეების, საჭიროებების, მიღწევის არსებული დონის და სკოლის რესურსების გათვალისწინებით. ეს მიზანი უნდა ასახავდეს რეალისტურ მოლოდინს მოსწავლის მიმართ და არა რიგიდულ მოთხოვნილებას. შესაბამისად, მიზანი შესაძლებელია შეიცვალოს მას შემდეგ, რაც პედაგოგები მოსწავლეს უკეთ გაიცნობენ და ობიექტურ წარმოდგენას შეიქმნიან მის შესახებ, არსებულ რესურსებზე, სწავლის სტილზე და ტემპზე.

### ● მოკლევადიანი მიზნები

მოკლევადიანი მიზნები უფრო კონკრეტული და სპეციფიურია. მათ გრძელვადიანი მიზნებისკენ მივყავართ და მათი მიღწევა უფრო მოკლე პერიოდში არის მოსალოდნელი. მოკლევადიანი მიზნების მიღწევა შესაძლებელია ორ კვირაში, ერთ ან ორ თვეში. გუნდი, რომელიც ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შედგენაზე მუშაობს, თავად გადაწყვეტს დროის რა ინტერვალია ადეკვატური მოცემული კონკრეტული მიზნისთვის მოსწავლის უნარების გათვალისწინებით. დათქმულ დროს უნდა მოხდეს მოსწავლის მიზანთან მიღწევის დონის შეფასება.

მოკლევადიანი მიზნები წარმოადგენს საფეხურებს გრძელვადიანი მიზნებისაკენ. თავის მხრივ მოკლევადიანი მიზნებიც შედგება საფეხურებისგან, ანუ კიდევ უფრო პატარა მიზნებისგან, რომელსაც უფრო მცირე დროითი ინტერ-

ვალი სჭირდება და მკვეთრად განსაზღვრული თანმიმდევრობით ლაგდებიან მარტივიდან რთულისაკენ.

მოკლევადიანი მიზნები იმ სახით უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ იყოს ძალიან კონკრეტული და თვალსაჩინოდ ასახავდეს მოსწავლის მოსალოდნელ ქცევას, რომლის მიღწევაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდს აქვს დასახული. მიზანი უნდა იყოს დაკვირვებადი და გაზომვადი.

### ● მიზნის მიღწევის გზები

მოსწავლის სასწავლო მიზნების განსაზღვრის შემდეგ, გუნდი თანხმდება იმ სასწავლო სტრატეგიებზე, რომლის საშუალებითაც მოხდება მოსწავლის მიერ დასახული უნარების და ცოდნის ათვისების პროცესის უზრუნველყოფა.



შესაბამისად უნდა განისაზღვროს:

- **ვინ მუშაობს დასახულ მიზანზე მოსწავლესთან ერთად:** სრულიად დასაშვებია ერთი და იგივე მიზანზე სამუშაოდ ერთი ან რამდენიმე პედაგოგი დასახელდეს. მაგალითად, ხუთამდე გადათვლის უნარის განვითარებაზე ადეკვატურია, რომ პასუხისმგებელი იყოს მათემატიკის მასწავლებელი, ეს ლოგიკურია საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგრამ იმავდროულად, იგივე მიზანზე შესაძლებელია შეთანხმებულად იმუშაონ სხვა პედაგოგებმაც, მაგ. ფიზკულტურის მასწავლებლმა და შესაბამის გაკვეთილზე მოსწავლეს ევალუბოდეს თანაკლასელების გადათვლა. გვახსოვდეს, მიზანი უფრო სწრაფად მიიღწევა და მტკიცდება, თუკი მისი შესაბამისი აქტივობის ნახალისება სხვადასხვა სასწავლო თუ ყოველდღიურ სიტუაციაში ხორციელდება.
- **სად ხორციელდება დასახულ მიზანზე მუშაობა:** დასაშვებია მიზანზე მუშაობა არა მხოლოდ კლასში, არამედ რესურს ოთახშიც დამატებითი მეცადინეობის სახით.

- **სწავლების რა მეთოდები და აქტივობები იქნება გამოყენებული:** მიზანი არ მიიღწევა თუკი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის მიერ არ შეირჩევა მიზნის შესაბამისი აქტივობები, დავალებები თუ სავარჯიშოები, რომელთა სისტემატური გამოყენება მიზნის მიღწევის გარანტს წარმოადგენს.
- **რა სახის მატერიალური რესურსია მიზნისთვის საჭირო:** რა მასალა, თვალსაჩინოებები იქნება სასარგებლო მიზნის შესაბამისი აქტივობების განხორციელების პროცესში. აქვე უნდა განისაზღვროს, ვინ არის ამ მასალის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი, პედაგოგი, თუ სპეც, პედაგოგი. ვინ ამზადებს თვალსაჩინოებებს, ამარტივებს ტექსტებს, და ა.შ.
- **რა დამხმარე საშუალებები ესაჭიროება** მოსწავლეს და ვინ იქნება მათ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი.
- **როგორ მოხდება მოსწავლის წახალისება:** ჩაერთოს და განახორციელოს აღნიშნული აქტივობები, შეინარჩუნოს მოტივაცია და ინტერესი სავარჯიშოს მიმართ. აქვე უნდა განისაზღვროს, რა იქნება მისთვის საუკეთესო ჯილდო და განმამტკიცებელი.
- **რა სახის დახმარება და დახმარების რა დონე** იქნება მოსწავლისთვის გამართლებული, იმისათვის რომ მისი მაქსიმალური ჩართულობა წახალისდეს და დაბრკოლებებმა არ მოახდინოს მისი ფრუსტრაცია.

**გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, მნიშვნელოვანია გუნდმა განსაზღვროს და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დოკუმენტირდეს:**

- **მოსწავლის სასწავლო განრიგი.** ანუ რა დროს ატარებს მოსწავლე თავის კლასში კლასელებთან ერთად და რა მიზანზე ხდება მუშაობა. რომელ კონკრეტულ გაკვეთილებს ესწრება ის, რომელი გაკვეთილები ჩაანაცვლა რესურს ოთახში მეცადინეობით და რა დროს გაატარებს ის იქ.
- **მოსწავლის სასწავლო დატვირთვა.** ანუ რამდენ ნუთიანი გაკვეთილები არის მოსწავლისთვის ოპტიმალური, რა ხანგრძლივობის შესვენებებია მისთვის რეკომენდირებული; დასვენების რა ფორმებია განსაზღვრული რესურს ოთახში და კლასში.
- **ინფორმაცია დამხმარე პირის შესახებ.** რომელ გაკვეთილებზე საჭიროებს მოსწავლე კლასში სპეც. პედაგოგის ან ფსიქოლოგის დამატებით მხარდაჭერას, რაში გამოიხატება ეს მხარდაჭერა და ა.შ.
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის შეხვედრის თარიღი.** ანუ დროის რა ინტერვალის გასვლის შემდეგ შეიკრიბება გუნდი და რა იქნება მათი განხილვის საგანი.
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადაფასების თარიღი.** ხშირ შემთხვევაში, გუნდი წინასწარ თანხმდება როდის მოხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადაფასება,
- **შეფასების რა სისტემით მოხდება** მოსწავლის მიღწევების მონიტორინგი და რა სიხშირით მოხდება ეს.



### ● ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელება საკმაოდ დინამიური პროცესია და არ გამოირიცხავს გეგმაში ასახული სასწავლო მიზნების და სტრატეგიების ცვლილების შესაძლებლობას (მოსწავლის უკეთ შეცნობის შემდეგ).

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პრაქტიკაში განხორციელება მასწავლებლის მხრიდან მუდმივ აქტივობას გულისხმობს, მოამზადოს მოსწავლისთვის სასწავლო მასალა და შეუსაბამოს ის საგაკვეთილო კონტექსტს და აქტივობებს.



საჭიროა გამუდმებით ხორციელდებოდეს კონტროლი იმისა, რამდენად ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის მიერ შემუშავებული გეგმის განხორციელება და დასახული მიზნების მიღწევა. მნიშვნელოვანია, ხორციელდებოდეს მოსწავლის მიღწევების შეფასება.

შეფასების იმ სისტემის მიხედვით, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იყენებენ და რომელიც აღწერილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, მოსწავლეები ფასდებიან ათ ქულიანი სისტემით. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის სასურველია გამოყენებული იქნას შეფასების იგივე ათ ქულიანი სისტემა, ოღონდ განსხვავებული იქნება ის მინიმალური ბარიერები, რომელიც უნდა გადალახოს მოსწავლემ ამა თუ იმ ქულის მისაღებად.

მოსწავლის შეფასება ხორციელდება მის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებთან მიმართებაში, იმის მიხედვით, მიაღწია თუ არა ბავშვმა დასახულ კონკრეტულ შედეგს.

მიზნის მიღწევის მონიტორინგისთვის, გამართლებულია ქვემოთ მოცემული ცხრილის გამოყენება, სადაც აღნიშნულია მიზნის შესაბამისი აქტივობები და კვირის დღეები, როდესაც ხდება ამ აქტივობის განხორციელება. მასწავლებელს



ევალუაცია აქტივობის განხორციელების შემდეგ, შესაბამის გრაფაში განახორციელოს ჩანიშვნა და შეაფასოს მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

აქტივობები	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	ჯამი/საშ. არითმ.
ჭრის სწორ ხაზზე						
აერთებს წერტილებს						
ქულების დაჯამება:						

შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი სისტემის მიხედვით.

**სუსტი** – სჭირდება ხშირი სიტყვიერი ან ფიზიკური მითითება დავალების შესასრულებლად, დამოუკიდებლად ასრულებს დავალების მხოლოდ მცირე დეტალს.

**დამაკმაყოფილებელი** – სჭირდება ინტენსიური სიტყვიერი მინიშნება და ზოგჯერ ფიზიკური დახმარება. სამუშაოს უმეტეს ნაწილს აკეთებს თავად.

**საშუალო** – ზოგჯერ სჭირდება სიტყვიერი კონტროლი და ფიზიკური მინიშნება თითქმის აღარ სჭირდება.

**მაღალი** – შეუძლია დამოუკიდებლად და სუფთად შეასრულოს დავალება.

მიღწევის თვისობრივი მაჩვენებლები შესაძლებელია გადავიყვანოთ რაოდენობრივში შეფასების ათ ქულიანი სისტემის გამოყენებით:

ნიშნები	მიღწევის დონეები
10	მაღალი
9	
8	
7	საშუალო
6	
5	საშუალოზე დაბალი
4	
3	სუსტი
2	
1	

კვირის ბოლოს ხდება მოსწავლის მიერ დაგროვილი ქულების დაჯამება და შესაძლებელია გრაფიკების აგება, სადაც ასახული იქნება რამდენიმე კვირის შედეგი. (შესაძლებელია ქულების პირდაპირ დაჯამების ნაცვლად, მოხდეს მათი საშუალო არითმეტიკულის დათვლა). გრაფიკები თვალსაჩინოდ გამოხატავს ხდება თუ არა შედეგების გაუმჯობესება.

არსებული მეორე მიდგომის თანახმად, მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო მიღწევების შეფასება ქულებით არ არის რეკომენდირებული და უფრო გამართლებულია მოსწავლის მიღწევების თვისობრივი დახასიათება.

ესა თუ ის მიზანი მიღწეულად ითვლება თუ მოსწავლის მიერ დაგროვილი შეფასება სტაბილურად (მინიმუმ ორი კვირის მანძილზე) არის მაღალი. თუ აღმოჩნდა, რომ შედეგები სტაბილურად დაბალია ან უფრო მეტიც, უარესდება, უნდა მოხდეს დასახული მიზნების და შემუშავებული პროგრამის გადახედვა.

წარუმატებლობის მიზეზი შეიძლება იყოს:

- მიზნების შეუსაბამობა მოცემულ ეტაპზე – დასახულია მოსწავლისთვის ძალიან რთული და თითქმის განუხორციელებელი მიზნები
- შემუშავებული პროგრამის შეუსაბამობა – პროგრამა, აქტივობები და მეთოდები არაადეკვატურია მოცემული კონკრეტული მიზნებისთვის.
- საჭირო მატერიალური, ადამიანური თუ სხვა სახის რესურსების ნაკლოვანება ან არ ქონა
- დროის სიმცირე – დაგეგმილია მიზნის ან მიზნების არაადეკვატურად მცირე დროში მიღწევა. საჭიროა მეტი დრო მოსწავლესაც და სპეციალისტსაც დასახული მიზნების მისაღწევად.

მიმდინარე შეფასებამ შესაძლებელია ცხადყოს გეგმაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა. ცვლილება შესაძლებელია ითვალისწინებდეს:

- ახალი სასწავლო მიზნების დასახვას,
- დასახული მიზნების ქვემიზნებად დანაწევრებას,
- სწავლების სტრატეგიების, დახმარების საშუალებების ცვლილებას.

რასაკვირველია ყოველი დაგეგმილი ცვლილება წინასწარ უნდა ეცნობოს მოსწავლის მშობელს და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდს. სავალდებულოა მიზნის ცვლილებებთან ერთად დამატებით განისაზღვროს მიზნის მიღწევის სავარაუდო პერიოდი.

### ● ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა (გადაფასება) და განახლება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვის და განახლების პროცესი წარმოადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მნიშვნელოვან ეტაპს, რომელიც დაგეგმილი პროცედურაა და რომლის საშუალებითაც გუნდი ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიმდინარეობის შეჯამებას. ამ დროს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრების ვალდებულებაა მოსწავლის მიღწევების ერთმანეთისთვის გაცნობა და განსაზღვრა, რამდენად უახლოვდება მოსწავლე განსაზღვრულ შედეგს, ხომ არ არის საჭირო გარკვეული ცვლილებების განხორციელება გეგმის ოპტიმიზაციისთვის.

მნიშვნელოვანია, ყოველი განსაზღვრული ცვლილების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დოკუმენტირება.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი და მისი შინაარსი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წერილობითი დოკუმენტია. ამ ეტაპზე არ არსებობს გეგმის უნივერსალური ფორმა ან სქემა, რომელსაც საქართველოში ყველა საგანმანათლებლო სისტემა გაიზიარებდა და გამოიყენებდა. ესა თუ ის საგანმანათლებლო დანერგვები უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა, რომელიც მისთვის ყველაზე მეტად მოსახერხებელი იქნება. მთავარია, გეგმაში ხდებოდეს ყველა მნიშვნელოვანი საკითხის ასახვა და თავმოყრა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა შესაძლებელია იყოს განსხვავებული, თუმცა შინაარსი ხშირად ერთია. ის შეიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- დემოგრაფიული მონაცემები,
- მოსწავლის შეფასების შედეგები (ძლიერი და სუსტი მხარეები),
- გრძელვადიანი მიზნები,
- მოკლევადიანი მიზნები,
- პროგრამა ანუ განხორციელების გზები,
- მიღწეული შედეგების მონიტორინგი,
- ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული შეხვედრის ოქმები.

ქვემოთ გთავაზობთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშს.

● ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში<sup>2</sup>

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ნიმუში)  
გამარტივებული ფორმა

სკოლა . . . . . კლასი II კლასი

მოსწავლე . . . . . მარიამი . . . . .

დაბადების თარიღი . . . . . ასაკი. . . . .8 წლის . . . . .

მშობელი/მეურვე . . . . .

მისამართი/ტელეფონი . . . . .

შეხვედრის თარიღი . . . . .

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა 2007 წლის ოქტომბრიდან, 2008 წლის ივნისამდე.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გადაიხედება 2008 წლის მარტში.

შეხვედრის ტიპი (შემოხაზეთ)

საწყისი გადაფასება საჭიროებისამებრ დაგეგმილი შეფასება წლიური შეფასება

მონაწილეები:

პედაგოგი . . . . .

ფსიქოლოგი . . . . .

სპეც. განათლების პედაგოგი . . . . .

ლოგოპედი . . . . .

მშობელი/მეურვე . . . . .

2 მოცემული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის ნიმუში და შედგენილია მოსწავლისთვის, რომელსაც პირობითად მარიამი ჰქვია.



ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კომპონენტები	დამხმარე კითხვები	შეფასება
ძლიერი მხარეები	<p>რისი გაკეთება შეუძლია მოსწავლეს?</p> <p>რა აინტერესებს?</p> <p>რა მოსწონს?</p> <p>რაშია მოსწავლე ყველაზე წარმატებული?</p> <p>(აღწერეთ დაწვრილებით და ზუსტად)</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- ცნობს რიცხვებს 10-ის ფარგლებში, უმატებს ციფრებს ჩხირების ან თითების დახმარებით.</li> <li>- შეუძლია კარნახით ასოების ჩანერა და სიტყვების გადანერა ნიგნიდან, რვეულიდან ან დაფიდან.</li> <li>- ყვება მარტივ ისტორიებს საკუთარი ცხოვრებიდან;</li> <li>- უყვარს ცეკვა, ხატვა, სიმღერა, სპორტული აქტივობები;</li> <li>- სიამოვნებით ასრულებს მორიგეობასთან დაკავშირებულ დავალებას: დაფის განმედა, რვეულების ჩამორიგება, ყვავილების მორწყვა.</li> </ul>
პრობლემური სფეროები	<p>რა პრობლემები უჩნდება მოსწავლეს ყველაზე ხშირად?</p> <p>როდის იჩენენ პრობლემები თავს?</p> <p>(აღწერეთ დაწვრილებით და ზუსტად)</p>	<p>პრობლემები თავს იჩენს გაკვეთილზე: მარიამი არ ასრულებს საკლასო დავალებებს: არ კითხულობს, არ პასუხობს მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს, არ წერს კლასთან ერთად. ხშირად ითხოვს გაკვეთილიდან სხვადასხვა მიზეზით გასვლას (წყალზე, ტუალეტში).</p>
მიზეზები	<p>თქვენი აზრით რა იწვევს პრობლემებს სწავლის პროცესში?</p> <p>(აღწერეთ დაწვრილებით და ზუსტად)</p>	<p>მარიამს უჭირს მეორე კლასის პროგრამის ათვისება: კითხულობს ნელა, ასო-ასო, საკუთარი წაკითხულიდან უჭირს აზრის გამოტანა; ვერ ანგარიშობს ზეპირად ათის, ფარგლებში, ვერ ანგარიშობს ოცის ფარგლებში; მეცადინეობისას სწრაფად იღლება და სწყინდება.</p>

<p>საჭიროებები</p>	<p>რა ჭირდება მოსწავლეს იმისათვის, რომ უკეთ გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები?</p> <p>რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის რომ მოსწავლემ უკეთესად იგრძნოს თავი სკოლაში, თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან?</p> <p>(აღწერეთ დანვრილებით და ზუსტად)</p>	<p>მარიამს სჭირდება: მისი შესაძლებლობების შესაბამისი მასალის მისთვის საინტერესო ფორმით მიწოდება;</p> <p>მეტი თვალსაჩინოება, როგორც ქართულის, ასევე მათემატიკის გაკვეთილზე; ყოველი, თუნდაც მცირედი წარმატების შექებით განმტკიცება;</p>
<p>წლიური მიზანი</p>	<p>რისი მიღწევა გვინდა სასწავლო წლის განმავლობაში?</p> <p>/გაინერება ცალ-ცალკე მიზანი ყველა იმ საგანისა და სასწავლო აქტივობასათვის, სადაც მოსწავლეს პრობლემა აქვს/</p>	<p>მარიამი ჩართულია გაკვეთილის მსვლელობის პროცესში და ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს.</p> <p>ასრულებს მიმატება-გამოკლებას 10-ის ფარგლებში;</p> <p>გადაბმით კითხულობს მოკლე წინადადებებს და ესმის ნაკითხულის შინაარსი</p> <p>კითხვებზე მოკლე პასუხების გაცემით ყველა გაკვეთილს</p>
<p>მოკლევადიანი მიზნები</p>	<p>რისი მიღწევა გვინდა საწყის, მეორად და შემდგომ ეტაპზე წლიური მიზნის მისაღწევად?</p> <p>/გაინერება ცალ-ცალკე მიზანი ყველა იმ საგანისა და სასწავლო აქტივობასათვის, სადაც მოსწავლეს პრობლემა აქვს/</p>	<p>მარიამი ასრულებს მასწავლებლის მარტივ ინსტრუქციებს (მაგ. გადაშალე წიგნი, ამოიღე რვეული, არ გახვიდე საკლასო ოთახიდან)</p> <p>ასრულებს მიმატება-გამოკლებას 5-ის ფარგლებში;</p> <p>გადაბმით კითხულობს მარტივ სიტყვებს და იცის მათი შინაარსი</p> <p>ყველა გაკვეთილს სურათების დახმარებით ან კითხვებზე მოკლე პასუხის გაცემით</p>

<p>პრაქტიკული საკითხები</p>	<p>რა დამატებითი მასალა შეგვიძლია გამოვიყენოთ ?</p> <p>რა მეთოდი ავირჩიოთ სწავლებისათვის?</p> <p>როგორ მოვარგოთ გარემო ბავშვის საჭიროებებს?</p> <p>როგორ გავზარდოთ სწავლის მოტივაცია ?</p>	<p>გაკვეთილის შინაარსის შესაბამისი დამხმარე თვალსაჩინო მასალა</p> <p>მარიამს ეძლევა მოკლე, მარტივი ინსტრუქციები და შეკითხვები.</p> <p>მარიამი დავალებს ასრულებს ნახატების, ჩხირების დახმარებით</p> <p>მარიამი ზის მასწავლებელთან ახლოს, მის წასახალისებლად გამოიყენება სიტყვიერი შექება, რაიმე სიმბოლო (ვარსკვლავი, დროშა, გალიმებული მზე)</p>
<p>პასუხისმგებელი პირები</p>	<p>ვინ არის პასუხისმგებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაზე</p> <p>რა კონკრეტული მოვალეობები ეკისრება გუნდის წევრებს? (პედაგოგი, მშობელი, ფსიქოლოგი და სხვ)</p>	<p>მარიამის კლასის დამრიგებელი – ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგს</p> <p>ფსიქოლოგი – ამზადებს მარიამისათვის საჭირო თვალსაჩინო მასალებს, აძლევს რეკომენდაციებს პედაგოგს, მშობლებს.</p> <p>მშობელი- ახდენს სკოლაში მიღებული ცოდნის განმტკიცებას, თვალყურს ადევნებს სახლში დავალების შესრულების პროცესს და სისტემატიური კონტაქტი აქვს პედაგოგთან.</p>

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მოცემული ნიმუში, მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ არის შესაძლებელი გეგმის შედგენა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი\*

ვის მიერ ხორციელდება მონიტორინგი - - - - -

დასახული აქტივობები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი

\* მოკლედ აღწერეთ დასახული აქტივობების განხორციელების რაოდენობრივი და/ან თვისობრივი მაჩვენებლები (როგორ და რა სახშირით შეასრულა მოსწავლემ მისთვის განკუთვნილი დავალება)

**ნიმუში**

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა  
გამარტივებული ფორმა

სკოლა . . . . . კლასი . . . . .

მოსწავლე . . . . .

დაბადების თარიღი. . . . . ასაკი. . . . .

მშობელი/მეურვე . . . . .

მისამართი/ტელეფონი . . . . .

შეხვედრის თარიღი . . . . .

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა . . . . . დან . . . . . მდე

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გადაიხედება . . . . .

შეხვედრის ტიპი (შემოხაზეთ)

საწყისი გადაფასება საჭიროებისამებრ დაგეგმილი შეფასება წლიური შეფასება

მონაწილეები:



პედაგოგი . . . . .

ფსიქოლოგი . . . . .

სპეც. განათლების პედაგოგი . . . . .

ლოგოპედი . . . . .

მშობელი/მეურვე . . . . .

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კომპონენტები	დამხმარე კითხვები	შეფასება
ძლიერი მხარეები	<p>რისი გაკეთება შეუძლია მოსწავლეს?</p> <p>რა აინტერესებს?</p> <p>რა მოსწონს?</p> <p>რაშია მოსწავლე ყველაზე წარმატებული ?</p> <p>(აღწერეთ დანვრილებით და ზუსტად)</p>	
პრობლემური სფეროები	<p>რა პრობლემები უჩნდება მოსწავლეს ყველაზე ხშირად?</p> <p>როდის იჩენენ პრობლემები თავს?</p> <p>(აღწერეთ დანვრილებით და ზუსტად)</p>	
მიზეზები	<p>თქვენი აზრით რა იწვევს პრობლემებს სწავლის პროცესში?</p> <p>(აღწერეთ დანვრილებით და ზუსტად)</p>	

<p>საჭიროებები</p>	<p>რა ჭირდება მოსწავლეს იმისათვის, რომ უკეთ გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები?</p> <p>რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის რომ მოსწავლემ უკეთესად იგრძნოს თავი სკოლაში, თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან?</p> <p>(აღწერეთ დანვრილებით და ზუსტად)</p>	
<p>წლიური მიზანი</p>	<p>რისი მიღწევა გვინდა სასწავლო წლის განმავლობაში?</p> <p>/გაიწერება ცალ-ცალკე მიზანი ყველა იმ საგანისა და სასწავლო აქტივობასათვის, სადაც მოსწავლეს პრობლემა აქვს/</p>	
<p>მოკლევადიანი მიზნები</p>	<p>რისი მიღწევა გვინდა საწყის, მეორად და შემდგომ ეტაპზე წლიური მიზნის მისაღწევად?</p> <p>/გაიწერება ცალ-ცალკე მიზანი ყველა იმ საგანისა და სასწავლო აქტივობასათვის, სადაც მოსწავლეს პრობლემა აქვს/</p>	

<p>პრაქტიკული საკითხები</p>	<p>რა დამატებითი მასალა შეგვიძლია გამოვიყენოთ ?</p> <p>რა მეთოდი ავირჩიოთ სწავლებისათვის?</p> <p>როგორ მოვარგოთ გარემო ბავშვს საჭიროებებს?</p> <p>როგორ გავზარდოთ სწავლის მოტივაცია ?</p>	
<p>პასუხისმგებელი პირები</p>	<p>ვინ არის პასუხისმგებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაზე</p> <p>რა კონკრეტული მოვალეობები ეკისრება გუნდის წევრებს? (პედაგოგი, მშობელი, ფსიქოლოგი და სხვ)</p>	

**ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი\***

ვის მიერ ხორციელდება მონიტორინგი .....

დასახული აქტივობები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი

\* მოკლედ აღწერეთ დასახული აქტივობების განხორციელების რაოდენობრივი და/ან თვისობრივი მაჩვენებლები (როგორ და რა სახშირით შეასრულა მოსწავლემ მისთვის განკუთვნილი დავალება).

## ■ მოსწავლის პორტფოლიო

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა პორტფოლიო წარმოადგენს კრებულს, სადაც თავს იყრის მოსწავლის შესახებ ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც კონკრეტული მოსწავლის სწავლასა და განათლებას უკავშირდება. პორტფოლიოში კომპაქტურად არის თავმოყრილი ყველა ის დოკუმენტი და მასალა, რომელიც ასახავს მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მის სოციალურ და საგანმანათლებლო გარემოს. პორტფოლიო წარმოადგენს გზამკვლევს მოსწავლის განათლების დაგეგმვის და წარმართვის პროცესში.

პორტფოლიოს შემადგენლობაში შედის:

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (მოსწავლის განათლებასთან დაკავშირებით მკვეთრად განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნებით);
- კონკრეტული პროგრამა – გზები და მეთოდები რომლითაც ხდება მოსწავლისთვის ოპტიმალური საგანმანათლებლო პირობების უზრუნველყოფა, დამხმარე საშუალებები და მასზე პასუხისმგებელი პირები;
- სასწავლო განრიგი – კლასში გაკვეთილებზე დასწრების და რესურსოთახში მეცადინეობის ცხრილი;
- რესურსის ჩამონათვალი და აღწერილობა, რომელიც მიზნების მისაღწევად არის საჭირო; (მაგალითად, მოსწავლისთვის დამატებითად განსაზღვრული სარეაბილიტაციო და/ან საგანმანათლებლო აქტივობები სკოლაში და სკოლის გარეთ, როგორც არის მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა).
- მოსწავლის ნამუშევრების კრებული და თვალსაჩინო მასალა, რომელიც ასახავს მოსწავლის საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობას და მიღწევებს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის ნამუშევრები (წერილობითი, ნახატები) იყოს დათარიღებული და მოწესრიგებულად ჩალაგებული შესაბამისი მიზნის დასადასტურებლად.
- მოსწავლის შეფასებები.

პორტფოლიო, რომელიც წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ირგვლივ სკოლაში გაერთიანებული პროფესიონალების მიერ შედგენილ სახელმძღვანელო დოკუმენტს, გამოყენება როგორც გზამკვლევი მოსწავლის შემდგომი საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვის პროცესში. პორტფოლიო თვალსაჩინოდ უნდა ასახავდეს მოსწავლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და სპეციფიკას და გასაგები უნდა იყოს გუნდის ნებისმიერი ახალი წევრისთვის, რომელიც შესაძლებელია ჩაერთოს ან ჩაენაცვლოს რომელიმე პროფესიონალს. პორტფოლიო გასაგები უნდა იყოს ასევე მშობლისთვისაც, რომელსაც აქვს უფლება რეგულარულად გაეცნოს მას და ყოველთვის იყოს ინფორმირებული ბავშვის მიღწევების და საჭიროებების შესახებ. პორტფოლიოს წარმოება საშუალებას აძლევს მშობლებს და ოჯახის სხვა წევრებს,



მოსწავლის განათლების დაგეგმვის პროცესში მათი ცოდნა, გამოცდილება და შეხედულებები იყოს გათვალისწინებული და იმავდროულად, იძლევა შაშუალებას აქტიურად ჩაებან საკუთარი შვილის განათლების დაგეგმვაში.

პორტფოლიო ემსახურება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესების დაცვას სკოლაში და სკოლის გარეთ.

პორტფოლიოს შედგენაზე პასუხისმგებლობას იღებს სკოლა და მასში მონაწილეობს მოსწავლესთან ახლო კონტაქტში მყოფი ყველა სპეციალისტი, მისი ოჯახის წევრები და რაც მთავარია, თავად მოსწავლე.

პორტფოლიოზე უშუალო პასუხისმგებლად შეიძლება შეირჩეს პირი (უმეტეს შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს კლასის დამრიგებელი, მაგრამ შეიძლება იყოს სხვა ადამიანიც), რომელიც მართავს და კოორდინირებს მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შესრულებას, ორგანიზებას უკეთებს საჭირო შეხვედრებს, უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და პორტფოლიოში ორგანიზებას. ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც გროვდება სპეციალისტების მიერ, ეგზავნება პასუხისმგებელ პირს. ეს უკანასკნელი კი წყვეტს, არის თუ არა არსებული ინფორმაცია საკმარისი და თუ არა, რა სახის ინფორმაციაა საჭირო დამატებით.

პორტფოლიოში თავმოყრილი ინფორმაცია, არის გარანტია იმისა, რომ ბავშვი იქნება დაცული გადაფასების ან პირიქით არასათანადო შეფასებისგან და შესაბამისად სკოლის და კურიკულუმის იმ გადაჭარბებული მოთხოვნებისგან, რომელიც მოცემულ სიტუაციაში მოსწავლის შესაძლებლობებს არ შეესაბამება.

პორტფოლიო ასევე წარმოადგენს გზამკვლევეს სკოლის ადმინისტრაციისა და სამეურვეო საბჭოსთვის. იგი მიუთითებს სკოლის ადმინისტრაციას კონკრეტულად რა სახის მხარდაჭერა არის მათგან საჭირო, რომ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები დაკმაყოფილდეს.

### ■ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების აკადემიური და სოციალური მიღწევების შეფასება

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე შესაძლებელია ფასდებოდეს დანარჩენი მოსწავლეების მსგავსად (თუ კი ის მიყვება სკოლის სასწავლო გეგმას და პროგრამა მისთვის მხოლოდ ადაპტირებულია) ან მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აკადემიური მიღწევების შესაბამისად. როდესაც შეფასება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით ხდება, იგი მთლიანად მოსწავლის შესაძლებლობებსა და უნარებს ეფუძნება (სასწავლო პროგრამებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი 2008<sup>3</sup>).

შეფასება ყოველთვის უნდა აღწერდეს:

- თუ რისი უნარი აქვს მოსწავლეს და რა არის მისი შემეცნების პროცესის ძლიერი მხარე;

<sup>3</sup> სასწავლო პროგრამებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი (2008), ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებისათვის 2008-2009 წლებში გვ. 20.

- სფეროებს, სადაც მოსწავლეს დამატებითი ყურადღება ან განვითარება ესაჭიროება;
- მოსწავლის სწავლის უნარის განვითარებისთვის აუცილებელ დამხმარე საშუალებებს.

ამგვარი წერილობითი კომენტარი მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიღწევებსა და განხორციელების სირთულეებს უნდა აღწერდეს. სადაც საჭიროა წერილობითი კომენტარი უნდა მიუთითებდეს გზებს, რომლებიც საშუალებას მისცემს მოსწავლეს უკეთ ისწავლოს და უნდა განსაზღვრავდეს ამ მიღწევებისათვის საჭირო დროის მონაკვეთს. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლის შეფასებისათვის 0-დან 10-მდე ნიშნები გამოიყენება.

როდესაც მოსწავლის საგანმანათლებლო პროგრამის გარკვეული ნაწილის წარმართვაზე პასუხისმგებელია სპეციალური პედაგოგი ან ფსიქოლოგი და არა კლასის პედაგოგი, მან მოსწავლის წარმატებებისა და წარუმატებლობის შესახებ წერილობითი ანგარიში კლასის პედაგოგს უნდა წარუდგინოს.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასება აღწერდეს თუ რაში ვლინდება მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება:

- მოსწავლისთვის აუცილებელია სკოლის სასწავლო გეგმის ადაპტირება (მაგ. მოსწავლე მიჰყვება იგივე სასწავლო პროგრამას, მაგრამ პროგრამის ცალკეული ნაწილები ადაპტაციას საჭიროებს.)
- მოსწავლე სძლევს სკოლის სასწავლო გეგმას, მაგრამ ზოგიერთი საგანი საჭიროებს სასწავლო გეგმის და შედეგების მოდიფიცირებას (მაგალითად, ზოგიერთ საგანში მოსალოდნელი სასწავლო შედეგები რეგულარული სასწავლო პროგრამისაგან ძირეულად განსხვავებულია; მაგალითად, მათემატიკა სრულიად ინდივიდუალურად ისწავლება და მისი მიზანია მოსწავლის ცხოვრებისეულ უნარ-ჩვევებში ორიენტაცია);
- მოსწავლისთვის აუცილებელია სკოლის სასწავლო გეგმის და მოსალოდნელი შედეგების მთლიანად მოდიფიცირება. (მაგალითად, გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლისათვის პროგრამის მიზანია მისთვის დამოუკიდებლობისა და თვით მოვლის უნარების განვითარება).

ბევრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო შედეგები მათი თანაკლასელთა მსგავსია, მაგრამ მათთვის პედაგოგი ადაპტირებული შეფასების პროცედურებს იყენებს (მაგ. წერითი, ზეპირი გამოცდის ნაცვლად). შეფასების ადაპტირებული პროცედურების გამოყენება მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში უნდა იქნას ასახული. ამ მოსწავლეებისათვის შეფასება ხდება სასწავლო კურსის/პროგრამის სასწავლო შედეგების მიხედვით. შეფასების მეთოდები და ანგარიშგება უნდა იყოს სამინისტროს 5-დან მე-12 კლასების ანგარიშგების პოლიტიკის თანმიმდევრული.

ზოგიერთი მოსწავლის პროგრამამ კი შესაძლოა მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია მოითხოვოს. ასეთი პროგრამების ზოგიერთი ან ყველა სასწავლო შედეგი

რეგულარული სასწავლო პროგრამისგან საგრძნობლად განსხვავებული იქნება. ამ შემთხვევებში შეფასება ეფუძნება ამ შედეგების მიღწევის ხარისხს. შესაბამისად, ყველა შეფასება ინდივიდუალურად შემუშავებული სტანდარტების მიხედვით გაკეთდება.

მშობლებს შეუძლიათ სკოლის დახმარება სწავლის შედეგების და მოსწავლის განვითარების პროგრესის შეფასებაში, განსაკუთრებით სოციალური მიზნების, ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების და განვითარების მხრივ.

### ■ ინკლუზიური განათლების პროცესის ხელშეწყობი (დამხმარე) საშუალებები

ხშირ შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ეფექტურ ჩართულობას დამხმარე საშუალებების გამოყენება დამატებით უწყობს ხელს. ხელშემწყობი საშუალებები ეხმარება მოსწავლეს გახდეს უფრო დამოუკიდებელი და გაუადვილდეს თანამონაწილეობა შემდეგ საქმიანობებში:

- კომუნიკაცია და ინტერაქცია თანატოლებთან და გარშემო მყოფ პირებთან,
- თვით მოვლის აქტივობების შესრულება სკოლაში (სადილი, ტუალეტის მოხმარება),
- წერა და კითხვა,
- გადაადგილება სკოლის გარემოში,
- თამაში და ა.შ.

დამხმარე საშუალება შეიძლება იყოს მაღალ ტექნოლოგიური და ძვირად ღირებული ტექნიკა და მოწყობილობა (კომპიუტერი, ელექტროეტილი, და ა.შ.) ან იოლი და იმავდროულად იაფი (მაგ. ანტისლიპი რვეულის მერხზე მოძრაობის შესაფერხებლად, სანერი კალმის გასქელებული ტარი და ა.შ.). მთავარია, მისი შერჩევა მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით ხდებოდეს და ის

- უზრუნველყოფდეს მოსწავლის მიერ სასკოლო და საკლასო აქტივობებში უკეთეს და უფრო ეფექტურ ჩართულობას,
- უადვილებდეს მოსწავლეს ამა თუ საკლასო აქტივობის განხორციელებას,
- უზრუნველყოფდეს ამა თუ იმ დეფიციტური უნარის კომპენსაციას,
- უზრუნველყოფდეს ამა თუ იმ დეფიციტური უნარის გაუმჯობესებას.

მოსწავლისთვის დამხმარე საშუალების შერჩევას უნდა გავითვალისწინოთ, რომ საკლასო აქტივობების განხორციელების პროცესში ის იოლად უნდა გამოიყენებოდეს, იყოს მაქსიმალურად ფუნქციური, ზედმეტად არ იქცევდეს სხვა მოსწავლეთა ყურადღებას და ამით არ ინვესტირდეს საკლასო აქტივობის შეფერხებას.

საქართველოში, ამ ეტაპზე მაღალ ტექნოლოგიური და ძვირად ღირებული დამხმარე საშუალებები (ელექტრო ეტილები გადაადგილებისთვის, კომპიუტერული ტექნიკა და პორტატიული კომპიუტერები წერის პრობლემების მქონე მოსწავ-

ლეთათვის) არ არის ხელმისაწვდომი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია ამ მაღალ ტექნოლოგიური პროდუქციის შედარებით იაფი და ხელმისაწვდომი საშუალებებით ჩანაცვლება. სწორი გამოსავლის მოძიება, ხშირად შესაბამის პირთა კრეატიულობაზე დამოკიდებული.

მაგალითად, თბილისის ერთ-ერთ ინკლუზიური სკოლაში, პედაგოგი აქტიურად იყენებდა მაგნიტურ დაფას, რომელსაც უდგამდა მერხზე გადაადგილების პრობლემების მქონე მოსწავლეს, რომელსაც ეტლის უქონლობის გამო თავად დაფასთან გასვლა არ შეეძლო, თუმცა ხშირად გამოხატავდა სურვილს არითმეტიკული მაგალითები სხვების წინაშე ამოეხსნა.

მოსწავლისთვის დამხმარე საშუალების შერჩევა შესაბამის პროფესიონალთა (ოკუპაციური თერაპევტი, სპეც. პედაგოგი, მასწავლებელი) გადანყვეტილების საფუძველზე უნდა ხდებოდეს და მოსწავლის შეფასების შედეგებს, მის საჭიროებებს უნდა ეფუძნებოდეს.

დამხმარე საშუალების თაობაზე გადანყვეტილების მიღებისას, აუცილებელია, მოსწავლის მშობლის აზრის გათვალისწინებაც და მისი თანხმობა ადაპტაციის გამოყენებასთან დაკავშირებით. ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლები წინააღმდეგნი არიან მათი შვილები რაიმე განსხვავებულ საშუალებებს (ეტლი, განსხვავებული მერხი, სანერი საშუალება) იყენებდნენ და ამით კიდევ უფრო მეტად გამოირჩეოდნენ თავიანთი თანატოლებისგან. ამ შემთხვევაში, აუცილებელია, მშობელთა ინფორმირება და დამხმარე საშუალებების საჭიროების თაობაზე შეთანხმება.

გუნდის გადანყვეტილება დამხმარე საშუალების გამოყენების თაობაზე, უნდა დოკუმენტირდეს მოსწავლის პორტფოლიოში და/ან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში, იმავდროულად უნდა განისაზღვროს პირობები და გარემოებები, როდესაც მოსწავლეს შერჩეული დამხმარე საშუალება შეიძლება დასჭირდეს.

გარდა დამხმარე საშუალების შერჩევისა, მნიშვნელოვანია მისი გამოყენების სწავლებაც მოსწავლისთვის და ამაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა.

ქვემოთ მოცემულია ხშირად გამოყენებადი დამხმარე ტექნოლოგიები.

### ● კომპიუტერული ტექნიკა

კომპიუტერული ტექნიკა და პორტატიული კომპიუტერები აქტიურად გამოიყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. ამასთანავე, მას აქტიურად მოიხმარენ პედაგოგები მოსწავლისთვის შესაბამისი დავალებების მოსამზადებლად.

კომპიუტერული ტექნიკა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს:

- ტექსტის დაბეჭდვისა, თუკი ნატიფმოტორული პრობლემების გამო აღინიშნება სირთულეები ხელით წერისას,
- შესაბამისი გახმოვანებით მოისმინოს ტექსტი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია, თუკი აღინიშნება მხედველობისა და/ან კითხვის სირთულეები,
- წარმოთქმული ტექსტის წერილობით ფორმატში გადაყვანისა, თუკი



ნატიფმოტორული პრობლემების გამო აღინიშნება სირთულეები ხელით წერისას,

- ტექსტების ფორმატირების, შრიფტის გაზრდის, ფონტის შერჩევის კითხვისა და მხედველობის პრობლემების შემთხვევაში.

გარდა ამ შესაძლებლობისა, ყოველწლიურად იქმნება ინოვაციური კომპიუტერული პროგრამები, რაც შესაძლებლობას იძლევა დიგიტალურ ფორმატში მოცემული მასალის მოსწავლის საჭიროების შესაბამისად გამოყენებისა.

### ● საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და საშუალებები

საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და საშუალებები განსხვავდება სირთულის, ღირებულების და მრავალ ფუნქციურობის მიხედვით. მათ სხვაგვარად აუგმენტატურ და ალტერნატიულ საკომუნიკაციო საშუალებებსაც უწოდებენ, რომელთა გამოყენების მიზანია მოსწავლის კომუნიკაციური სირთულეების კომპენსირება ვოკალიზაციის, უესტების, ნიშნების ან ბარათების გამოყენებით.

მოსწავლის კომუნიკაციის სირთულეები შესაძლებელია გამოწვეული იყოს მრავალი ფაქტორით, რომელთა შორისაც არის:

- სამეტყველო აპარატის კუნთების პათოლოგიური მდგომარეობა და მეტყველებისთვის საჭირო მოძრაობების სირთულეები,
- მეტყველების ერთი ერთეულიდან შემდეგზე გადართვის სირთულე (ერთი ბგერისგან მეორეზე, ან ერთი სიტყვიდან შემდეგ სიტყვაზე გადასვლა),
- შეზღუდული სიტყვათა მარაგი,
- სხვისი მეტყველების გაგების და/ან წვდომის (აღქმის) სირთულეები,
- კომუნიკაციისთვის არასაკმარისი მოტივაციის არსებობა და სხვა

მნიშვნელოვანია არ მოხდეს მოსწავლის მწირი მეტყველების არასწორი ინტერპრეტაცია. თუ მოსწავლე არ მეტყველებს, ეს არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია, ან არ უნდა კომუნიკაცია. კომუნიკაციის აუგმენტური და ალტერნატიული გზები, სწორედ ვერბალური მეტყველების კომპენსაციის ეფექტურ საშუალებებს წარმოადგენენ. ესენია:

- სიმბოლური ნახატების სისტემა,
- ნიშნების ენათა სისტემა.

გადანყვეტილების მიღება, ამ საშუალებებიდან რომელი უნდა გამოიყენებოდეს კონკრეტულ მოსწავლესთან, მის უნარებზე და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული და შესაბამის პროფესიონალთა გადანიშნულების შედეგად უნდა ხდებოდეს მოსწავლის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

კომუნიკაციის ორივე საშუალებას გააჩნია სირთულის იერარქია, რომლის განსაზღვრა ისევ და ისევ მოსწავლის უნარების შესაბამისად უნდა ხდებოდეს.

მაგალითად, ზოგიერთ მოსწავლესთან საკომუნიკაციო საშუალებად ეფექტურია სიმბოლური ნახატების სისტემიდან ფოტოების გამოყენება, რომლებიც მის რეალურ გარემოს მაქსიმალური სიზუსტით ასახავენ, ზოგიერთი მოსწავლის

განვითარების დონე კი იძლევა ნახატების ან სიმბოლური გრაფიკული გამოსახულების გამოყენების შესაძლებლობასაც.

შესაბამის სპეციალისტს შეუძლია კონკრეტული მოსწავლისთვის ბარათების სისტემის შექმნა, თუმცა მათი უნივერსალური ფორმატიც არსებობს. მოსწავლისთვის სიმბოლური ნახატებით კომუნიკაციის უნარის განვითარება პროფესიონალის მხრიდან შესაბამის მომზადებას და კომპეტენტურობას მოითხოვს.

ნიშნების ენათა სისტემის ფარგლებშიც არსებობს კომუნიკაციის განსხვავებული სირთულის სტრატეგიები. მაგალითად, ერთი მესიჯის გადასაცემად შესაძლებელია გამოიყენებოდეს ერთი ნიშანი (მარტივი სტრატეგია), ან რამდენიმე ნიშანი ერთად და შესაბამისი ნიშნებით წინადადებებიც კი შეიქმნას (შედარებით რთული სტრატეგია). რომელი მათგანის გამოყენება მოხდება კონკრეტულ მოსწავლესთან, ეს ისევ და ისევ მის უნარებზეა დამოკიდებული.

### ● ტექნოლოგიები და საშუალებები გადაადგილებისთვის და ჯდომისთვის

გადაადგილების ტექნოლოგიებსა და საშუალებებში მოიაზრება ეტლები, სალიარულო ჩარჩოები (ჭოჭინები), ლიფტები, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლის მეტ დამოუკიდებლობას სკოლის სივრცეში გადაადგილებისას. მოსწავლისთვის გადაადგილების საშუალების შერჩევა ასევე შესაბამისი პროფესიონალის მიერ უნდა ხდებოდეს და მის ფიზიკურ მდგომარეობას კარგად უნდა იყოს მორგებული. ზოგადად, რაც უფრო მწირია მოსწავლის ფიზიკური შესაძლებლობები, მით უფრო მრავალ ფუნქციური და მაღალ ტექნოლოგიური ეტლია რეკომენდირებული მოსწავლისთვის დამოუკიდებლობის გარკვეული დონის უზრუნველყოფისთვის სასკოლო და საკლასო სივრცეში.

ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეებისთვის საკლასო აქტივობებში ეფექტური ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, ხშირად მნიშვნელოვანია შესაბამისად ადაპტირებული ავეჯის (მერხის, სკამის) შერჩევა და მისი საშუალებით სწორი პოზის უზრუნველყოფა.

მიჩნეულია, რომ სწორი პოზა არის წინაპირობა სხვადასხვა აქტივობების წარმატებით განხორციელებისა. მაგალითად, ცერებრული დამბლის მქონე მოსწავლეს, რომელსაც აღენიშნება წონასწორობის პრობლემები სკოლის სტანდარტულ მერხთან ჯდომისას, პარალელურად გაუჭირდება ყურადღებით უსმინოს მასწავლებელს, ან შეასრულოს წერიტი აქტივობები. ამ დროს მისი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მან როგორმე შეინარჩუნოს წონასწორობა. აღნიშნულ საკლასო აქტივობებში მისი ჩართულობის გაუმჯობესება, მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი ადაპტირებული ავეჯის შერჩევით და უზრუნველყოფით იქნება შესაძლებელი.

### ● სხვა დამხმარე საშუალებები

ქვემოთ მოცემული სხვა შესაძლო დამხმარე საშუალებების ჩამონათვალი რასაკვირველია არ არის სრული, რამდენადაც, როგორც ვთქვით, სასკოლო აქტივო-

ბების შესასრულებლად საჭირო საშუალებები დამოკიდებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და შესაბამისი პროფესიონალის კრეატიულობაზე.

სკოლის გარემოში ხშირად გამოყენებადი საშუალებებია:

- კალკულატორი,
- გადიდებულ ლილაკებიანი ან გამარტივებული კომპიუტერული კლავიატურა,
- ადაპტირებული მაუსი,
- მაგნიტური დაფა და მაგნიტური ასოები,
- ადაპტირებული საკანცელარიო ნივთები (მაკრატელი, სანერი კალმის გასქელებული ტარი),
- წიგნის დამჭერი,
- ანტისლიპი (მაგიდის, სკამის ზედაპირზე დასაკრავი სპეციალური მასალა (მუშამბის მსგავსი), რომელიც ხელს უშლის ნივთების: რვეული, წიგნი და სხვა ზედაპირიდან ჩამოსრიალებას, გაცურებას)
- თვალსაჩინო ბარათები, ნიშნულები და ა.შ.

საქართველოში ხშირად მიუწვდომელია ესა თუ ის დამხმარე საშუალება, თუმცა მათი დეფიციტი არ უნდა ნიშნავდეს, რომ ინკლუზიური განათლება შეუძლებელი და განუხორციელებელია ჩვენს ქვეყანაში. უნდა გვახსოვდეს, რომ ადაპტირებული საშუალება არასდროს ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს მოსწავლის წარმატებულ ჩართულობას სასწავლო პროცესში, არამედ ის მხოლოდ დამხმარე, დამატებითი საშუალებაა მოტივირებული პედაგოგისთვის.

## ■ სკოლის ფიზიკური გარემოს ორგანიზება

სხვა მრავალ განხილულ ფაქტორთან ერთად, სკოლის ფიზიკური გარემო და მისი ორგანიზება მნიშვნელოვნად შეიძლება განსაზღვრავდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასკოლო აქტივობებში ჩართულობას. ფიზიკურმა გარემომ შესაძლებელია შეაფერხოს მოსწავლის სკოლაში ინკლუზიის პროცესი, მისმა სწორად ორგანიზებამ კი მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი სასკოლო აქტივობებში ჩართულობას. ხშირად, მოსწავლისთვის საჯარო სკოლაში, თანატოლებთან ერთად, სწავლა შეუძლებელი ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ მოსწავლე სკოლის სივრცეში გადაულახავ დაბრკოლებებს აწყდება კიბის სახით, სკოლის შესასვლელთან და სართულებს შორის;



ან ტუალეტია არაადაპტირებული და მოსწავლეს სკოლაში ხანგრძლივად დარჩენის საშუალება არ ეძლევა.

თანამედროვე სკოლის შენობობი იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მისი სივრცე ნებისმიერი მოსწავლისთვის იყოს მისაწვდომი და მასში ორიენტირება ყველასთვის იოლი და შესაძლებელი იყოს. გარდა ამისა, საყოველთაოდ იქნა აღიარებული, რომ ადაპტირებული სკოლა სასარგებლოა არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის, არამედ ყველა მოსწავლისთვის თანაბრად.

იმისათვის, რომ სკოლის სივრცე მისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს სკოლის შენობის აგებისთანავე. ესენია:



#### • პანდუსი სკოლის შესასვლელთან.

პანდუსის არსებობა აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ ეტლით მოსარგებლე მოსწავლეს სკოლის შენობაში შეღწევის შესაძლებლობა მიეცეს. პანდუსის კეთებისას, აუცილებელია მისი დახრილობის სტანდარტული კუთხის დაცვა და სახელურებით აღჭურვა. თუკი სკოლას პანდუსის აშენება სკოლის შენობის დასრულების შემდეგ უნევს, ადმინისტრაციამ სასურველია მიმართოს კომპეტენტურ უწყებას (არქიტექტურულ ფირმას და ოკუპაციურ თერაპევტს), იმისათვის, რომ ის სტანდარტების შესაბამისად აიგოს და მისი გადალახვა ზედმეტ სირთულეებს არ უქმნიდეს მოსწავლეს. გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ სტანდარტების დაცვის შემთხვევაში არის პანდუსის დახრილობის გადალახვა ეტლით მოსარგებლე მოსწავლისთვის და/ან მისი მშობლისთვის შესაძლებელი და უსაფრთხო.

სკოლის ადმინისტრაციამ, კი უნდა გაითვალისწინოს, რომ პანდუსი აუცილებელია სკოლის ცენტრალურ შესასვლელთან აშენდეს, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს იმავე შესასვლელით მიეცეს სარგებლობის შესაძლებლობა, რითაც მისი თანაკლასელები სარგებლობენ.



- **ზღურბლები გასასვლელებში:** იმისათვის, რომ ეტლით მოსარგებლე ან გადაადგილების სირთულეების მქონე მოსწავლეების სკოლის სივრცეში მობილობა უსაფრთხო და იოლი იყოს, სასურველია გასასვლელებში (კლასის, ბუფეტის, ტუალეტის შესასვლელში) ზღურბლები არ არსებობდეს. გასათვალისწინებელია, რომ მინიმალური სიმაღლის ზღურბლიც კი, გადაადგილების სირთულეების მქონე მოსწავლეს შეიძლება დამატებით სირთულეებს უქმნიდეს და წონასწორობის დაკარგვის მიზეზი გახდეს.
- **გასასვლელების სიგანე:** მნიშვნელოვანია კარების სიგანე ისე იყოს შერჩეული, რომ ეტლით მოსარგებლე მოსწავლეს მასში გასვლა დაბრკოლებების გარეშე შეეძლოს.
- **კარები და სახელოები:** კარების სახელოების სიმაღლე ისე უნდა იყოს შერჩეული რომ ის მისაწვდომი იყოს მოსწავლეებისთვის. თუმცა იდეალური სიმაღლე არ არსებობს, რამდენადაც მოსწავლეები სიმაღლის მიხედვით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან. სასურველია, რომ კარები აღჭურვილი იყოს როგორც ვერტიკალური ასე ჰორიზონტალური სახელოებით (ძელებით), რომ მასზე ჩაჭიდება მოსახერხებელი იყოს სხვადასხვა სიმაღლის და მოტორული პრობლემების მქონე მოსწავლეებისთვის. კარების სახელოების სიგანე სასურველია შეირჩეს სტანდარტის შესაბამისად და კარი არ იყოს ძალიან მძიმე, რომ მისი გაღება და დახურვა მოსწავლისგან ზედმეტ ძალისხმევას არ საჭიროებდეს. ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის იდეალურია ელექტრო მექანიზმით აღჭურვილი კარები, რომლებიც დამოუკიდებლად იღება და იხურება ადამიანის მიახლოებისთანავე.
- **ლიფტი:** ზოგიერთი სკოლა აღჭურვილია ლიფტით, რაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ვერტიკალურ სივრცეში გადაადგილების ორიენტაციას უწყობს ხელს. იმავდროულად, აღსანიშნავია, რომ ყველა სკოლას არა აქვს ლიფტის შექმნის და დამონტაჟების სახსრები, მაგრამ, თუკი მოსწავლის სასწავლო პროცესი მისი შესაძლებლობების და სკოლის სხვა რესურსების გათვალისწინებით გონივრულად დაიგეგმება, ეს მოსწავლის სასკოლო აქტივობებში ჩართულობის შეფერხების მიზეზი არ გახდება. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, უმრავლეს სკოლებში სწავლების კაბინეტური სისტემაა დანერგილი და მოსწავლეებს სხვადასხვა საგნების, სხვადასხვა კაბინეტებში და კლასებში მოსმენა უწევთ, კლასები კი ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა სართულზეა განლაგებული. ლიფტის არარსებობა, ეტლით მოსარგებლე მოსწავლისთვის სხვადასხვა გაკვეთილებზე დასწრების შესაძლებლობას არ იძლევა. ამ შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უფლებამოსილია დაუშვას გამონაკლისი იმ კლასისთვის, სადაც ეტლით მოსარგებლე მოსწავლე ირიცხება, შეურჩიოს მათ საკლასო ოთახი სკოლის პირველ სართულზე და მათთვის კაბინეტური სისტემა გააუქმოს.



- **ტუალეტი:** მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში არსებობდეს ადაპტირებული ტუალეტები ეტლით მოსარგებლემოსწავლეებისთვის. ადაპტირებული ტუალეტები აუცილებლად უნდა იყოს აღჭურვილი უნიტაზებით და შესაბამის სიმაღლეზე დამონტაჟებული სახელურებით, რაც აუცილებელია მოსწავლის ეტლიდან უნიტაზზე ტრანსფერისთვის და პირიქით. იმავდროულად ტუალეტის კაბინას, უნდა ჰქონდეს საკმარისი სივრცე, იმისათვის, რომ მასში ეტლით მანევრირება (მოხვევა, მოტრიალება) შესაძლებელი იყოს. სასურველია ადაპტირებული ტუალეტის კაბინის კარები გარეთ იღებოდეს.
- **ნიშნულები:** სკოლის სივრცეში კედლებზე სხვადასხვა შინაარსის ნიშნულების განთავსება, მნიშვნელოვანი დამხმარე საშუალებაა შენობაში ორიენტაციისთვის. ის სასარგებლოა არა მხოლოდ სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის, არამედ ყველა მოსწავლისთვის (მათ შორის პირველ კლასელებისთვის). ნიშნულები ხელს უწყობს მოსწავლეებს, იოლად იპოვონ ბუფეტი, ტუალეტები, სხვადასხვა კაბინეტები და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ნიშნულები, შესაბამისი გამოსახულებებით, ადვილად იყოს აღსაქმელი მოსწავლეებისთვის და შესაბამის სიმაღლეზე იყოს განთავსებული.  
თუკი სკოლაში მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლე ირიცხება, მისთვის შესაძლებელი კედელზე ტაქტილური ბილიკის დამაგრება, რაც მას გაუიოლებს კლასის მოძებნას და ორიენტაციას.

აღსანიშნავია, რომ სასკოლო სივრცის ადაპტაციასთან ერთად (რაც სასარგებლოა ყველა მოსწავლისთვის), ხშირად აუცილებელი ხდება, კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, საკლასო სივრცის მორგება. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, საჭირო გახდეს მერხების იმგვარად გადალაგება, რომ ეტლით მოსარგებლემოსწავლეს კლასში შესვლა და მანევრირება შეეძლოს. ხშირად, ამ მოსწავლეებს გასასვლელთან ახლოს უჩენენ ადგილს. ზოგიერთი მოსწავლისთვის, პირიქით, საჭირო ხდება შუა რიგში, მასწავლებლის მაგიდის გასწვრივ ადგილის გამონახვა, რომ მუდმივად შეინარჩუნოს თვალებით კონტაქტი მასთან და მაქსიმალურად იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში. შესაბამისად, ნათელია, რომ მოსწავლისთვის კლასში დასაჯდომი ადგილის განსაზღვრა, მისი და სხვა მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს.

დასაჯდომი ადგილის შერჩევის პარალელურად, მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის მერხის შერჩევაც. მხოლოდ შესაბამისი ზომისა და სიმაღლის მერხი და სკამი უზრუნველყოფს მოსწავლისთვის ჯდომის სწორ პოზას და გაუიოლებს მას საგაკვეთილო აქტივობების განხორციელებას.

**ჯდომის სწორი პოზა<sup>4</sup>**

მოსწავლისთვის სკამის სიმალლე იმგვარად უნდა იყოს შერჩეული, რომ ჯდომისას შეეძლოს ტერფების სრული დაყრდნობა იატაკის ზედაპირზე და იმავდროულად მუხლის და მენჯის სახსარში ფეხები 90 გრადუსით იხრებოდეს.

დასაჯდომი ზედაპირი არ უნდა იყოს მოკლე და უნდა მისდიოდეს მუხლის უკანა ნაწილამდე.

მაგიდის სიმალლე მოსწავლეს 90 გრადუსით მოხრილი იდაყვების ქვეშ უნდა ებჯინებოდეს. დაბალი მაგიდა გამოიწვევს მოსწავლის ზედატანის წინ გადახრას, ხოლო მაღალი მაგიდა მოსწავლის მხრებში მოხრილობას.

თუკი, მოსწავლეს კითხვისას და წერისას მაინც აღენიშნება მაგიდის ზედაპირისკენ გადახრის ტენდენცია, რეკომენდებულია, მაგიდის ზედაპირის დახრა (დახრილი ფიცრის დამატება) რომ შეფერხდეს მოსწავლის მაგიდისკენ გადმონოლის მცდელობა. კითხვისას, შესაძლებელია მოსწავლეს წიგნის ვერტიკალური დამჭერი შევთავაზოთ.

<sup>4</sup> მოცემული ქვეთავში მოყვანილია მოსწავლის ჯდომის სწორი პოზის შერჩევის სტანდარტული მოთხოვნები, თუმცა რიგ შემთხვევებში მოსწავლის შეზღუდული შესაძლებლობიდან ან ფიზიკური განვითარების თავისებურებიდან გამომდინარე ამ სტანდარტული მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლებელი ხდება. ასეთ შემთხვევებში მოსწავლისთვის საკლასო ოთახში ოპტიმალურ ჯდომის პოზას ადგენს სპაციალისტი (ოკუპაციური თერაპევტი და/ან ნევროლოგი)

ბაჳშვის განვითარების დარღვევის მრავალი განსხჳაჳებული ფორმა არსებობს. ყოველი მათგანი სპეციფიური გამოვლინებებით ხასიათდება და ადეკვატურ დიაგნოსტიკასა და მართჳას მოითხოჳს. მოცემულ თაჳში განხილული იქნება განვითარების დარღვეჳების სხჳადასხჳა ფორმები, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება პედაგოგიურ პრაქტიკაში და აგრეთჳე, განვითარების დარღვეჳების შესაბამისი სნაჳლების ეფექტური სტრატეგიები.

### ■ სნაჳლის უნარის სპეციფიური დარღჳეჳები

#### ● რას ნარმოადგენს სნაჳლის უნარის სპეციფიური დარღვეჳა

სნაჳლის უნარის დაქჳეითება არის ნეჳროლოგიური სახის შეზღუდჳა, რომელიც მოქმედებს ადამიანის ტვინის შესაძლებლობაზე აღიქჳას, გაიაზროს, დაიმახსოვროს და გადასცეს ინფორმაცია. იგი შეიძლება განმარტებული იქნას როგორც განსჳლა პიროვნების ინტელექტსა და მის ასაკობრივ კატეგორიაში მიღწეულ აკადემიურ უნარ-ჩჳეჳებს შორის.



5 თაჳი მომზადებულია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბაჳშვები და მათი განათლება“ (Save the Children 2008) ტრენინგ მოდულის და „ინკლუზიური განთლების დანერგვის პროქტი თბილისი ათი სკოლისათჳის“ მასალების გამოყენებით.

● რა უნდა ვიცოდეთ სწავლის უნარის სპეციფიკურ დარღვევაზე

სწავლის უნარის დაქვეითება რეალობაა. შესაძლოა ბავშვს, რომელსაც არა აქვს მთავარი სენსორული დარღვევები (როგორცაა მხედველობა და სმენა) და აქვს საშუალო ან საშუალოზე მაღალი ინტელექტი, უჭირდეს სწავლა და თავისი ასაკისთვის შესაბამისი ყოველდღიური აქტივობების შესრულება.

სწავლის უნარის სპეციფიკური დაქვეითება არ არის გონებრივი ჩამორჩენა, ქცევითი დარღვევები ან სიზარმაცე. ის არ შეიძლება გამოწვეული იქნას ეკონომიკური პრობლემებით, გარემო და კულტურული ფაქტორებით.

იგი შეიძლება წარმოჩინდეს სხვა დარღვევებთან ერთად (ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი, ინფორმაციის აღქმის დარღვევები). არავისთვის არ არის ცნობილი წამალი ან საშუალება, რომელიც სწავლის უნარის დაქვეითებას კურნავს, თუმცა ამ მოვლენის შემსუბუქება შეიძლება სწავლის, განთავსებისა და მოდიფიცირების საშუალებით.

● რა ინვესტს სწავლის უნარის სპეციფიკურ დარღვევას

ექსპერტები ვერ იძლევიან ზუსტ პასუხს, თუ რა ინვესტს სწავლის უნარის დაქვეითებას. ეს შეიძლება იყოს:

- **მემკვიდრეობა** – ხშირად სწავლის უნარის დაქვეითებას ოჯახური ისტორია აქვს. სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეების მშობლებს ან ოჯახის სხვა წევრებს ხშირად თავადაც აქვთ ანალოგიური პრობლემა;
- **პრობლემები მუცლადყოფნისა და მშობიარობისას** – პრობლემები შეიძლება გამოწვეული იყოს მუცლადყოფნის ან მშობიარობის პროცესის გართულებით, ასევე ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიღებით ფეხმძიმობის პერიოდში, ჟანგბადის ნაკლებობით, ადრეული ან დაგვიანებული მშობიარობით;
- **დაბადების შემდგომი ტრავმები** – თავის ტრავმები, კვების ნაკლებობა და ტოქსიკურ ნივთიერებებთან კონტაქტი.

● როგორ ხდება სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევის პირველადი გამოვლენა

**აკადემიური სიმპტომები** – მოსწავლე დაბალ შედეგებს იღებს ტესტებში, უჭირს კითხვა, წერა. მას უჭირს დავალების შესრულების თანმიმდევრული საფეხურების დაცვა და სამუშაოს დასრულება.

**შემეცნებითი სიმპტომები** – მოსწავლეს სირთულეები აქვს ზომის, ფორმის, ფერის და დროის აღქმაში. მისთვის დამახასიათებელია სუსტი ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, უჭირს აბსტრაქტული აზროვნება და პრობლემების გადაჭრა.

**ფიზიკური სიმპტომები** – მოსწავლისათვის დამახასიათებელია ზოგადი



მოუქნელობა, სუსტი ვიზუალურ-მოტორული კოორდინაცია, ჰიპერაქტიურობა, ზედმეტი აღზნებადობა, ყურადღების კონცენტრაციის ნაკლებობა.

**ქცევითი/სოციალური სიმპტომები** – ხშირად აქვს ადგილი იმპულსურ ქცევას, გაუაზრებელ მოქმედებას. ბავშვი მოუსვენარია ძილის დროს, ზედმეტად აღზნებულია ჯგუფური თამაშის დროს; თავის გრძნობებს არაადეკვატურად, ხშირად გადაჭარბებულად გამოხატავს, მას უჭირს თანატოლებთან კონტაქტი.

● **სწავლის უნარის სპეციფიური დარღვევის მქონე მოსწავლეები და მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები**



სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს ხშირად განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ. მათ უჭირთ კითხვის, მათემატიკის, წერის სანყისი უნარ-ჩვევების დაუფლება, არ აქვთ განვითარებული სწავლის პროცესისთვის ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, როგორცაა დავალებაზე ყურადღების გამახვილება, დამახსოვრება, დამოუკიდებელი მუშაობა და განზოგადება.

■ **სწავლის უნარის სპეციფიური დარღვევების სხვადასხვა ფორმები**

● **რა არის დისლექსია**

დისლექსია ხშირად განისაზღვრება, როგორც მეტყველებაზე დაფუძნებული სწავლის უნარის დაქვეითება და წარ-

მოადგენს მის ყველაზე გავრცელებულ ფორმას. განასხვავებენ დისლექსიის სხვადასხვა ხარისხს. პროგნოზი დამოკიდებულია დაქვეითების ხარისხზე, ინდივიდის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, მისთვის განეული დახმარების ეფექტურობაზე. დისლექსია არ წარმოადგენს მოტივაციის ნაკლებობის, სენსორული დარღვევების, არაადეკვატური ინსტრუქციების, დაბალი ინტელექტისა და შეზღუდულ გარემო შესაძლებლობების შედეგს. მას აქვს ნევროლოგიური ხასიათის საფუძველი, რომელიც ხშირად ოჯახის წევრებისთვისაც არის დამახასიათებელი. დროული და ეფექტური დახმარების შემთხვევაში დისლექსიის მქონე მოსწავლეები კარგ შედეგებს აღწევენ.



● როგორ და ვის მიერ უნდა ჩატარდეს დისლექსიის დიაგნოსტიკა

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც დისლექსიაზე გვაქვს ეჭვი, უნდა მოხდეს მოსწავლის მდგომარეობის შეფასება მისი ასაკობრივი ჯგუფისთვის შესაბამისი ტესტების გამოყენებით. არ არსებობს ერთი ცალკე ტესტი, რომელიც გამოიყენება მოსწავლის შეფასებისთვის. ტესტები შეირჩევა იმისდა მიხედვით, თუ რომელი სპეციფიური უნარის ანალიზი იქნება აქტუალური.


შეფასება შეიძლება ჩატარდეს როგორც ერთი პროფესიონალის, ასევე სპეციალისტთა გუნდის მიერ. შემფასებელი კარგად უნდა იცნობდეს წერა-კითხვის დაუფლების პროცესის მიმდინარეობას და უნდა შეეძლოს ეფექტური დახმარებისა და რეკომენდაციების განსაზღვრა.

● რატომ არის აუცილებელი დახმარება დისლექსიის დროს

დისლექსია ბავშვებსა და მოზარდებში ხშირად ხდება ისეთი ემოციური პრობლემების მიზეზი, როგორცაა გაუცხოება, სიბრაზე, დეპრესია. ხშირად მასწავლებელს და მშობელს მიაჩნია, რომ მოსწავლე „ნიჭიერია, მაგრამ საკმარისად არ ცდილობს“. სინამდვილეში კი არავინ იცის, თუ რა ძალისხმევას მოითხოვს მოსწავლისაგან მასალის ათვისება. დისლექსიის მქონე მოსწავლეებს პრობლემები ხშირად სოციალურ ურთიერთობებშიც უჩნდებათ. ისინი თავიანთ თანატოლებთან შედარებით, სოციალურად მოუზნებელნი არიან, რაც მათში დაბალ თვითშეფასებას აყალიბებს.

■ წაკითხვის აღქმა

სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს ასევე ახასიათებთ წაკითხული მასალის აღქმის პრობლემა. დაწყებით კლასებში ეს ეხება პატარა მოთხრობებს, ხოლო მაღალ კლასებში კი სახელმძღვანელოებში მოყვანილ ტექსტურ მასალას და დამატებით ლიტერატურას. მაგ. მოთხრობის წაკითხვის შემდეგ მოსწავლე ვერ პასუხობს კითხვებს, თუ სად ვითარდება მოქმედება ან რა არის მოთხრობის არსი? ამ შემთხვევაში მიზეზი ისაა, რომ წაკითხულ მასალაში



პირდაპირ არ იყო მითითებული პასუხები, ხოლო მოსწავლემ თავად ვერ შეძლო მათი განსაზღვრა.

### ■ წერის უნარ-ჩვევები

წერის უნარ-ჩვევების დარღვევას **დისგრაფია** ეწოდება. ტერმინი დისგრაფია ზოგადად გამოიყენება ცუდი კალიგრაფიის შემთხვევაშიც და აზრის წერილობით გადმოცემის პრობლემებთან მიმართებაში. ხშირად საკამათო ხდება, განეკუთვნება თუ არა დისგრაფია სპეციალური განათლების სფეროს. დისგრაფია ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები აქვს. თუმცა, სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს წერის უნარ-ჩვევების დაუფლების პროცესში აქვთ გარკვეული პრობლემები, რომელთა შორის მთავარია კალიგრაფია, მართლწერა და აზრის წერილობით გადმოცემა.



### ■ მათემატიკური უნარ-ჩვევები

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებს ხშირად პრობლემები აქვთ მათემატიკური უნარ-ჩვევების დაუფლებაში, რაც სხვადასხვა სახით ვლინდება: **სივრცის ორგანიზება** – მოსწავლეს უჭირს ციფრების სვეტებში განლაგება (ქვეშ მიწერა), ხშირად უკულმა წერს ციფრებს;

**უყურადღებობა ვიზუალური ნიშნებისადმი** – მოსწავლე არასწორად კითხულობს მათემატიკურ ნიშნებს, ავიწყდება სხვადასხვა სიმბოლოებისა და მეთოდების გამოყენება საჭიროების შემთხვევაში.

**პროცედურული თანმიმდევრობა** – მოსწავლეს მიმატება-გამოკლების დროს ავიწყდება გონებაში დამახსოვრებული ციფრის დამატება ან გამოკლება.

**სირთულეები ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადართვაში** – მოსწავლე ასრულებს ერთი სახეობის დავალებას, მაგრამ როდესაც საჭიროა სხვა სახის



დავალებაზე გადართვა, ის განაგრძობს მის შესრულებას ისევე, როგორც ასრულებდა წინა დავალებას.

**სირთულეები ციფრების გრაფიკულ გამოსახვაში** – მოსწავლე ხშირად წერს უფორმო, დიდ ციფრებს, რაც კიდევ უფრო უძნელებს მას დავალების შესრულებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თავად ვერ კითხულობს საკუთარ დაწერილს.

**სირთულეები დამახსოვრებაში** – მოსწავლეს ხშირად არ შეუძლია ძირითადი მათემატიკური წესების გახსენება.

**სირთულეები მათემატიკურ ანალიზსა და დასაბუთებაში** – მოსწავლე შესაძლოა ვერ ხვდებოდეს, რატომ არის მისი პასუხი არასწორი ისეთი მაგალითის ამოხსნისას, როგორცაა:  $9 - 6 = 15$  ან  $4 + 3 = 43$ .

**სირთულეები „მათემატიკური ენის“ დაუფლებაში** – მოსწავლეს არ ესმის ისეთი ძირითადი მათემატიკური ტერმინები, როგორცაა დაჯგუფება, გამოკლება, უჭირს ზეპირი სავარჯიშოების ან მაგალითის ამოხსნის ლოგიკური თანმიმდევრობის სიტყვიერად ახსნა.

## ■ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD ქართულად გამოითქმის – ეიდიჩიდი)

- რას წარმოადგენს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD)

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (Attention Deficit Hyperactivity Disorder – ADHD) ბავშვებში გავრცელებულ ნეირობიოლოგიურ და ქცევით (ბიჰევიორულ) დარღვევას წარმოადგენს, რომელიც მოზარდობასა და ზრდასრულ ასაკშიც გადადის. მრავალი კვლევის საფუძველზე მიჩნეულია, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი წმინდა სამედი-





ცინო დარღვევაა. სინდრომის მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელია უყურადღებობა, იმპულსურობა და ჰიპერაქტიურობა. აღსანიშნავია, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი გაცილებით ხშირია ბიჭებში, ვიდრე გოგონებში. პოპულაციაში მისი გავრცელების სიხშირე 3-5 %-ია.

სინდრომის გამომწვევი მიზეზები დღესაც დაუზუსტებელია, თუმცა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გენეტიკურ, პერინატალურ რისკ-ფაქტორებსა და ასევე დაბადებისას ბავშვის მცირე წონას.

ბოლო პერიოდში, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომზე საუბრისას, მეცნიერთა კვლევის ძირითად ობიექტს თავის ტვინის ფრონტალური წილები წარმოადგენს. ტვინის ეს უბანი გვაძლევს საშუალებას გადავჭრათ პრობლემები, დავგეგმოთ ჩვენი ქმედება და შევაკავოთ იმპულსები. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის შემთხვევაში, თავის ტვინის სწორედ ამ არეებში ხდება ნერვული იმპულსის გადაცემის დარღვევა.

### ● ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მახასიათებლები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები

უყურადღებობა, მოუსვენრობა, დაუფიქრებლად მოქმედება, გარკვეულწილად ყველა ბავშვისთვის არის დამახასიათებელი. მაშინ, როდესაც ეს სიმპტომები საგრძნობლად ჩამორჩება ასაკისათვის შესაბამის განვითარების დონეს და სერიოზულ პრობლემებს უქმნის ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვას, აკადემიურ მოსწრებასა და თანატოლებთან ურთიერთობას, ჩნდება ეჭვი ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომზე.

ფსიქიკური განვითარების დარღვევების დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ სახელმძღვანელოში (DSM-IV) და დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში (ICD - 10), მოყვანილია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის შეფასების კრიტერიუმები:

ა. ქვემოთ ჩამოთვლილი ექვსი ან მეტი სიმპტომი უნდა ვლინდებოდეს ექვსი თვის განმავლობაში იმ ხარისხით, რომ მოცემული ასაკის ბავშვს ხელს უშლიდეს გარემოსთან შეგუებაში:

**უყურადღებობა:**

- უჭირს ერთ საკითხზე ყურადღების კონცენტრირება და მალე გადადის ერთი საქმიანობიდან მეორეზე;
- უჭირს რუტინული დავალებების შესრულება;
- ხშირად არის გაფანტული და რჩება შთაბეჭდილება, რომ არ გისმენს მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ მას მიმართავთ;
- ხშირად კარგავს ნივთებს;
- ერთდროულად ინყებს რამდენიმე აქტივობას და ვერ ასრულებს მათ ბოლომდე;
- უჭირს სკოლისა თუ საშინაო დავალების ბოლომდე შესრულება;
- თავს არიდებს და არ მოსწონს დავალებები, სადაც ფსიქიკური ძალისხმევაა საჭირო;
- ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან გულმავიწყია;
- გარეშე სტიმულებით ადვილად ეშლება ხელი.

ბ. ექვსი თვის განმავლობაში ჰიპერაქტიურობა-იმპულსურობის ექვსი ან მეტი სიმპტომი უნდა ვლინდებოდეს იმ ხარისხით, რომ მოცემული ასაკის ბავშვს ხელს უშლიდეს გარემოსთან შეგუებაში:

**ჰიპერაქტიურობა:**

- ხშირად ცქმუტავს და ვერ ისვენებს;
- მუდმივად მოძრაობაშია, ტოვებს თავის ადგილს და გადაადგილდება მთელ საკლასო ოთახში;
- არ შეუძლია წყნარად ჯდომა, გამუდმებით წრიალებს;
- სისტემატურად ესაუბრება გარშემო მყოფთ;
- ვერ ჩერდება გაკვეთილზე, ამოძრავებს ფეხებს, ხელს კიდებს ყველაფერს;
- აწვალავს ფანქარს, ჩანთის საკეტს.

**იმპულსურობა:**

- არ ფიქრობს, სანამ რამეს ჩაიდენს;
- ხშირად ყვირის უადგილოდ და იძლევა არაადეკვატურ პასუხებს;
- უცებ წამოხტება და გარეთ გარბის;
- ვერ იცავს რიგითობას, ამიტომ უჭირს წესების დაცვა.

გ. უყურადღებობის ან ჰიპერაქტიურობა-იმპულსურობის ზოგიერთი სიმპტომი 7 წლის ასაკამდე ვლინდება.

დ. ამ სიმპტომების უმეტესობა ორ ან მეტ სხვადასხვა გარემოში ვლინდება.

**ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის ტიპები:**

იმის მიხედვით, თუ რომელი სიმპტომი ჭარბობს ბავშვში, სინდრომი იყოფა შემდეგ სამ ტიპად:



**უპირატესად უყურადღებობის ტიპი**

- ბავშვს უჭირს სამუშაოს ორგანიზება და მისი დასრულება;
- გონებაგაფანტულია, უჭირს დეტალებისათვის ყურადღების მიქცევა, ინსტრუქციის გაგება, შესრულება და დიალოგის წარმართვა;
- ადვილად ივინყებს ყოველდღიური რუტინის (საქმიანობის) დეტალებს.

**უპირატესად ჰიპერაქტიური-იმპულსური ტიპი**

- ბავშვი მოუსვენარია და ბევრს საუბრობს, უჭირს დიდი ხნით (მაგ. საშინაო დავალების შესრულების ან სადილობის დროს) წყნარად ჯდომა, წრიალებს, ხშირად აწყვეტინებს საუბარს სხვას ან იწყებს საუბარს შეუფერებელ დროს;
- არ შეუძლია რიგითობის დაცვა და ინსტრუქციების მოსმენა;
- სხვებზე ხშირად ხვდება უსიამოვნო სიტუაციებში;
- უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის დამახასიათებელია გამუდმებული სირბილი, ხტუნვა.

**შერეული ტიპი**

- ბავშვისათვის ერთნაირად დამახასიათებელია ზემოთ მოყვანილი ტიპების სიმპტომები.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი განსხვავებულია სირთულის ხარისხის მიხედვით:

**სუსტი** – უმნიშვნელოდ გამოხატული სიმპტომები ან მხოლოდ მინიმალური ჩამორჩენა სასკოლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**საშუალო** – გამოხატულია სიმპტომები „სუსტსა“ და „საშუალოს“ შორის.

**ძვივი** – ჩამოთვლილი სიმპტომების გარდა, ვლინდება სხვა სიმპტომებიც. მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა საშინაო, სასკოლო საქმიანობასა და თანატოლებთან ურთიერთობაში.

**● ვინ და როდის ახდენს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის დიაგნოსტიკას**

ზოგიერთი მშობელი უყურადღებობის, ჰიპერაქტიურობისა და იმპულსურობის სიმპტომებს ბავშვის სკოლაში მიყვანამდე (7 წლამდე) ამჩნევს. უმეტესად ეს ხდება მაშინ, როდესაც ბავშვი კარგავს ინტერესს თამაშის, ტელევიზორის მიმართ, გამუდმებით მოძრაობს და მისი ქცევის მართვა შეუძლებელია. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ბავშვი ინდივიდუალურია და სხვადასხვა ტემპით ვითარდება, სასარგებლოა ექსპერტთა (პედიატრის, ბავშვთა ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის) მოსაზრების გათვალისწინება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეესაბამება ბავშვის ქცევა მის ასაკს. მიუხედავად აღნიშნულისა, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის დიაგნოსტიკება უმეტეს შემთხვევაში ხდება მაშინ, როდესაც ბავშვები სასკოლო გარემოში ხვდებიან. მასწავლებელი, რომელსაც ბავშვებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს, ხშირად პირველი ამჩნევს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის სიმპტომებს.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის დიაგნოსტიკა აუცილებლად უნდა განხორციელდეს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, რომელშიც შედიან სპეციალისტები: ბავშვთა ნევროპათოლოგი, პედიატრი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი. უპირველეს ყოვლისა, მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენს შეაგროვონ ინფორმაცია და შეაფასონ, ხომ არ არის ბავშვის ქცევა გამონვეული რაიმე სხვა მიზეზით. შესაძლო სხვა მიზეზებია:

- ბავშვის ცხოვრებაში მომხდარი უცაბედი ცვლილება – ახლობელი ადამიანის დაკარგვა, მშობელთა განქორწინება და სხვ.;
- შეუმჩნეველი გულყრები, როგორცაა მცირე ეპილესიური გულყრა;
- შუა ყურის ინფექციით გამონვეული სმენის პრობლემები;
- სამედიცინო სახის პრობლემა, რომელიც გავლენას ახდენს ტვინის ფუნქციონირებაზე;
- სწავლის უნარის დაქვეითებით გამონვეული დაბალი მიღწევები;
- შფოთვა ან დეპრესია.

საუკეთესო შემთხვევაში სპეციალისტები ეცნობიან ბავშვის სამედიცინო ბარათს და სასკოლო ჩანაწერებს (არსებობის შემთხვევაში). ისინი ცდილობენ განსაზღვრონ, თუ რამდენად სტრესულ გავლენას ახდენს ოჯახური და სასკოლო გარემო ბავშვზე და რამდენად ახერხებენ მშობელი და მასწავლებელი მისი ქცევის მართვას. ამის შემდგომ სპეციალისტები აგროვებენ ინფორმაციას ბავშვის მიმდინარე ქცევის შესახებ, რათა შეადარონ ის DSM-IV-TR-ში აღწერილ სიმპტომებსა და დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს. აღნიშნული მოიცავს თავად ბავშვთან გასაუბრებას და მასზე დაკვირვებას საკლასო ოთახსა და სხვა გარემოში.

შეფასების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს მასწავლებლების გამოკითხვა. მათ ეძლევათ დავალება შეაფასონ ბავშვი ქცევის სტანდარტიზებული ფორმის გამოყენებით, რომელიც ცნობილია ქცევის შეფასების სკალის სახელით. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების სკალები ხშირად სუბიექტურ ხასიათს ატარებს, მასწავლებელთა უმრავლესობა იმდენად კარგად იცნობს ბავშვების ქცევას, რომ მათ უადვილდებათ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვის ქცევის სათანადოდ და საიმედოდ შეფასება.

შეფასებისას უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს მშობლის გამოკითხვა. მან უნდა აღწეროს ბავშვის ქცევა სხვადასხვა გარემოში და შეაფასოს შეფასების სკალა, სადაც მიუთითებს თუ რამდენად მძიმე და ხშირია ქცევის ესა თუ ის დარღვევა.

შემთხვევათა უმეტესობაში ხდება ბავშვის გონებრივი განვითარების დონის და სოციალური ადაპტაციის შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, ბავშვს უტარდება ინტელექტის საკვლევი და აკადემიური მიღწევების შეფასების ტესტი, რისი საშუალებითაც ვლინდება, აქვს თუ არა ბავშვს სწავლის უნარის დაქვეითება და თუ აქვს, რომელ საგნებში.

ზემოაღწერილი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებისას სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ბავშვის ქცევას იმ გარემოში, რომელიც მაქსიმალურად მოითხოვს თვითკონტროლს და ასევე ხმაურიან, არასტრუქტურირებულ სიტუაციებში, როგორცაა სადღესასწაულო ღონისძიე-

ბები, ორგანიზებული თამაშები და ა.შ. ნაკლებად საინტერესოა ისეთ გარემოში გამოვლენილი ქცევა, როგორცაა თავისუფალი თამაში ან მშობლებთან ინდივიდუალური ურთიერთობა. ასეთ შემთხვევაში ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვების უმეტესობა ახერხებს საკუთარი ქცევის გაკონტროლებას და უკეთ მოქცევას, ვიდრე ისინი ამას აკეთებენ სტრუქტურირებულ გარემოში.

ამის შემდგომ, სპეციალისტები ადგენენ ბავშვის ქცევის პროფილს, სადაც დგინდება შემდეგი საკითხები:

- ბავშვის რომელი ქცევა შეესაბამება DSM-ში მოყვანილ ქცევას?
- რა სიხშირით, რა სიტუაციებში, რამდენი ხნის განმავლობაში აქვს ადგილი ქცევის დარღვევას?
- აქვს თუ არა ქცევის დარღვევას ქრონიკული ხასიათი?
- რამდენად სერიოზულ გავლენას ახდენს ქცევის დარღვევა ბავშვის სოციალურ აქტივობაზე, თანატოლებთან, ოჯახის წევრებთან ურთიერთობაზე?
- აქვს თუ არა ბავშვს სხვა თანმდევი პრობლემები?

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემით დგინდება არის თუ არა ბავშვის ჰიპერაქტიურობა, უყურადღებობა და იმპულსურობა მდგრადი და მნიშვნელოვნად გამოხატული. თუ პასუხი დადებითია ბავშვისთვის შეიძლება დასმული იქნას ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის დიაგნოზი. მას შემდეგ, რაც დასმული იქნება სწორი დიაგნოზი, მშობელსა და ბავშვს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ საგანმანათლებლო, სამედიცინო და ემოციური სახის ეფექტური დახმარება.

### ● განკურნებადია თუ არა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი

ხშირად ფიქრობენ, რომ ბავშვის ზრდასთან ერთად ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი თავისთავად გაქრება. შემთხვევათა ნახევარში პრობლემა ზრდასრულობაშიც გვხვდება. ხშირად სინდრომის დამახასიათებელი სიმპტომების გაუმჯობესება ქცევის მართვის უნარ-ჩვევის გამომუშავების ხარჯზე ხდება. ჰიპერაქტიურობა უმეტესად იკლებს გვიანი მოზარდობის პერიოდში, მაგრამ მაშინაც კი, მოზარდებისთვის დამახასიათებელია ადვილი გაღიზიანებადობა, ხასიათის სწრაფი ცვლილება და სიფიცხე. ის ბავშვები, რომლებიც შესაბამის დახმარებას იღებენ მასწავლებლების, მშობლებისა და ექიმისგან, გაცილებით ადვილად ძლევენ პრობლემებს და კარგად ეგუებიან სასკოლო გარემოს.

● **ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვები და საკლასო ოთახი**

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვები საკლასო ოთახში მრავალ პრობლემას ქმნიან, ისინი გამუდმებით საუბრობენ და ხმაურობენ, არ ემორჩილებიან მასწავლებლის ინსტრუქციებს, არ შეუძლიათ რიგითობის დაცვა. იმისთვის, რომ საკლასო ოთახში შეიქმნას ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვისადმი კეთილგანწყობილი გარემო, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:

**1. კარგად გაიაზრეთ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მახასიათებლები.** აღნიშნული სინდრომი წარმოადგენს დარღვევას, რომელიც მოსწავლეს ხელს უშლის ყურადღების ფოკუსირებაში. ის ვერ ახერხებს დიდხანს ერთ ადგილზე გაჩერებას, ცქმუტავს, ზოგჯერ დგება და იწყებს სიარულს საკლასო ოთახში მაშინ, როდესაც სხვა ბავშვები წყნარად უსმენენ მასწავლებელს. სინდრომის მქონე მოსწავლისათვის დამახასიათებელია ხანმოკლე მუხსიერება, მას არ შეუძლია მიღებული გრძელი ინსტრუქციების დამახსოვრება.

**2. აღიარეთ, რომ აუცილებელია გარკვეული მოდიფიკაციები:** ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვები სპეციალურად არ ცდილობენ არეულობა შეიტანონ საკლასო ოთახში, მათ უბრალოდ არ შეუძლიათ უმოძრაოდ ყოფნა, მათი ტვინი ვერ ახდენს ინფორმაციის იმგვარად აღქმას, როგორც ამას სხვა მოსწავლეები ახერხებენ. ჩვეულებრივ, საკლასო ოთახში გამოყენებული მეთოდები არაეფექტურია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებთან. =

**3. შექმენით პირობები თავისუფალი გადაადგილებისთვის:** თუ შეეცდებით ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვი აიძულოთ დიდი ხანი გაჩერდეს ერთსა და იმავე ადგილზე, გახსოვდეთ, რომ გაკვეთილის უმეტესი ნაწილი დაგეგმარებულია უსარგებლო შრომაში. ამის მაგივრად ეცადეთ, რომ მოსწავლისთვის მოძრაობის უფლების მიცემა გაკვეთილის ორგანულ ნაწილად გადააქციოთ. მაგ. იმის მაგივრად, რომ თხოვთ მოსწავლეს რვეულში ჩანეროს მიმატება-გამოკლების მაგალითი, თხოვეთ მას გამოვიდეს დაფასთან და გამოიყენოს საანგარიშო (უპირატესად დაბალი კლასებისათვის).

**4. გაკვეთილზე მაქსიმალურად გამოიყენეთ თვალსაჩინო მასალა:** გაკვეთილის შინაარსიდან გამომდინარე შეძლებისდაგვარად ეცადეთ გამოიყენოთ ის თვალსაჩინო მასალა, რაც ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვის ინტერესს გამოიწვევს. სასურველია, თუ მოსწავლეს მიეცემა მათი ხელით შეხების საშუალება, რაც მას ყურადღების ფოკუსირებაში დაეხმარება.

5. **გაკვეთილი დაყავით მოკლე ინტერვალებად:** -ნუ ელით, რომ შესძლებთ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვის ყურადღების შენარჩუნებას მთელი გაკვეთილის განმავლობაში. დაყავით გაკვეთილი მცირე ნაწილებად, ცვალებად აქტივობები და შესასრულებელი დავალებები.

6. **გაკვეთით ჩანაწერები.** ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვს უჭირს მისთვის მიცემული ზეპირი ინსტრუქციებისა და საშინაო დავალების დამახსოვრება. სანაცვლოდ უმჯობესია ასწავლოთ მას ჩანაწერების გაკეთება ან თავად აცნობეთ მშობელს დავალება წერილობითი ფორმით.

**ქვემოთ მოყვანილია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიულობის სინდრომის მქონე ბავშვების სასწავლო პროცესში ეფექტური ჩართვისათვის საჭირო მოდიფიკაციები:**

**ადგილი:**

- დასვით ფანჯრისაგან მოშორებით;
- ან დასვით თქვენი მაგიდის წინ.

**ინფორმაციის მიწოდება:**

- ერთ ჯერზე მიეცით მხოლოდ ერთი ინსტრუქცია და საჭიროების შემთხვევაში გაიმეორეთ იგი;
- შესაძლებლობის ფარგლებში, რთულ მასალაზე იმუშავეთ დღის პირველ ნახევარში;
- გამოიყენეთ ვიზუალური მასალა: სქემები, სურათები, ფერადი მარკერები.

**მოსწავლის სამუშაო:**

- დავალებაზე მუშაობისთვის შექმენით წყნარი და მყუდრო სამუშაო გარემო;
- დავალებებში გამოიყენეთ მოკლე, ლაკონიური ფრაზები;
- შეამცირეთ დროში შესასრულებელი დავალებების რაოდენობა;
- ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე მოსწავლეები შეაფასეთ მათთვის ადვილი ფორმით (ზეპირი გამოკითხვა ან ტესტების ტიპის სავარჯიშოები);
- ფურცელზე გადმოცემული ინფორმაციის აღქმის გასაადვილებლად, აჩვენეთ მოსწავლეს როგორ გამოიყენოს სანიშნე ან სახაზავი;
- მიეცით მოსწავლეს საშუალება, რაც შეიძლება მეტი დავალება შეასრულოს კომპიუტერის გამოყენებით;
- ჩაიბარეთ დაგვიანებით და ნაწილობრივ შესრულებული დავალებაც კი და შეაფასეთ ის.

**ორგანიზება:**

- სასურველია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე მოსწავლეს ქონდეს რამდენიმე განყოფილებიანი ჩანთა,



- სადაც ის მოათავსებს თავის ნივთებს;
- მშობელთან შეთანხმებით ინფორმაციის სისტემატიური გაცვლის ფორმა (გამოიყენეთ მოსწავლის დღიური, ჩანაწერების რვეული, ბარათები);
- მიეცით მოსწავლეს დრო საშინაო დავალების ჩასანიშნად;
- დარწმუნდით, რომ მოსწავლე ახერხებს დავალებების ჩანიშვნას და სათანადო ჩანაწერების გაკეთებას.

● **რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე მოსწავლის დასახმარებლად**

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებთან წარმატებული მუშაობა გულისხმობს მასწავლებლის მიერ სამ განზომილებიანი სტრატეგიის გამოყენებას:

- შეფასებული უნდა იქნას ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები. მაგ. როგორ, როდის და რატომ არის ბავშვი უყურადღებო, იმპულსური ან ჰიპერაქტიური.
- განხილული უნდა იქნას აკადემიურ ინსტრუქციებთან, ქცევის მართვასა და საკლასო გარემოს მორგებასთან დაკავშირებული სწავლების ყველა ის სტრატეგია, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ბავშვის საჭიროებებს.
- უნდა მოხდეს აღნიშნული სტრატეგიების ჩართვა მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში და შემუშავებული პროგრამის ინტეგრირება ყველა სხვა მოსწავლესთან გამოყენებულ სასწავლო აქტივობებში.

რამდენადაც ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ყველა ბავშვი განსხვავებულია, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ არ არსებობს ერთი, უნიფიცირებული სასწავლო სტრატეგია, რომელიც ეფექტური იქნება ყველა ბავშვისათვის. სწავლების წარმატებული პროგრამა, როგორც წესი, შემდეგ სამ კომპონენტს აერთიანებს:

- **აკადემიური ინსტრუქციები:** მეთოდები, რომელთაც მასწავლებელი იყენებს გაკვეთილის წარმართვისათვის;
- **ქცევის მართვა:** ხერხები, რომლის გამოყენებითაც მასწავლებელი ახდენს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვის ქცევის ცვლილებას;
- **საკლასო გარემოს მორგება:** რა უნდა გაკეთდეს, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებს სწავლა გაუადვილდეს.

*ქვემოთ წარმოგიდგენთ იმ სასწავლო სტრატეგიებს, რომელთა გამოყენება დაეხმარება მასწავლებლებს ეფექტურად წარმართონ სასწავლო პროცესი კლასში, სადაც ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე მოსწავლე სწავლობს.*

- **წინასწარ დაგეგმეთ გაკვეთილი** – გაკვეთილის დაწყებისას მოკლედ ჩამოაყალიბეთ ის აქტივობები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავთ გაკვეთილზე. მაგ. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ძველი მასალის გამეორებას მოყვება ახალი ინფორმაციის მიწოდება, ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობები, მასალის გამოკითხვა და ა.შ.;
- **მიმოიხილეთ წინა მასალა** – გაიმეორეთ ახალ გაკვეთილთან კავშირში მყოფი წინა მასალა. ახალი მასალის ახსნამდე კიდევ ერთხელ მიმოიხილეთ ძირითადი საკითხები;
- **დასახეთ გაკვეთილის მოლოდინები** – აუხსენით მოსწავლეებს, რას გააკეთებენ ისინი გაკვეთილზე. მაგ. მათ უნდა იცოდნენ, რომ ლიტერატურის გაკვეთილზე ისინი წაიკითხავენ თხზულებას, უპასუხებენ კითხვებზე;
- **ჩამოაყალიბეთ ქცევის წესები** – აუხსენით მოსწავლეებს, როგორ ქცევას ელით მათგან. მაგ. უთხარით მოსწავლეებს, რომ მათ უფლება აქვთ წყნარად ესაუბრონ გვერდით მჯდომ თანაკლასელს მაშინ, როდესაც ისინი ჯგუფურ აქტივობას ასრულებენ;
- **განსაზღვრეთ საჭირო მასალები** – გააცანით მოსწავლეებს, თუ რა მასალები დასჭირდებათ მათ გაკვეთილის მსვლელობაში. ნუ დაელოდებით, რომ მოსწავლეებმა თავად გააკეთონ ეს. მაგ. აუხსენით, რომ წერის გაკვეთილზე მათ დასჭირდებათ რვეული და სანერი კალამი, ხოლო ხელოვნების გაკვეთილზე კი ფერადი ფანქრები და მაკრატელი;
- **მიანოდეთ დამატებითი მასალები** – აუხსენით მოსწავლეებს, როგორ აითვისონ უკეთ გაკვეთილი. მიუთითეთ სახელმძღვანელოს რომელ გვერდზე შეუძლიათ მოიპოვონ დამატებითი მასალა საშინაო დავალების შესასრულებლად;
- **გამართივით ინსტრუქციები** – რაც უფრო მარტივი იქნება ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებისათვის მიწოდებული ინსტრუქცია, მით უფრო დროულად და ხარისხიანად შეასრულებენ ისინი დავალებას; იმისათვის, რომ გაკვეთილი იყოს ეფექტური, მასწავლებელმა პერიოდულად უნდა შეამოწმოს მოსწავლის მიერ მასალის ათვისება. განსაკუთრებით ეს ეხება ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებს;
- **იყავით პროგნოზირებადი** – სტრუქტურა და თანმიმდევრულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვისათვის. მათი უმეტესობა ვერ ეგუება ცვლილებებს. სინდრომის მქონე ბავშვს მკაფიოდ უნდა ესმოდეს რას მოელიან მისგან და ასევე ის, თუ რა მოელის მას მოლოდინების შეუსრულებლობისთვის;
- **ხელი შეუწყვეთ მოსწავლის ჩართულობას** – ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვს მიეცით დამატებითი დრო დავალების შესასრულებლად და კითხვაზე პასუხის გასაცემად. ნუ მოსთხოვთ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის

სინდრომის მქონე მოსწავლეს რთული დავალების შესრულებას კლასის წინაშე. შეყოვნდით რამდენიმე წამით, სანამ კითხვას სხვა მოსწავლეს გადასცემთ სწორი პასუხისათვის, არ გაამახვილოთ ყურადღება მათსა და მათ თანაკლასელებს შორის არსებულ განსხვავებულობაზე, ნუ იქნებით კრიტიკული;

- **გამოიყენეთ აუდიო-ვიზუალური მასალა** – აკადემიური საგნების წარდგენისას მაქსიმალურად გამოიყენეთ აუდიო-ვიზუალური მასალა, ამით არა მარტო ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვის, არამედ მთელი კლასის ყურადღების ფოკუსირებას შესძლებთ;
- **დაეხმარეთ მოსწავლეს შეცდომების გამოვლენაში** – აუხსენით მოსწავლეებს როგორ აღმოაჩინონ და შეასწორონ საკუთარი შეცდომები. მაგ. შეახსენეთ, რომ მათემატიკის გაკვეთილზე დავალების დასრულების შემდგომ, მათ უნდა შეამოწმონ შესრულებული მათემატიკური გათვლები, ხოლო მართლწერის გაკვეთილზე უნდა შეამოწმონ სასვენი ნიშნები, სიტყვის გადატანის სისწორე და ა.შ.;
- **დაყავით საშუალო მცირე ნაწილებად** – დაყავით დავალება მცირე, ნაკლებად რთულ ნაწილებად. მაგ. მიეცით მოსწავლეს საშუალება მიცემული ათი მაგალითიდან შეასრულოს ხუთი მაგალითი, წარმოგიდგინოთ დავალება და შემდეგ დაასრულოს სხვა მაგალითების ამოხსნა;
- **გამოყავით მთავარი საკითხები** – იმისათვის, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვს მივცეთ დავალებაზე ფოკუსირების საშუალება, თქვენს ინსტრუქციებში გამოყავით მთავარი საკითხები. გაკვეთილის დაწყებამდე მოამზადეთ დავალების ფურცელი, ხაზი გაუსვით ყველაზე მნიშვნელოვან სიტყვებს, მოსწავლესთან ერთად წაიკითხეთ დავალების შინაარსი. ასწავლეთ ბავშვს როგორ გამოკვეთოს ტექსტში მთავარი წინადადებები, ამოანერინეთ ისინი ცალკე ფურცელზე. ეს მათ დაეხმარება მთლიანი ტექსტის გადმოცემაში;
- **შეამცირეთ ფიქსირებულ დროში შესასრულებელი დავალებების რაოდენობა** – დროის ფიქსირებულ მონაკვეთში შესასრულებელი დავალებები, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებს არ აძლევს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას. ეცადეთ, შეამციროთ ასეთი დავალებების რაოდენობა და მიეცით სინდრომის მქონე ბავშვს დამატებითი დრო დავალების შესასრულებლად;
- **გამოიყენეთ ჯგუფური სასწავლო სტრატეგიები** – მიეცით მოსწავლეებს ჯგუფებში შესასრულებელი დავალება, ეს მათ დაეხმარება უკეთ გაიგონ და ისწავლონ მასალა. გამოიყენეთ ისეთი სტრატეგია, როგორცაა გუნდში აზრთა გაზიარება. დაავალეთ მოსწავლეებს განიხილონ თემა და გაუზიარონ ერთმანეთს აზრები;
- **მართეთ ხმაურის დონე** – ეცადეთ მართოთ კლასში ხმაურის დონე.

საჭიროების შემთხვევაში მიეცით მოსწავლეებს საკორექციო შენიშვნები. თუ კლასში ხმაურის დონე აჭარბებს მისაღებ საზღვრებს, კიდევ ერთხელ შეახსენეთ მათ გაკვეთილის დაწყებამდე ჩამოყალიბებული ქცევის წესები;

- **შეიმუშავეთ გამაფრთხილებელი სიგნალები** – ეს შეიძლება იყოს ხელის მოძრაობა, მხარზე მსუბუქი შეხება ან რვეულზე სტიკერის მიწებება. თუ თქვენ გინდათ მოსწავლეს შენიშვნა მისცეთ მის ქცევასთან დაკავშირებით, გააკეთეთ ეს განცალკევებით. ეცადეთ არ შეიმჩნიოთ ქცევის უმნიშვნელო დარღვევა, თუ ის არ არის გამიზნულად ჩადენილი და ხელს არ უშლის სხვა მოსწავლეებს;
- **აქტიურად გამოიყენეთ პოზიტიური ქცევის ნახალისების სტრატეგია** – მკაფიოდ განსაზღვრეთ, რას ნიშნავს პოზიტიური ქცევა კონკრეტული მოსწავლის შემთხვევაში. ყოველთვის, უმნიშვნელო წარმატების შემთხვევაშიც კი, შეაქეთ მოსწავლე, უთხარით თუ რა გააკეთა მან კარგად და რატომ დაიმსახურა მისმა ქცევამ მონობა. რაც უფრო მოკლე იქნება ინტერვალი პოზიტიურ ქცევასა და შექებას შორის, მით უფრო ადვილად დაიმახსოვრებს და გაიმეორებს მას მოსწავლე;
- **შეცვალეთ ნახალისების მეთოდი და შინაარსი** – ნახალისების მიზნით გამოყენებული მეთოდი შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, ეს შეიძლება იყოს სიტყვიერი შექება, სტიკერის (ნებოვანი სურათის) ჩანებება ან საქებარი სიტყვების ჩანერა რვეულში. ასევე უნდა განსხვავდებოდეს ის ფრაზები, რასაც მოსწავლის ნახალისებლად იყენებთ, ერთი და იმავე ფრაზის ხშირად გამეორება მოსწავლეს ინტერესს უკარგავს;
- **შექებისას იყავით თანმიმდევრული და სამართლიანი** – მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ყველა მასწავლებელი უნდა იცავდეს ნახალისების სტრატეგიას იმ ქცევისთვის, რომელიც წინასწარ იქნა განსაზღვრული. სხვადასხვა შემთხვევაში მიღებულმა საქებარმა სიტყვებმა შეიძლება დააბნოს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვი. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ნახალისება გაცილებით ეფექტურია, ვიდრე დასჯა. ამა თუ იმ ქცევის გამო მიღებული უარყოფითი შეფასების ეფექტი გაცილებით მოკლევადიანია, ის იშვიათად ცვლის ბავშვის ქცევას და რიგ შემთხვევაში, კიდევ უფრო ნეგატიურს ხდის მას;
- **შერჩევით უგულვებელყავით ზოგიერთი ნეგატიური ქცევა** – მასწავლებელს უნდა შეეძლოს ყურადღება არ გაამახვილოს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვის ზოგიერთ ნეგატიურ ქცევაზე. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც ქცევა სერიოზულ ზიანს არ აყენებს სასწავლო პროცესს, გამონწვეულია მასწავლებლისა და კლასელების ყურადღების მიქცევის სურვილით;



- **მიეცით ბავშვს გარეთ გასვლის საშუალება** – ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვს ზოგჯერ ესაჭიროება გაკვეთილიდან გასვლა. ამისათვის მას მოსწავლეებელმა უნდა მისცეს რაიმე კონკრეტული დავალება, მაგ. ბიბლიოთეკიდან წიგნის გამოტანა, ცარცის მოტანა კლასისთვის და ა.შ.;
- **დაამყარეთ ვიზუალური კავშირი** – თვალთ დაამყარეთ კონტაქტი ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე მოსწავლესთან. მიახვედრეთ, რომ თქვენ გვერდით ხართ და ხედავთ მის ქცევას;
- **ასწავლეთ სოციალური უნარ-ჩვევები** – გააცანით მოსწავლეებს ამა თუ იმ სიტუაციაში მოქცევის წესები, განამტკიცეთ ისინი როლური თამაშებით – გაითამაშეთ კლასში რეალური სიტუაციები და მიეცით მოსწავლეებს საშუალება მოძებნონ წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზები;
- **სწორად შეარჩიეთ ადგილი** – დასვით ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე მოსწავლე წინა მერხზე, კარებიდან და ფანჯრიდან მოშორებით, იმ მოსწავლესთან ახლოს, რომლის ქცევაც მასზე დადებით გავლენას ახდენს. იმ შემთხვევაში, თუ საკლასო ოთახის ფართობი იძლევა საშუალებას, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე მოსწავლეს, დავალების შესასრულებლად, გამოუყავით წყნარი სამუშაო ადგილი;
- **სწორად შეარჩიეთ სასკოლო ავეჯი** – ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მქონე მოსწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორად შერჩეულ ავეჯს – მერხი უნდა იყოს შესაბამისი ზომის, რათა მოსწავლეს არ გაუჩნდეს ზედმეტი წრიალის საჭიროება. საუკეთესო შემთხვევაში, მოსწავლე იდაყვებით უნდა ეყრდნობოდეს მერხს, ხოლო ზურგი გამართულად უნდა ეყრდნობოდეს სკამის საზურგეს.

● **სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეების სოციალური და ემოციური საჭიროებები**

სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს ხშირად დახმარება სჭირდებათ ისეთ სოციალურ სფეროებში, როგორცაა საკლასო ოთახში მოქცევა, ურთიერთობის უნარ-ჩვევები, პიროვნული და ფსიქოლოგიური თვისებების განვითარება. სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეები ხშირად აქტიურად ერთვებიან ჩხუბში, კინკლაობაში, მათ პრობლემები აქვთ თანატოლებთან ურთიერთობაში, თითქმის არ ჰყავთ მეგობრები. არსებობს რამდენიმე ახსნა იმისა, თუ რატომ აქვთ მოსწავლეებს სოციალური პრობლემები. ზოგიერთმა მოსწავლემ არ იცის, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში. არცოდნა კი თავისთავად გამოწვეულია იმით, რომ მოსწავლე ვერ ითვისებს ურთიერთობის უნარ-ჩვევებს ვერც სკოლაში და ვერც მის გარეთ.

- **რა სახის ადაპტაცია არის საჭირო სწავლის უნარის სპეციფიური დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის**

იმისათვის, რომ დაეხმაროს სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეს, მასწავლებელს უნდა შეეძლოს დასასწავლი მასალის, მისი წარდგენისა და გარემოს ადაპტაცია, ეს კი ნიშნავს, რომ სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეთა უმრავლესობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უნდა სწავლობდეს.

## ■ გონებრივი განვითარების დარღვევები

- **რა არის გონებრივი ჩამორჩენილობა**

გონებრივი ჩამორჩენილობა ფსიქიკური განვითარების დარღვევის ფორმაა. აღნიშნული მდგომარეობა ვლინდება ადრეულ ასაკში და მთელი ცხოვრების მანძილზე ახდენს გავლენას ბავშვის ფსიქიკური განვითარების და ჩვევების ჩამოყალიბებაზე.

გონებრივი ჩამორჩენილობა არის მნიშვნელოვანი გადახრა ზოგადი ინტელექტუალური ფუნქციონირების დონიდან.

გონებრივი ჩამორჩენილობა ხასიათდება ინტელექტუალური და ადაპტაციური უნარების დარღვევებით შემდეგ სფეროებში:

- კომუნკაცია;
- თვითმომსახურება;
- სწავლა;
- მუშაობა;
- დასვენება;
- საოჯახო საქმიანობა;
- სოციალური ჩვევები.

### გამოყოფენ გონებრივი ჩამორჩენილობის 4 ხარისხს:

- მსუბუქი (IQ 50-69);
- საშუალო (IQ 35-49);
- მძიმე (IQ 20-34);
- ღრმა (IQ 20-ის ქვემოთ)

სადაც IQ არის ინტელექტის კოეფიციენტი, რომელიც იზომება ინტელექტის საზომი ტესტებით. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ვექსლერის ტესტი (WISC-R).

### მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობის დროს (IQ = 50-69):

- მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 9-12 წელს;
- ვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები სკოლაში;
- ვლინდება ნორმალური სოციალური ურთიერთობების დამყარებისა და



საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უნარი. აგრეთვე მუშაობისათვის აუცილებელი უნარები.

**საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობა (IQ=36-49):**

- მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 6-9 წელს;
- ვლინდება განვითარების თვალსაჩინო შეფერხება ბავშვობაში;
- ირღვევა თვითმომსახურების უნარები;
- უმრავლესობას შეუძლია შეიძინოს ადეკვატური კომუნიკაციური და საბაზო აკადემიური უნარები;
- საჭიროებს სხვადასხვა დონის დახმარებას საზოგადოებაში ცხოვრებისა და მუშაობისათვის.

**მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობა (IQ = 20-49):**

- მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 3-6 წელს;
- ჩვეულებრივ საჭიროებს მუდმივ დახმარებას.

**ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობა (IQ 20-ზე ნაკლებია):**

- მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 3 წლამდე ასაკს;
- ვლინდება თვითმომსახურების, გადაადგილების და კომუნიკაციის მძიმე დარღვევები;
- გონებრივი ჩამორჩენილობა შეუქცევადი პროცესია და ყოველი კონკრეტული ბავშვის შემთხვევაში განვითარების ტემპი, უნარები და აკადემიური მიღწევები ძალიან ინდივიდუალურია.



- რა ახასიათებს გონებრივ ჩამორჩენილობას:

- **აზროვნების სპეციფიურობა:** აზროვნება არის თვალსაჩინო (კონკრეტული) და სიტუაციური. ცოდნის განზოგადება, სხვა სიტუაციაში გადატანა და აბსტრაგირება გართულებულია;
- **სწავლის ნელი ტემპი:** ესაჭიროებათ მრავალჯერადი გამეორება და დიდი დრო ჭირდება მასალის, ინფორმაციის განმტკიცებას (მაგ. დასწავლილი მასალის გადმოცემის გაუმჯობესება შესაძლებელია 3 თვის შემდეგ გამოვლინდეს);
- **ყურადღების კონცენტრაციის დარღვევა:** გართულებულია როგორც გარკვეულ აქტივობაში ჩართვა, ასევე მიმდინარე აქტივობიდან ახალ აქტივობაზე გადართვა;
- **მეტყველების განვითარების დარღვევა:** დამოკიდებულია გონებრივი ჩამორჩენილობის ხარისხზე და შესაძლებელია გამოხატული იყოს არტიკულაციის დარღვევით, ლექსიკური მარაგის სიმწირით, ენის სინტაქსური მხარის და გაბმული მეტყველების დარღვევით (ამბის მოყოლა) ან შესაძლებელია ძლიერი ჩამორჩენაც, რაც გამოიხატება მეტყველებით კომუნიკაციის სრული დარღვევით;
- **მოტორული პრობლემები:** უჭირს ხელით ნატიფი მოძრაობების შესრულება, რომელიც აუცილებელია კალმის, მაკრატლის, დანა-ჩანგლის ხმარებისათვის და შესაბამისად ამ უნარების განვითარებაც დარღვეულია. გართულებულია თანმიმდევრული, რამდენიმე საფეხურისაგან შემდ-





გარი მოტორული აქტივობის შესრულება, დაგეგმვა და კონტროლი. რთულად ხდება თვითმომსახურების ჩვევების (ჩაცმა-გახდა, ჭამა, ტუალეტი, დაბანა, ათვისება);

- **სოციალური ადაპტაციის პრობლემები:** მაგ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოქცევის არ ცოდნა (მაღაზიაში, ტრანსპორტში, თეატრში და ა.შ.). ეს სირთულე განპირობებულია მეტყველების, ზოგადად კომუნიკაციის და შემეცნებითი უნარების დარღვევით. შესაბამისად, სოციალური ჩვევების დაუფლება რთულად და ხანგრძლივად მიმდინარეობს.
- **ემოციური მოუმწიფებლობა:** შესაძლოა ემოციების გამოხატვის ინტენსივობა იყოს ძალიან ძლიერი. დარღვეულია ემოციების შეკავებისა და კონტროლის უნარი.

უნდა აღინიშნოს, რომ გონებრივი განვითარების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სხვათა მათ მიმართ დამოკიდებულება. ისინი ძალიან მწვავედ რეაგირებენ, თუ ვერ გრძნობენ საკუთარი თავის მიმართ სითბოს, სიყვარულს და კეთილგანწყობას.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ გონებრივი განვითარების დარღვევების მქონე ბავშვები სწავლებადნი არიან და მათ აუცილებლად უნდა ვასწავლოთ: წინააკადემიური უნარები (ინსტრუქციის მოსმენა, გაგება, შესრულება, ჯერის დაცვა, ხაზების გავლება, ფერები და ა.შ.); აკადემიური უნარ – ჩვევები (წერა-კითხვა, ანგარიში) და ფუნქციონალური უნარ-ჩვევები (სახლის დალაგება, თვითმომსახურება, ფულთან ურთიერთობა, საზოგადოებრივი ქცევის ნორმები და ა.შ.)

## ■ დაუნის სინდრომი

### ● რა არის დაუნის სინდრომი

დაუნის სინდრომი გონებრივი ჩამორჩენილობის ფორმაა, რომელიც შერწყმულია დამახასიათებელ გარეგნობასთან. მის საფუძველს წარმოადგენს ქრომოსომული აპარატის ანომალია, რომელიც ვლინდება უპირატესად ერთი ზედმეტი ქრომოსომის არსებობაში.

### ● რა ახასიათებს დაუნის სინდრომს

არსებობს დაუნის სინდრომისათვის დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნები, ხშირად ამის გამო დაუნის სინდრომს „მონგოლიზმსაც“ უწოდებენ. დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეების ცნობა ადვილია მათთვის დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნების მიხედვით:

- სახის ბრტყელი პროფილი;
- დეფორმირებული ყურები;
- მოკლე ფართო ხელები;

- მოკლე კისერი;
- პატარა თავი;
- კუნთების დაბალი ტონუსი;

გამოყოფენ აგრეთვე დაუნის სინდრომისთვის დამახასიათებელ **ინტელექტუალური განვითარების** თავისებურებებს:

- როგორც წესი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები სხვადასხვა ხარისხის ინტელექტუალური განვითარების დარღვევით ხასიათდებიან. მკვლევართა უმეტესობა აღნიშნავს, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ინტელექტის განვითარების მაქსიმალური დონე, ჯანმრთელი ბავშვების 6-8 წლის ასაკის შესაბამისი რჩება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ინტელექტუალური შესაძლებლობებით და როგორც წესი, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კარგ შედეგებს აღწევენ სწავლაში.
- დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა ყურადღების პრობლემები – კონცენტრაციის დეფიციტი, გაფანტულობა.  
დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ხასიათდებიან ადვილი გადართვადობით, ანუ ნებისმიერ უმნიშვნელო მოვლენასა თუ გამღიზიანებელს შეუძლია ისინი მოწყვიტოს საქმიანობას და მთლიანად გადართოს სხვა უმნიშვნელო აქტივობაზე.
- დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას მეტყველების განვითარება წარმოადგენს. ძალიან ხშირად დაუნის სინდრომს თან სდევს სხვადასხვა ხარისხის სმენის დარღვევები და აქედან გამომდინარე მეტყველების განვითარების და არტიკულაციის პრობლემები.
- დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები საკმაოდ ჯიუტები არიან და ამიტომ მათ პერიოდულად ქცევითი დარღვევები ახასიათებთ. ასევე ძალიან ხშირია დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში დაბალი თვითშეფასების არსებობა, რაც მათი ფიზიკური მონაცემებით არის გამომწვეული და მნიშვნელოვნად უშლის ხელს ბავშვების ნორმალურ ფუნქციონირებას და სწავლის მოტივაციას.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის ზემოთ მოყვანილი ინტელექტუალური თავისებურებების გათვალისწინებით, ისახება სწავლების გარკვეული სტრატეგიები, რომელიც მაქსიმალურად პასუხობს დაუნის სინდრომის მქონე მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებებს. სანამ უშუალოდ ამ სტრატეგიების აღწერაზე გადავიდოდეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების განათლების საუკეთესო ფორმად დღეს მსოფლიოში ინკლუზიური განათლებაა აღიარებული. კვლევებმა დაადასტურეს, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი ოპტიმალურ განათლებას ღებულობს მაშინ, როდესაც იგი თავის ჯანმრთელი თანატოლების გარემოცვაშია და თავს კლასის სრულუფლებიან წევრად განიცდის. ეს ზრდის მის თვითშეფასებას, უჩენს მიკუთვნებულობის განცდას, ასწავლის სოციალური ქცევის ნორმებს, ურთიერთობის სურვილი ხელს უწყობს მისი

მეტყველების განვითარებას და შედეგად მისი განვითარებისა და განათლებისათვის ოპტიმალური პირობები იქმნება.

● დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის სწავლების სტრატეგიები

დამტკიცებულია, რომ დაუნის სინდრომის დიაგნოზისას, ადრეული ჩარევა და რეაბილიტაცია ძალიან კარგ შედეგებს იძლევა როგორც ინტელექტუალური, ასევე ემოციური თვალსაზრისით.

- გამოიყენეთ მულტი-მოდალური მიდგომა. ასწავლეთ ბავშვს შეხებით, სმენით და მხედველობით. მაგალითად, გამოიყენეთ არსებული წიგნები რომლებსაც სხვადასხვა სენსორული ელემენტები აქვს, ხმას გამოსცემს და სხვადასხვა ფაქტურის ტექსტებით ხასიათდება.
- გამოიყენეთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული მაგალითი და ყოფითი სიტუაცია სწავლებისათვის. ესაუბრეთ ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე. თუ აუცილებლობა მოითხოვს, შეანელეთ თქვენი მეტყველების ტემპი.
- ყოველთვის დაყავით დავალებები პატარა ეტაპებად და ყოველი ეტაპის წინ უზრუნველყავით ბავშვი ახალი ინსტრუქციით. გახსოვდეთ, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს, როგორც წესი, ძალიან კარგი ხანმოკლე მეხსიერება აქვთ.
- ყურადღების კონცენტრაციის გაზრდის მიზნით, გაკვეთილის განმავლობაში, მოსწავლეს ხშირად გაუმეორეთ ინსტრუქციები. მასალის დანაწევრება და ხშირი ინსტრუქციები გაუადვილებს მას დავალებაზე ყურადღების კონცენტრაციას და მასალის ათვისებას.
- ახალი მასალის ახსნისას/მიწოდებისას ეცადეთ თქვენი მეტყველების ტემპი იყოს შენელებული, მასალა კარგად სტრუქტურირებული (მარტივიდან – რთულისკენ), ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენები და ა.შ.
- ვინაიდან დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ადვილად გადაერთვებიან ნებისმიერ ხელისშემშლელ ხმაურსა თუ მოვლენაზე, სასურველია მათი სასწავლო გარემო კარგად ორგანიზებული იყოს. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები არ უნდა ისხდნენ ახლოს ფანჯრებთან და კარებთან ან ისეთ ადგილას საკლასო ოთახში სადაც ხმაურის აღმოცენების ალბათობა მაღალია. უმჯობესია მათ წინასწარ იცოდნენ გაკვეთილის გეგმა ანუ რას, რის შემდეგ აკეთებენ, რათა მზად იყვნენ ცვლილებებისათვის და ახალ დავალებაზე გადართვამ არ გაუფანტოს ყურადღება.
- დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს, როგორც წესი, მკაფიოდ გამოხატული მეტყველების და ხშირად სმენის დარღვევები აქვთ. ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელი იქნება ბავშვისათვის ლოგოპედთან ინდივიდუალური მუშაობა, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მასწავლებლის მიერ მკაფიოდ და მარტივი ინსტრუქციები და ასევე გამოკითხვის ალტერნატიული ფორმები (წერილობით, კითხვებზე მოკლე პასუხების გაცემით, სურათებზე მითითებით) ეხმარება ბავშვს აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში.

დაუნის სინდრომი და მისი განვითარებისათვის ოპტიმალური პირობები

- ქცევის მართვის სტრატეგიები დაუნის სინდრომის ბავშვებისთვის იგივეა რაც ყველა დანარჩენი ბავშვისთვის. მთავარია, რომ სასურველ ქცევას აუცილებლად მოჰყვეს დადებითი განმტკიცება (შექება, ნახაღისება, დასაჩუქრება) და, რომ ეს განმამტკიცებელი აუცილებლად მნიშვნელოვანი და ღირებული იყოს ბავშვისთვის.

## ■ ცერებრული დამბლა

- რა თავისებურებები ახასიათებს ცერებრულ დამბლას და როგორია მისი თანმდევი დარღვევები

**ცერებრული დამბლა** ვლინდება მოძრაობისა და პოზის დარღვევებში, რაც საფუძვლად ტვინის გარკვეული უბნების დაზიანება უდევს. ხშირ შემთხვევაში თავის ტვინის უბნის დაზიანება განვითარების სხვა დარღვევებსაც იწვევს. მაგალითად, გონებრივ ჩამორჩენილობას, გულყრებს, მხედველობით და სმენით დარღვევებს და ქცევის პრობლემებს.

განასხვავებენ ცერებრული დამბლის რამდენიმე ძირითად ფორმას:

**სპასტიური** – დაჭიმული კუნთები. ყველაზე გავრცელებული ფორმა;

**ატაქსიური** – წონასწორობის სუსტი შეგრძნება. ხშირად იწვევს დავარდნას და შეჯახებას;

**ათეტოიდური** – ხელების, თავისა და თვალების მუდმივი მოძრაობები.

ცერებრული დამბლა ძირითადად ადამიანის მოძრაობის, წონასწორობის შენარჩუნებისა და სხეულის პოზის შენარჩუნების უნარზე ახდენს გავლენას. იგი იწვევს სხვადასხვა ტიპის შეზღუდვებს მსუბუქი მოუქნელობიდან მძიმე სპასტიურობამდე.

სხეულის არასწორი პოზები კი ხელს უშლის მოძრაობების შესრულებას და მოტორული ჩვევების ჩამოყალიბებას ბავშვებში. ბავშვთა ცერებრული დამბლის დროს ირღვევა არა მარტო ნებითი მოძრაობების შესრულება, არამედ შესუსტებულია შეგრძნებებიც, რის გამოც გართულებულია სხეულისა და მისი ნაწილების მოძრაობის შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბებაც. ბავშვებში ხშირია ტაქტილური აღქმის დეფიციტიც – მათ უჭირთ ხელის მოსინჯვით საგნების და მათი თვისებების ცნობა.

არასწორი პოზის გამო ხშირია ხელის და თვალის შეთანხმებული მოძრაობის დარღვევა. ბავშვს უჭირს თვალი მიაყოლოს საკუთარ ან სხვის მოძრაობას. ეს აფერხებს საგნების მოხმარების ჩვევების ჩამოყალიბებას და შემდგომში სასწავლო ჩვევების (კითხვა, წერა) ათვისებას.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვები სწრაფად იფიქტებიან. მათ უჭირთ ხანგრძლივად გარკვეული საქმიანობის შესრულება ან თამაში. დაღლის შემთხვევაში ეწყებათ მოუსვენრობა, უნებლიე მოძრაობები.

ხშირია მეტყველების დარღვევები, რაც გამოიხატება ბგერების და სიტყვების გამოთქმის სირთულეში. სახის, ტუჩების და ენის კუნთების ტონუსის დეფექტის გამო, მათი მოძრაობა ძლიერ შეზღუდულია. ამასთან ერთად, არასწორი სუნთქ-



ვაც აძლიერებს ბგერათნარმოქმნის პროცესს. ასეთი სახის მეტყველების დარღვევა – დიზართრია – გამოწვეულია სამეტყველო კუნთების კონტროლის და კოორდინაციის დარღვევით. ბავშვის მეტყველება შესაძლოა იყოს ნელი, ძნელად გასაგები, ხმა შეცვლილი, ბავშვი თითქოს „ცხვირში“ ლაპარაკობს. მეტყველება წყვეტილია, ხმის მოდულაცია – ცვალებადი. მეტყველების პრობლემები რთულდება, თუ ბავშვს დარღვეული აქვს სმენაც ერთ ან ორივე ყურში. სამწუხაროდ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების 20%-ს აღენიშნება სხვადასხვა სახის სმენის დარღვევა, რაც საგრძნობლად ართულებს მეტყველების განვითარებას – ბგერების სწორად გაგებას და წარმოთქმას.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებს ხშირად მხედველობით-სივრცითი წარმოდგენების და სხეულის სქემის განვითარების შეფერხება ახასიათებთ. მოტორული ფუნქციების დარღვევის გამო ბავშვი არ არის აქტიური, იგი დამოუკიდებლად ვერ ახერხებს ცოცვას, ხოხვას, საგნების ხელით მოსინჯვას. შესაბამისად ბავშვის სენსორული და მოტორული განვითარება ძლიერ ფერხდება.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების 20%-ს აღენიშნებათ გულყრები (ეპილექსიური შეტევები) თავის ტვინის დაზიანებულ უბნებში ნეირონების პათოლოგიური აქტიურობის გამო.

**● ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის ძირითადი სირთულეები სწავლასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში:**

- მთავარი პრობლემა ბავშვის მოტორული ფუნქციების განვითარების დარღვევაა, რაც ფიზიკური და ფსიქიკური განვითარებისათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნის. ჩვილი ბავშვი გარემოს შემეცნებას სხეულით, მოძრაობებითა და შეგრძნებებით იწყებს. ჩვილ ბავშვს უკვე ოთხი თვის ასაკისათვის თავისუფლად შეუძლია კისრის დაჭერა, თავის პოზის კონტროლი და მისი თავისუფლად მობრუნება სივრცეში. 6 თვის ასაკში ბავშვი ჯდომას სწავლობს, 8-12 თვის ასაკში სწავლობს აქტიურ ცოცვას, ფეხზე დგება და შეუძლია პოზის შენარჩუნება. 12-18 თვის ასაკში ბავშვი სიარულს იწყებს, წონასწორობის შესანარჩუნებლად აქტიურად იყენებს ხელებს. მოტორული უნარების განვითარებასთან ერთად ბავშვს შესაძლებლობა ეძლევა აქტიურად შეისწავლოს გარემო – მიცოცდეს, ხელი მოკიდოს, პირში ჩაიდოს, მოსინჯოს. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვი ამგვარ აქტივობას მოკლებულია. თავის, კისრის, ზურგის არასწორი მდებარეობის გამო იგი დროულად ვერ იჭერს თავს, ვერ ჯდება, ვერ იცვლის პოზას, ვერ ცოცავს და ვერ დგება დამოუკიდებლად. შესაბამისად, ვარ ახერხებს გარემოს შემეცნებას ბავშვებისათვის დამახასიათებელი ჩვეული გზით.
- მოტორული ფუნქციის დაზიანების ხარისხის შესაბამისად, ბავშვებს უჭირთ თვითმომსახურების ჩვევების ათვისება და გარკვეული დამოუკიდებლობის ხარისხის მოპოვება.
- სწავლის პროცესში აღმოცენებული სირთულეებიდან ყველაზე დამახასიათებელია:

1. მეტყველების მოტორული და არტიკულატორული მხარის დარღვევები, რაც მეტყველებას ნაკლებად გასაგებს ხდის;
2. ფანქრის და კალმის გამოყენება;
3. გაკვეთილზე დიდხანს გაჩერება;
4. დამოუკიდებელი გადაადგილების უუნარობით გამოწვეული სირთულეები.

- ცერებრული დამბლის მქონე ბავშვს შეიძლება ჰქონდეს ემოციური სფეროს პრობლემებიც. ხშირია სხვადასხვა სახის შიშები, ემოციური არამდგრადობა, გუნება-განწყობის სწრაფი ცვლილებები. ამას ემატება საკუთარი უსუსურობის და გარიყულობის განცდა, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ ემოციურ მდგომარეობას.

### ● ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის სწავლების სტრატეგიები

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის სწავლება დიდ მოთმინებას, ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. ვინაიდან ცერებრული დამბლის ფორმები და სიმძიმის ხარისხი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან, რთულია ერთიანი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებისათვის. როგორც წესი მათი სწავლება ინდივიდუალურ მიდგომას და სასწავლო გეგმას გულისხმობს სხვადასხვა სახის რეაბილიტაციის პროგრამებთან ერთად.

**სწავლება ყოველთვის მიმართული უნდა იყოს ბავშვის აქტუალური შესაძლებლობების განვითარებასა და პოზიტიურ ცვლილებაზე და არა ცერებრული დამბლით გამოწვეული დარღვევების შესუსტებაზე.** მაგ. მასწავლებელმა უმჯობესია წაახალისოს ცერებრული დამბლის მქონე მოსწავლის მონაწილეობა ჯგუფურ აქტივობაში, რომელიც ორივე ხელის გამოყენებას მოითხოვს, ვიდრე სულ დაზიანებული ხელის გავარჯიშებაზე იყოს ფოკუსირებული. ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია კი ეხმარება ბავშვებს თვით შეფასების ამაღლებასა და ემოციური სტაბილურობის მოპოვებაში.

როგორც ყველა დანარჩენი ბავშვი, ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გონებრივი შესაძლებლობებით. ზოგიერთი მათგანი არანაირ დაბრკოლებას არ განიცდის სწავლის პროცესში და თანატოლებთან ურთიერთობაში, ზოგი კი სხვადასხვა ხარისხის გონებრივი განვითარების შეფერხებითა და სწავლის სირთულეებით ხასიათდება. ბუნებრივია, რომ ყველა ბავშვს პატარაობიდანვე უნდა ექმნებოდეს ყველა პირობა იმისათვის, რომ მათ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწიონ.

### ● ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის სწავლებისას გასათვალისწინებელი ფიზიკური გარემოს ასპექტები

- დარწმუნდით, რომ საკლასო ოთახი ისეა მოწყობილი, რომ მასში ეტლით ან ყავარჯნებით გადაადგილება სირთულეს არ წარმოადგენს.
- შეეცადეთ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის მერხზე იყოს სპე-

ციალური საფარი ან ნებისმიერი მონყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ფურცლის, რვეულის დაფიქსირებას ისე, რომ ბავშვს არ დაჭირდეს მისი მეორე ხელით დაჭერა.

- შეეცადეთ საკლასო ოთახში ან დერეფანში დაამაგროთ მოაჯირები, რაც ცერებრალური დამბლის მქონე ბავშვისთვის დამატებითი დახმარება იქნება.
- გახსოვდეთ, რომ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვს შესაძლოა გაცილებით მეტი დრო დასჭირდეს კლასში შემოსასვლელად და გაკვეთილისათვის მოსამზადებლად.
- აუცილებლად გაარკვიეთ ბავშვის მშობლებთან ხომ არ აქვს ბავშვის სმენის დარღვევა ან გულყრები. ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ სწორად შეარჩიოთ ბავშვისთვის ოპტიმალური სწავლების სტრატეგია და ასევე წინასწარ გეცოდინებათ თუ როგორ უნდა მოიქცეთ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს გულყრა დაემართა.

● **ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის სწავლებისას გასათვალისწინებელი აკადემიური ასპექტები**

- შეეცადეთ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვი დასვათ წინა მერხზე, თქვენთან და დაფასთან ახლოს, რაც გაუადვილებს მას მოსმენას (სმენის დარღვევის შემთხვევაში) და დაფიდან დავალებების გადმოწერას.
- ყოველთვის მიეცით დამატებითი დრო დავალების შესასრულებლად, განსაკუთრებით წერითი დავალებების, საკონტროლოების შესრულებისას და ა.შ.
- მიეცით უფლება, თუ სურვილი აქვს დიქტოფონზე ჩაინეროს გაკვეთილის ახსნა. ეს შესაძლოა მას დაეხმაროს უკეთ გაერკვეს ახლად მიწოდებულ მასალაში.
- ამუშავეთ მცირე ჯგუფებში. ეს დაეხმარება მას ყურადღების კონცენტრაციასა და მოსმენის უნარის განვითარებაში.
- დაეხმარეთ საშინაო დავალებების ჩანერასა და ორგანიზებაში.

■ **აუტიზმი**

● **რა არის აუტიზმი**

აუტიზმი ტვინის განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დამყარების, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გონებრივი განვითარების პროცესებზე. აუტიზმის მქონე ბავშვს დარღვევები აქვს სოციალური უნარების, კომუნიკაციის, მეტყველების, ქცევის განვითარებაში.

აუტიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნებია:

- სირთულეები სოციალური ურთიერთობის დამყარებისას;
- სირთულეები კომუნიკაციის მიზნით მეტყველების გამოყენებისას;
- ძლიერი მიჯაჭვულობა ჩვეული ცხოვრების წესის მიმართ, გარკვეული საგნებისა და საკვების მიმართაც კი.

### ● აუტიზმის მქონე ბავშვის სწავლების სტრატეგიები

მიუხედავად იმისა, რომ აუტიზმის მქონე ბავშვების განათლება და სწავლება საკმაოდ რთულია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაინც არსებობს რამდენიმე სწავლების რამდენიმე ეფექტური სტრატეგია, რომელთა ცოდნაც დაგეხმარებათ აუტიზმის მქონე ბავშვის სწავლებაში:

როგორც წესი, აუტიზმის მქონე ბავშვები ძლიერი ვიზუალიზაციის (მხედველობითი წარმოსახვის) უნარით ხასიათდებიან. აუტიზმის მქონე ერთ-ერთი ამერიკელი ავტორი, თავის წიგნში „აზროვნება სურათებით“, წერდა: „სიტყვები ჩემთვის მეორე ენას წარმოადგენენ. როდესაც ვინმე მელაპარაკება, მისი სიტყვები იმ წამსვე სურათებად გარდაიქმნებიან ჩემთვის“.

შესაბამისად აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის ინფორმაციის ვიზუალური სახით მიწოდება, ეხმარება მათ კომუნიკაციის დამყარებაში და ასევე ხელს უწყობს კომუნიკაციის ენის განვითარებას. ასევე, შესაძლებელია ბავშვისათვის სურათების მეშვეობით ურთიერთობის სწავლება. სურათებით ურთიერთობის დაუფლება კი, ეხმარება მათ თვითშეფასების ამაღლებაში, გარკვეული დამოუკიდებლობის მოპოვებასა და საკუთარი თავის რწმენაში.

აუტიზმის მქონე ნებისმიერ ადამიანს ყველა ასაკში შეუძლია ვიზუალური მასალის (სურათების), როგორც კომუნიკაციის საშუალების, გამოყენება. ეს ძალიან ამარტივებს მათ ურთიერთობას გარე სამყაროსთან.

აუცილებელია, რომ ბავშვს მისი ასაკისა, საჭიროებების და განვითარების შესაბამისი ვიზუალური მასალა მივაწოდოთ. სურათებით შესაძლებელია სხვადასხვა სიუჟეტებისა და ცხოვრებისეული სიტუაციების გადმოცემა, სხვადასხვა საგნებისა და მოვლენების აღწერა.

ეცადეთ, რომ სხვადასხვა სიტუაციაში სკოლაში, სახლში, სტუმრად, ყოველთვის ერთი და იგივე, თქვენს მიერ შერჩეული სურათი, ნახატი თუ ფოტო გამოიყენოთ. ეს დაეხმარება ბავშვს არ დაიბნეს და განუმტკიცებს მას ათვისებულ ინფორმაციას. გახსოვდეთ, რომ ყველა ბავშვს ნახატების შერჩევა ინდივიდუალურად ჭირდება.

ვიზუალური მასალის ბავშვისთვის წარდგენა ეტაპობრივად უნდა ხდებოდეს: ჯერ ვაცნობთ კონკრეტული საგნის ნახატს და შემდეგ ნახატებით ვაწყობთ გარკვეული მოქმედებისა თუ აქტივობის გეგმას.

აუტიზმის მქონე ბავშვებს ყველაზე მეტად სოციალური ურთიერთობა უჭირთ, შესაბამისად, უნდა იქნას გამოყენებული ბავშვის ყველა შესაძლებლობა, რათა მას ურთიერთობა ვასწავლოთ.

რადგან აუტიზმის მქონე ბავშვებს როგორც წესი მეტყველების მკვეთრად





გამოსატული პრობლემა აქვთ, უმჯობესია მათ სურათებით ურთიერთობა ვასწავლოთ. სურათები ძალიან ეხმარება ბავშვებს გაგვაგებინონ, გვიჩვენონ, თუ რა უნდათ, ვისთან უნდათ და რისი გეგმა სურთ.

აუტიზმის მქონე ბავშვებთან მუშაობისას ასევე ეფექტური სტრატეგია იმიტაციაა. სხვათა იმიტაციის პროცესში აუტიზმის მქონე ბავშვები სწავლობენ სოციალურ ინტერაქციას და გარკვეულ ყოფით უნარ-ჩვევებს, რომელიც მათ დამოუკიდებლად არ უყალიბდებათ.

### ■ მხედველობის დარღვევები

#### ● მხედველობის ფუნქციები

მხედველობითი სისტემა ერთ-ერთია, რომლის მეშვეობითაც ადამიანი გარე სამყაროს აღიქვამს. მხედველობას შემადგენელი ფუნქციები (მახასიათებლები) გააჩნია, რომლის გარეშეც სრულფასოვანი ხედვა შეუძლებელი იქნებოდა. ამ ფუნქციათა დარღვევა/დაკარგვა იწვევს მხედველობის მნიშვნელოვან დეფიციტს.

მხედველობის დაქვეითება შეიძლება მოიცავდეს მდგომარეობას სუსტ მხედველობასა და სრულიად უსინათლობას შორის. ერთმანეთისაგან განსხვავდება მხედველობის თანდაყოლილი და შეძენილი დაქვეითებები.

#### ● ძირითადი სირთულეები, რომელიც სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება

მხედველობის დაქვეითების მქონე ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში და სხვადასხვა სახის აქტივობაში შეიძლება შემდეგ სირთულეებს განიცდიდნენ:

- გადაადგილების (მობილობის) სირთულე;
- ორიენტაციის სირთულე;
- ტრანსპორტირების სირთულე;
- სირთულეები ადამიანების ცნობისას;
- სირთულეები მოტორული დავალებების გაგებისას;
- სირთულეები საგანმანათლებლო და შრომით პროცესებში ინტეგრაციისას.

სირთულეები საკლასო აქტივობების განხორციელებისას დაქვეითებული მხედველობის პირობებში



- კითხვის სირთულეები კლასში;
- თეთრ დაფასთან მუშაობის სირთულე: მოსწავლეებს უჭირთ მასზე დაწერილი ტექსტის ზუსტად ამოკითხვა ან სრულიად ვერ კითხულობენ;
- წიგნში წარმოდგენილ ვიზუალურ მასალასთან მუშაობის სირთულე. მხედველობა დაქვეითებულ მოსწავლეებს უჭირთ ილუსტრაციების გარჩევა და ამის გამო ჯგუფურ მეცადინეობაში მონაწილეობა;
- სიტყვასთან/წინადადებასთან/ტექსტთან სამუშაო დავალებები, როგორც წესი, გვერდზე განთავსებული ტექსტის ადგილმდებარეობის განსაზღვრას საჭიროებს, რისთვისაც მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებს ჩვეულებრივზე მეტი დრო სჭირდებათ. ამიტომ ისინი ხშირად სავარჯიშოების შესრულებას ვერ ახერხებენ;
- ზოგჯერ მასწავლებლის მიერ მიცემული დავალება კარგ დისტანციურ მხედველობას მოითხოვს, რაც ამ კატეგორიის მოსწავლეებისთვის მიუწვდომელია;
- მოსწავლეები ხშირად ვერ ასწრებენ მიცემული დავალების შესრულებას;
- ვინაიდან დავალებათა უმეტესობის შესრულება მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლისთვის შეუძლებელია, გაკვეთილთა ნაწილის მიმართ ისინი დემოტივირებულები რჩებიან.

● ტექნიკური მოწყობილობები

მხედველობის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეთა უმეტესობას ესაჭიროება გარკვეული ტექნიკური მოწყობილობები სწავლისთვის და დავალებათა შესასრულებლად:

**ლამპები გამადიდებელი ფუნქციით:** ხელის გამადიდებლები შეიძლება ნაცადი იყოს, თუკი საჭიროა გამოსახულება მნიშვნელოვანი გადიდება. ხელის ზოგ გამადიდებელს ჩაშენებული ნათურები აქვს, რაც კითხვის დროს კონტრასტს აძლიერებს. ბევრ ასეთ მოწყობილობას, აგრეთვე, შეუძლია შავ ფონზე თეთრი ასოების ან თეთრ ფონზე შავი ასოების წარმოდგენა.

**მონოკულარული ტელესკოპი:** უზრუნველყოფს ობიექტის უფრო ახლოს დანახვას, ვიდრე ის სინამდვილეში არის. ხელის ტელესკოპი არის მონოკულარული და გამოიყენება ერთი თვალისათვის. შეიძლება გამოყენებული იყოს საგზაო ნიშნისათვის, შენობის რუკისათვის ან სწრაფი კვების მენიუსათვის.

**ბინოკულარული ტელესკოპი:** სათვალეში ჩამონტაჟებული ტელესკოპი შეიძლება იყოს როგორც მონოკულარული, ასევე ბინოკულარული. მისი მოხერხებულად ტარება ხანგრძლივი დროის განმავლობაშია შესაძლებელი, როდესაც ორივე ხელი თავისუფალია. შეიძლება იყოს გამოყენებული თეატრში, კალათბურთის ყურებისას ან კარტის თამაშის დროს.

**სათვალეები ფილტრული ლინზებით:** გვანჯდის შუქის ტალღების განსხვავებულ სიგრძეს და ზოგ ადამიანს ხედვას უადვილებს. ის შეიძლება გამოყენებული იქნეს თვალისმომჭრელი შუქის დროს, ულტრაიისფერი ან ულტრანითელი შუქისაგან დასაცავად ან კონტრასტის გასაზრდელად.

■ სმენის დარღვევა

სმენა საშუალებას გვაძლევს, შევამჩნიოთ და ამოვიცნოთ ჩვენს გარშემო არსებული ბგერები და განვსაზღვროთ მათი ადგილმდებარეობა. ადამიანისთვის სმენა წამყვან როლს თამაშობს, რათა აღიქვას გარემოში არსებული მოვლენები.

**სმენის დარღვევაში იგულისხმება:**

- **სმენის დაზიანება:** ზოგადი ტერმინი, აერთიანებს სმენის დაქვეითების ყველა ხარისხს;
- **სმენის დაქვეითება:** აქ ერთიანდება სმენის დაკარგვის ყველა ხარისხის მქონე ადამიანი, რომელსაც მეტყველების გაგება სასმენი აპარატის დახმარებით შეუძლია;
- **ყრუ:** სმენის ისეთი დაქვეითება, როდესაც მეტყველების გაგება სასმენი აპარატივითაც კი შეუძლებელია.

### ● ძირითადი სირთულეები, რაც მოსწავლეს სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში ხვდება

სმენის დაქვეითებამ შესაძლოა დააზიანოს ბავშვის როგორც თავისი, ასევე სხვისი მეტყველების გაგების უნარი. ეს განსაკუთრებით შეეხება ბავშვებს, რომლებიც სმენის დაქვეითებით დაიბადნენ ან სმენა 2 წლის ასაკამდე დაუქვეითდათ. სმენა დაქვეითებული ადამიანები ურთიერთობისთვის შეიძლება იყენებდნენ მეტყველებას (ზოგჯერ ორალური კომუნიკაცია ეწოდება), ჟესტების ენას (მანუალური ანუ ხელით კომუნიკაცია) ან ორივეს ერთად. ორალური კომუნიკაცია მეტყველებაზეა ორიენტირებული და შესაძლებელი ხდება სასმენი აპარატის გამოყენებით და ზოგჯერ ტუჩიდან (ბაგიდან) კითხვის გამოყენებით. ხელით (ჟესტებით) კომუნიკაცია მოიცავს ჟესტების ენას.

ბავშვებს, რომლებსაც სმენა აქვთ დაქვეითებული:

- ადამიანთა მეტყველება ბურღუნად, გაუკვევლად ეჩვენებათ;
- დაძაბულები არიან, როდესაც ვინმე საუბრობს ან ჩურჩულებს;
- ძნელად იგებენ ზურგიდან ან მეორე ოთახიდან დაძახებულს;
- ესაჭიროებათ ტუჩების ახლოს დანახვა საუბრის გასაგებად;
- ესაჭიროებათ ტელევიზორის ან რადიო ხმის მაღლა აწევა;
- ცუდად ესმით ტელეფონით მოსმენილი საუბარი;
- აქვთ გაგების, სმენის, სირთულე თეატრში, კინოში ან სხვა გასართობ ადგილას;
- უძნელდებათ ხმაურიან ადგილას ყოფნა, მაგალითად რესტორანში ან მანქანაში;
- იძულებულნი არიან შეზღუდონ სოციალური აქტივობები სმენისა და კომუნიკაციის სირთულეების გამო.

### როდის ჩნდება ეჭვი სმენის დაქვეითების (დაკარგვის) შესახებ

ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს, თუ კი:

- გადატანილი აქვთ ყურის მრავლობითი ინფექციები;
- არ რეაგირებენ უცაბედ ხმამაღალ ბგერებზე;
- არ აბრუნებენ თავს სუსტი ბგერების მიმართულებით, განსაკუთრებით სუსტი ინტენსივობის (სიხშირის) ხმაურების მიმართულებით;
- უჭირთ ხმების ადგილმდებარეობის განსაზღვრა;
- არ რეაგირებენ ყვირილზე ან ლაპარაკზე უკნიდან ან სხვა ოთახიდან;
- აღენიშნებათ მეტყველების განვითარების შეფერხება/ჩამორჩენა (დაგვიანება);
- აღენიშნებათ მწირი ლექსიკა;
- აქვთ ცუდი წარმოთქმა;
- ლაპარაკობენ ან ძალიან ხმამაღლა ან ძალიან ჩუმად;



- დაჟინებით უყურებენ მოსაუბრეს სახეში;
- დგებიან მოსაუბრესთან ახლო მანძილზე;
- აქეთ-იქით იყურებიან და თვალებით კონტაქტს ერიდებიან;
- ვერ იგებენ მარტივ მიმართვასაც კი;
- სხვაგან „დაფრინავენ“, როდესაც გარშემო ზეპირი აქტივობები მიმდინარეობს;
- გაფანტულები/უყურადღებოები არიან;
- გულდანყვეტილი და იმედგაცრუებული (ფრუსტრირებული) არიან ზეპირი აქტივობების დროს;
- რადიოსთან, ტელევიზორთან და მაგნიტოფონთან ახლოს ჯდებიან;
- რადიოს, ტელევიზორის და მაგნიტოფონის მოსმენა ხმამაღლა ურჩევნიათ.

### სასმენი აპარატი

სმენა დაქვეითებული მოსწავლე შესაძლოა სასმენი აპარატით სარგებლობდეს. სასმენი აპარატი ახდენს სმენის დაქვეითების საშუალო ხარისხის კორექციას მაქსიმუმ 35-50%-ით. სმენა დაქვეითებულ მოსწავლესთან ურთიერთობისას მნიშვნელოვანია საუბრისას ფიზიკური სიახლოვე. სასმენი აპარატი ეფექტურია 2,5 – 3 მეტრში;

### სმენადაქვეითებულ მოსწავლეთა მდგომარეობა:

- დიდ ენერჯიას ხარჯავენ მოსმენაზე, აღქმაზე, გაგებასა და ფიქრზე;
- წყვეტენ ხელის აწევას;
- ხდებიან პასიურები საკლასო ოთახში;
- სანამ პასუხს მოიფიქრებენ, თანაკლასელები პასუხობენ.

### რამდენიმე სტრატეგია სმენის დარღვევების მქონე მოსწავლეთა პედაგოგებისთვის

სმენადაქვეითებულ მოსწავლეებს ზოგადად ესაჭიროებათ:

1. მოტივირებული მასწავლებლები;
2. ტოლერანტული თანაკლასელები;
3. ჯგუფის ზომის შემცირება;
4. საკლასო ოთახის მონყობა სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით;
5. შესტური ენის როგორც მნიშვნელოვანი კომუნიკაციის იარაღისა სწავლება.

### ● კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხების გამოყენების ზოგადი წესები

მასწავლებელს სახის გამომეტყველება, შესტიკულაცია და ნებისმიერი სხეულის მოძრაობა ეხმარება სმენის დარღვევების მქონე მოსწავლეთათვის ინფორმაციის გადაცემაში, ამიტომ სასურველია, მასწავლებელი ეცადოს, რომ:

- ლაპარაკის, ურთიერთობის დანყებამდე ყოველთვის მიიპყროს მოსწავლის ყურადღება და მას პირისპირ უყუროს;
- თუ მოსწავლე არ უყურებს, მხარზე მსუბუქი შეხებით ან თავზე ხელის გადასმით მიანიშნოს, რომ მასთან ურთიერთობა სურს;
- არ შეშინდეს, თუ მოსწავლეს მისი არ ესმის და ვერც თავად იგებს მის ლაპარაკსა თუ ჟესტიკულაციას. დროთა განმავლობაში ისწავლიან ერთმანეთის გაგებას;
- ურთიერთობისას ყოველთვის მოსწავლის პირისპირ აღმოჩნდეს;
- სახის გამომეტყველება, ჟესტიკულაცია და სხეულის მოძრაობები მაქსიმალურად შეესაბამებოდეს მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას;
- ცოდნის განმტკიცების მიზნით ახლად ნასწავლი სიტყვები გამოიყენოს სხვადასხვა კონტექსტში;
- დაგეგმოს მასალის მიწოდება ისე, რომ ყოველი მომდევნო თემა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული წინა მასალასთან;
- გამოიყენოს რაც შეიძლება მეტი ვიზუალური დამხმარე საშუალება (საგნების სურათები, ნახატები, პლაკატები, ვიდეო რგოლები, საბავშვო დოკუმენტური, თუ მხატვრული ფილმები), რამეთუ სმენის დარღვევების მქონე ბავშვებისთვის ძირითად ინფორმაციის მიღების წყაროს ვიზუალური (მხედველობითი) ინფორმაცია წარმოადგენს;
- უზრუნველყოს მოსწავლის ინფორმირება რაც შეიძლება მეტი წერილობითი ინფორმაციით, როგორცაა: გაკვეთილების ცხრილი, საშინაო დავალებები, განცხადებები მშობელთა კრების, შეხვედრების, ექსკურსიებისა თუ სხვ. შესახებ;
- ყოველთვის დაფაზე ჩამოწეროს მოსწავლეებისათვის მომდევნო დღის დავალებები, შესასრულებელი სამუშაოები და ნებისმიერი მოსალოდნელი ცვლილება დღის წესრიგში;
- ნაწერი დაფაზე იყოს მკაფიო და გასაგები;
- არ ისაუბროს დაფაზე წერის პარალელურად;
- ასევე წერილობითი სახით მიიღოს მაქსიმალური ინფორმაცია მშობლებისგან მოსწავლის მიერ გაკვეთილების მომზადების პროცესში აღმოცენებული სირთულეების შესახებ;
- საკლასო ოთახი მოშორებული იყოს ქუჩის ხმაურებს ან ხმაურის შემცირების მიზნით საკლასო ოთახში ჩამოკიდოს სქელი ფარდები;
- თავად საკლასო ოთახში რაც შეიძლება ნაკლები იყოს ვიბრაცია, ავეჯის გადაადგილებით გამოწვეული ხმაური, ქალაქის შრიალი და ა.შ, რამეთუ ყოფითი ხმაურები, რომელიც ადვილად იგნორირდება სმენის პრობლემების არ მქონე მოსწავლეების მიერ, პრობლემას უქმნის მოსწავლეებს რომელთაც სმენის დარღვევები აქვთ. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე სასმენ აპარატს ხმარობს, რომელიც ყველა ხმაურის წყაროს ერთნაირად აძლიერებს;
- მოსწავლემ თავად შეარჩიოს ადგილი საკლასო ოთახში, რომელიც მისთვის მაქსიმალურად კომფორტული იქნება;
- ურთიერთობა ჰქონდეს მოსწავლესთან წერილობითი ფორმით, თუ ეს

- გაუადვილებს მას მასალის ათვისებასა და დამახსოვრებას;
- შეიმუშაოს კლასთან ერთად გარკვეული ვიზუალური სიგნალები (მაგ. ციმციმა შუქი ზართან ერთად) გაკვეთილის დაწყების, დამთავრების ან რაიმე განსაკუთრებული მოვლენის აღსანიშნავად.

● **ჟესტური ენა<sup>6</sup>**

ჟესტი არის სხეულის ნაწილების, განსაკუთრებით კი ხელის მოძრაობა, რაც თან ახლავს მეტყველებას ან ცვლის მას.

ჟესტური ენა, ბგერების ნაცვლად ტუჩების მოძრაობის, ჯესტიკულაციის ან სხეულის პლასტიკის საშუალებით გამოხატავს ასოებს, ცნებებს, სიტყვებს. ჟესტურ ენაში დაფიქსირებულია ის ჟესტები, რომლის გამოყენებითაც საუბრობენ სმენადაქვეითებული ან ყრუ ადამიანები. ამ შემთხვევაში ჟესტები წარმოადგენენ სიტყვათა ექვივალენტებს (სიტყვათა შეთანხმებას, ცნებებს).

მსოფლიო მასშტაბით ჟესტური ენის მრავალი ვარიანტი არსებობს და გამოიყენება. დასავლეთის ქვეყნებში მრავალმა სმენის მქონე ადამიანი ფლობს ჟესტურ ენას, რათა ურთიერთობა დაამყაროს სმენადაქვეითებულ და ყრუ ადამიანებთან.

● **სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის სწავლების ზოგადი სტრატეგიები**

მოსწავლეთათვის დადებითი მაგალითისა და საიდენტიფიკაციო მოდელის მიწოდების მიზნით, გააცანით მათ (მოინვიეთ სკოლაში, დაპატიჟეთ გაკვეთილზე) სმენის პრობლემის მქონე წარმატებული ადამიანი. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ამ კონკრეტულმა პიროვნებამ წარმატებას დიდი ძალისხმევითა და გარშემო მყოფთა დახმარების შედეგად მიაღწია;

დაამყარეთ ხშირი უკუკავშირი თქვენს მოსწავლეებთან, რათა ყოველთვის იცოდეთ თუ რა გაიგეს და რისი გაგება გაუჭირდათ;

- **თუ თქვენი მოსწავლე ტუჩის მოძრაობით „კითხულობს“ სიტყვებს:**
  - ✓ დაისვით იგი რაც შეიძლება ახლოს თქვენთან;
  - ✓ თხრობისას უყურეთ პირდაპირ მას;
  - ✓ ისაუბრეთ ბუნებრივად, ნელა და გარკვევით;
  - ✓ ხშირად თხრობის ტემპის უმნიშვნელო შენელებაც კი საკმარისია;
  - ✓ ხელოვნურად ნუ გააზვიადებთ ტუჩების მოძრაობას და ნუ აუნევეთ ხმას.
- **იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს ჟესტური ენის თარჯიმანი ყავს:**
  - ✓ ესაუბრეთ მოსწავლეს და არა თარჯიმანს;
  - ✓ მიანოდეთ თარჯიმანსა და მოსწავლეს მომავალი გაკვეთილის

6 მოცემულია პირველი ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი — „მოლაპარაკე ხელები“ (თბილისი, 2008 წ. ა. ბატატუნაშვილი) ლექსიკონი ხელს უწყობს ქართული ჟესტური ენის განვითარებას, დაეხმარება და კომუნიკაციას გაუადვილებს სმენადაქვეითებულ და ყრუ ადამიანებს, პედაგოგებს, პროფესიონალებს, ყველა დეინტერესებულ პირს.

გეგმა წინასწარ, რათა მათ ახალი სიტყვებისა და ცნებების დამუშავება შესძლონ;

- ✓ თარჯიმანი არ პასუხობს გაკვეთილზე მოსწავლის მაგივრად. მოსწავლე თავად პასუხობს მომზადებულ გაკვეთილს ან მასწავლებლის კითხვებს მისთვის ხელმისაწვდომი გზით;

- **სმენის დარღვევების მქონე მოსწავლეთათვის წერილობითი მასალის მინოდების წესები:**

- ✓ დაანანევრეთ გრძელი წინადადებები და მიანოდეთ მოსწავლეებს მოკლე, მარტივი ინსტრუქციებისა თუ ინფორმაციის სახით;
- ✓ თავი აარიდეთ უცხო, რთული სიტყვების გამოყენებას;
- ✓ ნუ დატვირთავთ წერილობით ტექსტს ბევრი ცნებებით;
- ✓ ტექსტში ნაცვალსახელების გამოყენებისას დარწმუნდით, რომ შეცვლილი არსებითი სახელები თუ პირები მკაფიოდ არის განსაზღვრული;
- ✓ ნუ გამოტოვებთ ტექსტში კავშირებსა და პუნქტუაციას;
- ✓ შეეცადეთ ტექსტში რაც შეიძლება ხშირად შემხვედრი კავშირები გამოიყენოთ (მაგ. მაგრამ, რომ, და) და თავი აარიდოთ შედარებით იშვიათად შემხვედრს (მაგ. თუმცა, რამეთუ, ვინაიდან, შედეგად და ა.შ.);
- ✓ მაქსიმალურად გაამარტივეთ მიზეზ-შედეგობრივი გამონათქვამები.
- ✓ შეეცადეთ თავი აარიდოთ ისეთი პირობითი გამონათქვამების გამოყენებას, რომელიც ზეგავლენას მოახდენს წინადადების მნიშვნელობის წვდომაზე (მაგ. როგორებიცაა, როდესაც, თუ, ვარაუდით, დასკვნის საფუძველზე და ა.შ.);
- ✓ თუ უცხო ან რთული სიტყვის ტექსტში მოყვანა აუცილებელია, მაშინ ამ სიტყვას ფრჩხილებში დაურთეთ განმარტება. თუმცა სასურველია, რომ ტექსტში ამგვარი განმარტებები მინიმალურად იყოს წარმოდგენილი;
- ✓ თუ ტექსტი მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი ახალი სიტყვის სწავლებას, მაშინ ზედმინევით მკაფიოდ უნდა იყოს ახსნილი სიტყვის მნიშვნელობა და აგრეთვე, იმ საგნისა თუ ცნების გამოყენება, რომელსაც მოცემული სიტყვა აღნიშნავს;
- ✓ ტექსტში ახალი სიტყვისა თუ ცნების მინოდებისას, ეცადეთ იგი რაც შეიძლება ხშირად გამოიყენოთ სხვადასხვა კონტექსტში.

- **მეტყველების ფორმები, რომელთა გამოყენებასაც თავი უნდა ავარიდოთ:**

- ✓ ზმნის ვნებით ფორმებს (მაგ. კეთდება, იწერება, თენდება, ითარგმნება, შენდება და ა.შ.);
- ✓ იდიომატურ გამოთქმებსა და სამეტყველო სლენგს;
- ✓ გადატანითი მნიშვნელობის მქონე ფრაზებსა და გამონათქვამებს.



როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, სმენის დარღვევების მქონე მოსწავლეების სწავლების ზემოთ მოყვანილი სტრატეგიების გამოყენება და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება, დიდად არის დამოკიდებული თითოეული პედაგოგის მონდომებასა და იმ შემოქმედებითი უნარის გამოყენებაზე, რომლის გარეშეც ვერც ერთი სტრატეგია ვერ გახდება ბავშვისთვის საინტერესო და ეფექტური.

სმენის დარღვევების მქონე მოსწავლეების განათლებაში ყოველთვის წარმატებულია ის მასწავლებელი, რომელიც ცდილობს:

- ✓ მიიღოს მაქსიმალური ცოდნა სმენის დარღვევების შესახებ;
- ✓ თავდაჯერებულია მასწავლებლის როლის შესრულებისას;
- ✓ ინარჩუნებს მოკლე დისტანციას სმენის დარღვევების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობისას;
- ✓ სახეში უყურებს მოსწავლეებს საუბრისა და სწავლების დროს, რითიც ზრდის ბაგიდან კითხვის შესაძლებლობას;
- ✓ ახდენს გაკვეთილის ვიზუალიზაციას, იყენებს თვალსაჩინო მასალას (დაფა, თემის დასახელება, პროექტორი, ფოტოები, თვალსაჩინო სურათები/ნივთები, სხეულის ენა, დაწერილი ინსტრუქციები, მიმართვები, შეჯამება);
- ✓ თავს იკავებს საკლასო ოთახში სიარულისაგან;
- ✓ ეხმარება მოსწავლეებს ზოგადი წარმოდგენა იქინიონ გარშემო განვითარებულ მოვლენებზე;
- ✓ აქვს კარგად სტრუქტურირებული გაკვეთილები და მოსწავლეებმა ზედმეტი შეხსენების გარეშე იციან თუ რას გულისხმობს გაკვეთილის მომდევნო ეტაპი;
- ✓ ამყარებს კარგ უკუკავშირს მოსწავლესთან და ყოველთვის ეხმარება მას სირთულეების დაძლევაში;
- ✓ გარკვევით საუბრობს/ხსნის რომელიმე საგანსა თუ აქტივობაში შეტანილი/შესატანი ცვლილებების შესახებ;
- ✓ ხშირად და სხვადასხვა კონტექსტში იმეორებს ახალ სიტყვებსა თუ ცნებებს;
- ✓ იმეორებს მოსწავლეების ნათქვამს;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს მოსწავლეს ურთიერთობაში;
- ✓ არ აგრძელებს საუბარს, ახსნას, თუ არ არის დარწმუნებული, რომ მოსწავლეების ყურადღება მასზეა კონცენტრირებული;
- ✓ საუბრობს მკაფიოდ, ბუნებრივი ტემპით და ინტონაციით – არ იყენებს პირის ჭარბ მოძრაობებს;
- ✓ იყენებს ყველა ხელმისაწვდომ ტექნიკურ აღჭურვილობას (მაგ. ტელევიზორი, კომპიუტერი, პროექტორი და ა.შ.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო ადრეულ ასაკში ხდება ბავშვის სმენის დარღვევების იდენტიფიკაცია და შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება, მით უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ ბავშვი წარმატებული იქნება სწავლის პროცესში.

ინკლუზიური განათლება სხვა არაფერია, თუ არა კარგი სწავლება ყველა მოსწავლისთვის ერთნაირად, მიუხედავად მათი უნარებისა და მიდრეკილებებისა. შესაბამისად, იგი ძირითადად საკლასო ოთახში ხორციელდება და გარკვეულ კომპეტენციებს მოითხოვს მასწავლებლებისგან. სანამ უშუალოდ ცალკეული აკადემიური ფუნქციის განვითარების სტიმულირების რეკომენდაციებსა და სავარსოვებს შემოგთავაზებთ, გვინდა თქვენი ყურადღება განათლების პროცესის მართვის იმ ზოგად პრინციპებზე შევაჩეროთ, რომელიც ერთნაირად ეფექტიანია ყველა მოსწავლისთვის.

ნებისმიერი კლასი განსხვავებული უნარებისა და შესაძლებლობების მოსწავლეებისგან შედგება. მასწავლებლის ფუნქცია კი ის არის, რომ ყველა ერთნაირად დაინტერესოს საკუთარი საგნით და შეძლებისდაგვარად მაღალ სასწავლო შედეგებს მიაღწიოს. ამ მიზნის მიღწევაში მასწავლებელს რამდენიმე სტრატეგია ეხმარება:

- ✓ უპირველეს ყოვლისა ეს არის კლასის რუტინისა და წესების შემუშავება, სადაც უმთავრესი წესი ურთიერთპატივისცემაა. წესებს მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შემუშავებს და შემდეგ თანმიმდევრულად მოითხოვს მოსწავლეებისგან მათ დაცვას.
- ✓ კლასში უსაფრთხო და მოსწავლისადმი კეთილგანწყობის გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლის ინდივიდუალურობა აღიარებული და გათვალისწინებულია.
- ✓ ყოველი გაკვეთილი წინასწარ არის დაგეგმილი და განსაზღვრულია ყველა საგაკვეთილო აქტივობა. სასურველია მასწავლებელს წინასწარ ქონდეს კლასში დაგეგმილი აქტივობების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი, რადგან ხშირად ბავშვები დაგეგმილზე ჩქარა ასრულებენ გარკვეულ დავალებას ან გარკვეული მიზეზების გამო აღარ სურთ მსგავსი დავალების შესრულება. თუ ამ დროს მასწავლებელს მზად აქვს ალტერნატიული დავალება მოსწავლეებისთვის, საგაკვეთილო პროცესი არ იშლება, მაშინ როდესაც თავისუფალი დრო გაკვეთილზე უარყოფითად მოქმედებს სასწავლო პროცესზე.
- ✓ სასწავლო პროცესში მასწავლებელი გამოყოფს მოსწავლეების ინტერესებსა და ძლიერ მხარეებს და ცდილობს მოსწავლეების სწავლის მოტივაციის ამაღლებას სასწავლო მიღწევების, მცდელობებისა, თუ შედეგების ნახალისების, დაჯილდოების გზით.
- ✓ მასწავლებელი ყურადღებით ეპყრობა ყველა მოსწავლის სწავლისას აღმოცენებულ სირთულეს, ცდილობს პედაგოგიური შეფასების საფუძველზე გაარკვიოს, თუ კონკრეტულად რისი დაძლევა უჭირს მოსწავლეს და ცდილობს ამ სირთულეების მიზეზის დადგენას.
- ✓ მასწავლებელი კლასში სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეს

განიხილვს, როგორც პედაგოგიურ გამოწვევას და არა როგორც პრობლემას. შესაბამისად, მასწავლებელი ცდილობს ყველა ბავშვის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით მას შესაბამისი დავალება შეურჩიოს და/ან მრავალფეროვანი სწავლების სტრატეგიები გამოიყენოს.

- ✓ მასწავლებელი გეგმავს საგაკვეთილო პროცესს ისე, რომ თითოეული მოსწავლე თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად არის ჩართული სასწავლო პროცესში და მოსწავლეს არ რჩება განცდა, რომ მას გაკვეთილზე არ გაიძახებენ ან დავალებას არ მისცემენ იმიტომ, რომ მას კონკრეტული საგნის ათვისება უჭირს.
- ✓ მასწავლებელმა იცის რა, რომ გარკვეულ მოსწავლეს აქვს სირთულეები მასალის დაძლევაში, ცდილობს გაუმარტივოს მოსწავლეს დავალება და ეტაპობრივად გადავიდეს მოსწავლისთვის რთული მასალის მიწოდებაზე.
- ✓ მასწავლებელი აფასებს და ნაახალისებს მოსწავლის არა მხოლოდ აკადემიურ უნარებს, არამედ ყველა უნარ-ჩვევას, რომელსაც მოსწავლე კლასში ავლენს და ეხმარება მას სასწავლო პროცესში.
- ✓ მასწავლებელი მიმართავს კოლეგებს და გუნდური მუშაობის პრინციპით ცდილობს დაეხმაროს მოსწავლეს არსებული სირთულეების დაძლევაში.
- ✓ მასწავლებელი იყენებს მოსწავლის ქცევის მართვის პოზიტიურ მიდგომებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოსწავლის კარგი ქცევა ყოველთვის ნაახალისდება მასწავლებლის მიერ, ხოლო მიუღებელი ქცევა მაქსიმალურად იგნორირებულია. მოსწავლის ქცევის პრობლემების არსებობის შემთხვევაში მასწავლებელმა იცის, რომ ცუდი ყოფა-ქცევა ყოველთვის მოსწავლის ბრალი არ არის და შესაძლოა მას მრავალი გამომწვევი მიზეზი ქონდეს. ძალიან ხშირად მოსწავლეები გამომწვევ ქცევას მიმართავენ მაშინ, როდესაც საკუთარი სწავლის უუნარობის დამალვა სურთ ან ურთიერთობის პრობლემები აქვთ თანაკლასელებთან. შესაბამისად, მასწავლებელი ცდილობს მოსწავლის ქცევის პრობლემების ანალიზს – ესაუბრება მას, არკვევს მიზეზს და მოსწავლესთან ერთად სახავს ცუდი ყოფა-ქცევის დაძლევის გზებს.

ზემოთ მოყვანილი პედაგოგიური მიდგომები ეფექტიანია ყველა მოსწავლისთვის ერთნაირად, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.

## ■ კითხვის უნარი და რეკომენდაციები მისი განვითარებისთვის

### ● კითხვის უნარი და მისი განვითარება

კითხვა რთული ლინგვისტური პროცესია, რომლის დასწავლა სკოლაში მიზანმიმართული მეცადინეობის შედეგად ხორციელდება. კითხვის დასწავლის პროცესი გულისხმობს ენისთვის დამახასიათებელი ასოების (გრაფემების) ამოცნობის უნარის განვითარებას და მათ ფონემებთან დაკავშირებას; ფონემების ბგერებად გაერთიანებას, ხოლო ბგერების სიტყვად გამთლიანებას (ამ პროცესს სხვაგვარად ფონემატურ სინთეზსაც უწოდებენ); და ბოლოს, იმისთვის, რომ სიტყვის ამოკითხვის პროცესი დასრულდეს ჩაითვალოს, საჭიროა სიტყვის ცნობა და მისი მნიშვნელობის გაგება. წინადადების წაკითხვისას, კი საჭიროა ამოკითხული სიტყვების მეხსიერებაში შენახვა, დანარჩენ ამოკითხულ სიტყვებთან დაკავშირება და მთელი წინადადების შინაარსის წვდომა.

არიან ბავშვები, რომელნიც კითხვის სწავლისას სერიოზულ სიძნელეებს განიცდიან. შესაძლებელია, მოსწავლეს სირთულეები კითხვის სწავლისას ნებისმიერ ეტაპზე შეექმნას – ასოების ცნობის დასწავლისას, ასოების ბგერებად გაერთიანებისას, ან ბგერების სიტყვებად გამთლიანებისას.

შესაბამისად, კითხვის უნარის დარღვევას სხვადასხვა მოსწავლეებთან სხვადასხვა მახასიათებლები გააჩნია, კერძოდ:

#### ● ასოების ამოცნობის პროცესის გახანგრძლივება

ამ შემთხვევაში, მიუხედავად პედაგოგის თუ მშობლის დიდი ძალისხმევისა და მიზანმიმართული მუშაობისა, მოსწავლეს უჭირს ასოების ბგერებთან დაკავშირება და ხშირად ეშლება ასოების სწორად დასახელება. ამის მიზეზი მოსწავლის მხედველობით-სივრცითი გარჩევის უნარის დეფიციტია, რის გამოც მას უჭირს მოცემული ასოს თავისებურების და დეტალების გარჩევა და გარკვეულ ბგერასთან დაკავშირება. ამ შემთხვევაში, ხშირად უფრო გამართლებულია, მოსწავლე ვავარჯიშოთ, არა მხოლოდ ასოების ამოცნობაში, არამედ სხვადასხვა საგნის გამოსახულებები გამოვიყენოთ მისი ვიზუალურ-სივრცითი უნარის გასავარჯიშებლად.

#### ● ასოების ერთმანეთში არევა.

ამ დროს, მოსწავლე ხშირად უშვებს შეცდომებს კითხვისას ასოების არასწორი დასახელების გამო. ეს შეცდომა ხშირად ასოების მსგავსი მოყვანილობით არის გამოწვეული (მიუხედავად განსხვავებული სივრცითი მახასიათებლებისა: ძ – ხ, ნ – შ და ა.შ.). ამ შემთხვევაში ნაცვლად სიტყვისა „ხახვი“, მოსწავლე წაკითხავს – „ძახვი“. თუმცა ხშირია ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ასოების არევის შემთხვევები. მოსწავლეს შეიძლება აერიოს „ა“ და „ი“ ასოებიც.

#### ● ბგერების გადანაცვლება

სიტყვის ამოკითხვისას, ადგილი აქვს, მოსწავლის მიერ სიტყვაში



ბგერების გადანაცვლებას, ან მოკლე სიტყვების უკუღმა ამოკითხვას (ცა – აც, და – ად და ა.შ).

- ასოების სიტყვად გამთლიანების სირთულე**  
 ხშირად, მოსწავლეს ცალკეული ასოების ამოკითხვა შეუძლია, თუმცა უჭირს ასოების გაერთიანება და სიტყვის სრულად თქმა. ამის მიზეზი ფონემატური სინთეზის დეფიციტი – ბგერათა სიტყვაში გაერთიანებაა. ხშირად, ცალკეული ამოკითხული ასოს სიტყვად გაერთიანების სირთულე შევიწროვებულ ფონემატურ მეხსიერებას უკავშირდება, ამ დროს მოსწავლეს არ შეუძლია სიტყვის დასაწყისში წაკითხული ბგერების დამახსოვრება და დანარჩენ ამოკითხულ ბგერებთან გაერთიანება. მას ავიწყდება, რომელი იყო სიტყვის პირველი ამოკითხული ბგერა, რომ ის შემდეგ ამოკითხულ ბგერასთან გააერთიანოს და ბოლოს განსაზღვროს რა სიტყვა წაიკითხა.
- მიხვედრით კითხვა**  
 კითხვისას შეცდომები გამოწვეულია მიხვედრით კითხვის გამო, რომლის დროსაც, მოსწავლე სიტყვის პირველ ბგერებს კითხულობს, ხოლო დანარჩენს მიხვედრით აბოლოვებს, ან ტოვებს სიტყვის დაბოლოებებს.
- სიტყვის შინაარსის წვდომის სირთულე**  
 ამ შემთხვევაში მოსწავლე კითხულობს ცალკეულ ასოებს, შეუძლია მათი სიტყვად გაერთიანება, თუმცა ვერ ხვდება რა სიტყვა წაიკითხა.
- წინადადების, ტექსტის წვდომის სირთულე**  
 კითხვის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებს ახასიათებთ წაკითხული მასალის გაგების პრობლემაც. ეს სირთულეები გამოწვეულია იმით, რომ მოსწავლეები ვერ ფლობენ ტექსტში მთავარი ელემენტების განსაზღვრის შესაძლებლობას. მაგ. მოთხრობის წაკითხვის შემდეგ მოსწავლე ვერ პასუხობს კითხვებს, თუ სად ვითარდება მოქმედება ან რა არის მოთხრობის მთავარი არსი.
- კითხვის პროსოდიკის (ინტონაციის) დარღვევა**  
 ამ დროს, ტექსტის კითხვისას, მოსწავლე სიტყვებსა და წინადადებებში არასწორად სვამს ინტონაციას, არ აკეთებს პაუზას წინადადების დასრულებისას.

ითვლება, რომ კითხვის უნარის დარღვევა სწავლის უნარის ყველაზე გავრცელებული დაქვეითებაა. სწავლის უნარის სხვადასხვა სპეციფიკური დაქვეითების მქონე მოსწავლეთა 70-80%-ს აღნიშნება კითხვის უნარის დეფიციტი. სიძნელეებს კითხვის დაუფლებაში ხშირად აღნიშნავენ ტერმინით დისლექსია, თუმცა ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ არსებობს კითხვის უნარის დარღვევის მრავალი სახეობა, რომელთაგან დისლექსია მხოლოდ ერთ-ერთია. კითხვის უნარის დარღვევა ხშირია სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეებთან, რომლებიც სხვა ყოველდღიური და აკადემიური უნარების ათვისებასთან ერთად, ამ სფეროშიც განიცდიან სირთულეებს. კითხვის სირთულეები შეინიშნება მეტყველების განვითარების შეფერხების მქონე და სმენა დაქვეითებულ მოსწავლეებთანაც.

## ● კითხვის სწავლების რამდენიმე ეფექტური სტრატეგია

კითხვის სწავლების მრავალი სხვადასხვა სტრატეგია არსებობს. კონკრეტული მოსწავლისთვის კითხვის სწავლების სტრატეგიის და მეთოდის შერჩევის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და საგაკვეთილო კონტექსტი, სადაც აღნიშნული უნარის განვითარების სტიმულირება უნდა განხორციელდეს. ასევე აუცილებელია დავაკვირდეთ ჩვენს მიერ არჩეული სტრატეგიის ეფექტურობას და შევაფასოთ ბავშვის მიღწევები. შესაძლოა, საჭირო გახდეს სტრატეგიის შეცვლა ან დამატებითი მეთოდების გამოყენება.

გთავაზობთ კითხვის სწავლების რამდენიმე მეთოდს:

**მულტისენსორული მეთოდი** – ასწავლეთ ბავშვს კითხვა მისი სხვადასხვა სენსორული არხების გამოყენებით და დატვირთვით: შეხებით, სმენით და მხედველობით. ასოების დასასწავლად გამოიყენეთ არ მხოლოდ დაბეჭდილი ასოები, არამედ ასოების ფიგურები (ხის, პლასტმასის ან გამოძერწილი), რომელსაც მოსწავლე ხელის შეხებით დაათვალიერებს და შეიმეცნებს, ვერბალურად დაახასიათებს მის ელემენტებს და თითო შემოავლავს. ასოების დასწავლის სტიმულირებისთვის დასაშვებია მოსწავლეს ასოები გადიდებული ზომით მოაწოდოთ, რათა ასოების მოყვანილობა უფრო თვალსაჩინო იყოს მისთვის.


**მთლიანობითი მეთოდი** – ასწავლეთ ბავშვებს დანერგილი სიტყვების მთლიანი ხატის დამახსოვრება. საგნების, ცხოველების ნახატებს მკაფიოდ მიანერეთ მათი სახელები. ბავშვები ამ მასალასთან მუშაობის შედეგად იოლად იმახსოვრებენ საგნისა და შესაბამისი სიტყვის ხატს. შემდეგ განაცალკევეთ სიტყვა და სურათი და მიეცით ბავშვს დავალება დამოუკიდებლად მოუძებნოს საგანს შესაბამისი სიტყვა.

**ინდივიდუალური მეცადინეობა** – დაგეხმარებათ სწრაფად მოახდინოთ კითხვის სირთულეების განსაზღვრა და კორექცია. ასევე ეხმარება ბავშვს მშვიდ გარემოში, სხვადასხვა დამხმარე საშუალებებით (სხვადასხვა ზომის და ფორმის შრიფტით აწყობილი მასალა, სპეციალური წიგნები და ა.შ.) ისწავლოს კითხვა.

## ● სავარჯიშოები კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად

### ● ასოების ამოცნობის გავარჯიშება

- ✓ გაუმზადეთ მოსწავლეს ნიმუშის მაგვარი ცხრილი და დაავალეთ ერთმანეთის იდენტური გამოსახულებების პოვნა და ერთმანეთთან დაკავშირება. პარალელურად, სასარგებლო იქნება, თუკი განმარტავთ მოსწავლესთან ერთად, რატომ გაკეთდა ამგვარი არჩევანი მოცემულ გამოსახულებებს შორის;
- ✓ დაავალეთ მოსწავლეს ასოების გაფერადება. ასოების გაფერადებას, აუცილებლად თან უნდა ერთვოდეს ამ ასოს ხშირ – ხშირი გახმოვანება, იმ სიტყვების დასახელება, რომელიც აღნიშნულ ასოზე იწყება;
- ✓ დაავალეთ მოსწავლეს ასოების გამოძერწვა. ასოების გამოძერწვას თან უნდა ერთვოდეს ასოს მოყვანილობის და მისი ელემენტების



დახასიათება. სასარგებლოა რამდენიმე გამოძერწილი ასოს შედარებითი ანალიზიც. მაგ. რით ჰგვანან ერთმანეთ ასოები „ნ“ და „ძ“ და ა.შ.

- ✓ წაახალისეთ მოსწავლე იპოვოს მსგავსი ასოები და დააჯგუფოს ისინი ერთად. ამისთვის შესაძლებელია მოძრავი ანბანის გამოყენება. მიაწოდეთ მოსწავლეს ბარათი ასო „ი“-ს გამოსახულებით და რამდენიმე ბარათი განსვავებული ასოებით (ა, ფ, ი, დ, ი, ტ, ი), დაავალეთ მოცემულ ასოებში ასო „ი“-ს პოვნა და მათი ერთად გადალაგება;
- ✓ მოცემული ნიმუშის მსგავსი ცხრილების შესრულება, ერთი ასოს მეორე თავის მსგავს ასოსთან დაკავშირება

• **ბგერების სიტყვებად გაერთიანების გავარჯიშება**

- ✓ გამოიყენეთ ბარათების ტექნიკა. დაავალეთ მოსწავლეს მარტივი 1-2 მარცვლიანი სიტყვის წაკითხვა, ცალკეული ასოს ამოკითხვის შემდეგ, თუკი მოსწავლეს ბგერების სიტყვად გაერთიანება გაუჭირდება, მიაწოდეთ მოსწავლეს ბარათი სიტყვის შესაბამისი გამოსახულებით. გამოსახულება დაეხმარება მოსწავლეს ამოკითხული ბგერების სიტყვად გაერთიანებაში და პარალელურად მოხდება ამოკითხული სიტყვის შინაარსის წვდომა;

საქართველოს ეროვნული განათლების მინისტრის განკარგულებაშია



ძალი

✓ გაახმოვანეთ სიტყვა (თავდაპირველად 2-3 ბგერიანი) მისი შემადგენელი ცალკეული ასო დაასახელებთ განუღვით, ბგერებს შორის ინტერვალებით. შესაძლებელია ტაშის დაკვრაც ყველა ბგერის წარმოთქმის შემდეგ. მოსწავლეს ევალეზა ბგერების ყურადღებით მოსმენა და განსაზღვრა თუ რა სიტყვა გამოვიდა. ბგერებს შორის ინტერვალი და სიტყვაში ბგერების რაოდენობა მოსწავლის უნარის განვითარების შესაბამისად უნდა განისაზღვროს. იმისთვის, რომ მოსწავლეს მოსმენილი ბგერების სიტყვად გაერთიანება გაუადვილდეს, შესაძლებელია ისევ ბარათის გამოყენება სიტყვის შესაბამისი გამოსახულებით.

მოგვიანებით, ასევე შესაძლებელია, მოსწავლეს დავავალოთ სიტყვის შემადგენელი ბგერების მოსმენა და რამდენიმე ბარათს შორის არჩევანის გაკეთება.

• **სიტყვის შინაარსის გაგების გავარჯიშება**


- ✓ გამოიყენეთ ბარათების ტექნიკა. დაავალეთ მოსწავლეს მარტივი 1-2 მარცვლიანი სიტყვის წაკითხვა (სიტყვები დაწერეთ ბარათებზე), ასოების წაკითხვის შემდეგ, წახალისეთ წაკითხული სიტყვის სრულად წარმოთქმა. იმისათვის, რომ ამოკითხული სიტყვის შინაარსის წვდომა გაუადვილდეს, მიანოდეთ ბარათი შესაბამისი გამოსახულებით. რამდენიმე სიტყვის დამუშავების შემდეგ, მოსწავლეს მიეცით რამდენიმე ბარათი და დაავალეთ არჩევანი გააკეთოს ანუ მიუთითოს იმ ბარათს, რომლის შესაბამისი სიტყვაც ამოიკითხა. მოსწავლე წახალისეთ ყოველი ამოკითხული სიტყვის შესაბამის ბარათთან დაწყვილებისას.

რასაკვირველია, წასაკითხი სიტყვები მოსწავლის არსებული ლექსიკონის და თავად სიტყვათა სირთულის გათვალისწინებით უნდა შეირჩეს. დავინყოთ მარტივი (2-3) მარცვლიანი არსებითი სახელებით, შემდეგ შესაძლებელია მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვების ჩართვაც შესაბამისი ბარათების გამოყენებით. იდეალურ შემთხვევაში, იმისათვის, რომ მოსწავლის ინდივიდუალური სამუშაო საკლასო კონტექსტთან იყოს მიახლოებული, სიტყვები, საკლასო თემის გათვალისწინებით, შესაბამისი ტექსტიდან შეარჩიეთ და წინასწარ მოამზადეთ.

• **მიხვედრით კითხვის შემთხვევაში**

- ✓ მოსწავლეს ვაძლევთ ბარათებს გამოსახულებებით, ბარათებს ქვეშ შესაბამისი სიტყვები აქვთ მინერილი. სიტყვები შეცდომით არის დაწერილი (ბგერები გამოტოვებული, გადანაცვლებული, გამეორებული ან ჩანაცვლებულია). მოსწავლეს ევალეზა ინსტრუქციის შესაბამისად, იპოვოს შეცდომები დაწერილ სიტყვებში და გაასწოროს;
- ✓ მოსწავლეს მივანოდოთ ბარათი გამოსახულებით, მისი შესაბამისი სიტყვა კი დაწერილი იყოს რამდენიმე ასოს ან ბგერის გამოტოვებით. მოსწავლემ ყურადღებით უნდა წაკითხოს მოცემული ასოები





ბო — მ

და ბარათის გამოსახულების გათვალისწინებით ჩაამატოს შესაბამის ადგილას გამოტოვებული ასოები;

✓ მოსწავლის კითხვის უნარის განვითარების გათვალისწინებით, შესაძლებელია მოსწავლეს სიტყვათა რიგი გამოსახულების გარეშე მივცეთ;

✓ სასარგებლო სავარჯიშოა, სიტყვების (5-6 სიტყვა) გადაბმით, ინტერვალების გარეშე დაწერა, მოსწავლეს კი დაევალება ამოიკითხოს სიტყვა და ხაზი გაავლოს იქ, სადაც აღნიშნული სიტყვა მთავრდება და იწყება ახალი;

✓ ასოების უაზრო რიგში ჩასვით სიტყვები (მაგ: ბუ, ხე, კიბე, კოვზი), მოსწავლეთ მიაწოდეთ საპოვნელი სიტყვების ჩამონათვალი და დაავალეთ, მოცემული სიტყვების ასოთა რიგში მოძებნა და გახაზვა;

✓ დასაშვებია, მოსწავლეს უაზრო სიტყვათა რიგი მივცეთ წასაკითხად.

• **წაკითხული შინაარსის გაგების გავარჯიშება**

✓ გააცანით მოსწავლეს ტექსტის კონტექსტი უშუალოდ კითხვის დაწყებამდე, შემდეგ ჰკითხეთ რა იცის მან მოთხრობაში, ლექსში აღწერილი მოვლენების შესახებ. შეეცადეთ მოიპოვოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. მაგ. თუკი მოთხრობა არის შემოდგომაზე, შესაბამისად დაინტერესდით თუ რა იცის მოსწავლემ წელიწადის დროებზე, ფოთლებზე, ხილზე და ა.შ. წაახალისეთ მოსწავლე გადმოგცეთ თავისი ცოდნა. დაუკავშირეთ ეს ინფორმაცია წარსულში წასწავლ მასალას და ცნებებს, მაგ. ამინდის შესახებ. თხოვეთ მოსწავლეს ჩაწეროს ან დახატოს ძირითადი საგნები, აზრები და ცნებები, რომელიც განიხილეთ;

✓ შექმენით მოსწავლისთვის ინდივიდუალური ლექსიკონი – ახალი ტექსტის კითხვისას, ბავშვთან ერთად ჩაწერეთ ყველა ის სიტყვა, რომელიც უცხოა ბავშვისთვის. შემდეგ სთხოვეთ ბავშვს თითოეულ მათგანს მიუწეროს ახსნა-განმარტება ან მიუხატოს შესაბამისი გამოსახულება. შესაძლებელია შესაბამისი გამოსახულების ჩაკვრაც. თავისი ხელით ჩაწერილი ახსნა-განმარტებები დაეხმარება მას სიტყვების მნიშვნელობის უკეთ დამახსოვრებაში;

✓ მეტი დრო დაუთმეთ ტექსტის დამუშავებას – ტექსტის რამდენჯერმე წაკითხვის შემდეგ გამოკითხეთ: რა იყო მოთხრობის მთავარი აზრი? ვინ არიან მოთხრობის მთავარი გმირები? სად და რა ხდებოდა მოთხრობაში? ეცადეთ ბავშვმა ეს ინფორმაცია საკუთარი სიტყვებით გადმოგცეთ, რათა მოხდეს ტექსტის უფრო ღრმა გააზრება და ბავშვს უკეთ დაამახსოვრდეს მოთხრობის შინაარსი.

- კითხვისას პროსოდიკის გავარჯიშება

- ✓ გამოიყენეთ კომიქსები, რომლებიც სახალისოა მოსწავლისთვის და იმავდროულად ემოციურად დატვირთული. წაახალისეთ მოსწავლე წაკითხვის კომიქსებში მოცემული ტექსტი, შესაბამის ნახატში ასახული ემოციური განწყობით;
- ✓ შეარჩიეთ კომიქსები სადაც, თითო სიუჟეტური ნახატი ერთი ან ორი წინადადებით არის აღწერილი, დაავალეთ მოსწავლეს კომიქსის წაკითხვა.

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სავარჯიშო განხორციელება კლასში სრულიად შესაძლებელია, თუკი მასწავლებელს წინასწარ ექნება გამზადებული მოსწავლისთვის განსაზღვრული დავალების შესაბამისი მასალა. იდეალურ შემთხვევაში, კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი მოსწავლისთვის დავალებას საკლასო თემის შესაბამისად შეარჩევს. ანუ, ის მოსწავლეს მოძრავი ანბანით იმ სიტყვების აწყობას ან იმ სიტყვის ამოკითხვას დაავალებს, რაც საკვანძოა მოცემული თემისთვის, ან ფიგურირებს აქტუალურ თემაში.

ასევე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ კითხვა პრაქტიკის შედეგად ვითარდება. რაც მეტს კითხულობენ ბავშვები, მით უკეთესად იციან კითხვა!

## ■ წერის უნარი და რეკომენდაციები მისი განვითარებისთვის

- წერის უნარი და მისი განვითარება

როგორც ცნობილია, წერა რთულად ორგანიზებული ფსიქიკური ოპერაციაა, რომლის დაუფლებაც მრავალი უნარის კოორდინირებულ განვითარებას გულისხმობს. წერის უნარის ათვისება წარმოადგენს გაცნობიერებულ აქტს, რომლის დაუფლებაც სპეციალურად დაგეგმილი დასწავლის პროცესში ხორციელდება. წერის უნარის ათვისება მოითხოვს წერის ტექნიკური წინაპირობების გავარჯიშებას და მხოლოდ გარკვეული დროისა და განაფვის შემდეგ ხდება ის ავტომატიზირებული პროცესი.

იმისათვის, რომ მოსწავლემ შესძლოს წერის ოპერაციის განხორციელება, თუნდაც მარტივი სიტყვის დამოუკიდებლად ჩაწერა, მას უნდა შეეძლოს სიტყვის შემადგენელი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა (წვდომა თუ რა ცალკეული ბგერებისა და ასოებისგან შედგება მოცემული სიტყვა), ბგერების საჭირო თანმიმდევრობის დაცვა წერის პროცესში (არ გადაანაცვლოს ან არ გამოტოვოს ასოები), გახსენება ასოს სწორი მოყვანილობისა (არ აერიოს მოყვანილობით მსგავსი ასოები ერთმანეთში, მაგ. „ძ“ და „ხ“; „შ“ და „წ“, „ლ“ და „ღ“), და ბოლოს, უნდა ჰქონდეს შესაბამისად განვითარებული ნატიფმოტორული უნარი, ასოს სწორად გამოსაყვანად.

შესაბამისად, არასწორია მიდგომა, როდესაც პედაგოგები წერის დასწავლის პროცესში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ხშირად აქცენტს მხოლოდ ცალკეული ასოების გრაფიკული გამოსახულების დასწავლაზე აკეთებენ.

მოსწავლეს წერას ვასწავლით, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ცალკეული ასოს წერა შესძლოს; ასოების წერა მნიშვნელოვანია, რამდენადაც მისგან სიტყვა, სიტყვებისგან კი წინადადება იგება. სიტყვები და წინადადებები კი მოსწავლეს საკუთარი ნააზრევის და განცდების გამოხატვის და გადმოცემის საშუალებას აძლევს.

ცალკეული ასოს გამონერის დასწავლა წერის უნარის განვითარებას არასოდეს არ უზრუნველყოფს. პარალელურად აუცილებელია სიტყვის შემადგენელი ერთეულების – ბგერების აღქმასა და გამოდიფერენცირებაზე მუშაობა. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეებთან ამ უნარის განვითარება წინ უსწრებს ასოების ჩანერის უნარის განვითარების პერიოდს.

ბავშვი სხვისი მეტყველების მოსმენისას აღიქვამს აზრს, იმის გაცნობიერების გარეშე თუ რა გრამატიკული ერთეულებით ხასიათდება მოსმენილი წინადადება. იმისათვის, რომ მოსწავლემ აღნიშნული წინადადების ჩანერა შესძლოს, საჭიროა წინადადების შინაარსის გაგებასთან ერთად, მისი შემადგენელი ერთეულების გამოდიფერენცირება: ანუ ანალიზი რა სიტყვებისგან შედგება წინადადება, რამდენი სიტყვაა მოცემული, რომელია პირველი სიტყვა, მეორე, უკანასკნელი, და ა.შ.

ანალოგიურად, სიტყვის წერის პროცესის პირველ ეტაპს სიტყვის შემადგენელ ერთეულთა ანალიზი წარმოადგენს. ხმოვანი ნაკადიდან, მოსწავლემ უნდა გამოადიფერენციროს ის ერთეულები (მარცვლები და ბგერები), რისგანაც შედგება სიტყვა. მან უნდა განსაზღვროს რომელია პირველი ბგერა, მომდევნო და ა.შ. ხმოვანი ერთეულების გამოდიფერენცირების შემდეგ მნიშვნელოვანია, ამ ერთეულების ცალკეულ ფონემებად იდენტიფიცირება და მსგავსი ფუნქციონირების ფონემებისგან განსხვავება. მაგ. დაზუსტება, რომ სიტყვის „ქალი“ შემადგენელი ფონემებია - ქ, ა, ლ, ი და არა კ, ა, რ, ი.

ზემოთ აღწერილ პროცესს წინადადების და სიტყვის ხმოვანი შემადგენლობის ანალიზი ეწოდება.

სიტყვის ანალიზის შემდეგ, მნიშვნელოვანია, სიტყვის შემადგენელი ერთეულების თანმიმდევრობის დამახსოვრება და მათი რიგის სწორად ჩანერა. წინადადების ჩანერისას კი, სიტყვების თანმიმდევრობის დაცვაც არის საჭირო.

სიტყვის ჩანერის შემდგომი ეტაპი ფონემების გრაფიკულ გამოსახულებებად (გრაფემებად) გადაყვანას გულისხმობს. ამისთვის, მოსწავლეს კარგად უნდა ჰქონდეს დასწავლილი თუ როგორ გამოიყურება ფონემების შესაბამისი გამოსახულებები. მოსწავლემ უნდა აღიდგინოს ფონემის ხატი და ხელის შესაბამისი მოძრაობით უნდა გამოსახოს საჭირო ასო ანუ შესძლოს ფონემების გრაფიკული გამოსახვა (ჩანერა).

**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები სირთულეებს ხვდებიან წერის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე:**

- ✓ უჭირთ ასოების გრაფიკული გამოსახულების ზუსტი დამახსოვრება;
- ✓ უჭირთ ასოების გრაფიკული გამოსახულებების სწორად მოხაზვა – ფორმის, ზომის, დახრილობის ზუსტი გადმოცემა;
- ✓ უშვებენ შეცდომებს მოყვნილობით მსგავსი ასოების - „შ“ და „წ“,

- „ძ“ და „ხ“ ჩანერისას (პრობლემა განსაკუთრებით დამახასიათებელია ცაცია მოსწავლეებისთვის.);
- ✓ აწყობებიან სირთულეებს ასოების რვეულის სიბრტყეში და ბადეში მოთავსებისას (წერას იწყებენ რვეულის შუაში, ასოები დიდი ზომისაა და არ ეტევა ბადეში, ყურადღებას არ აქცევენ ბადეს, ასოებს შორის დიდია ინტერვალი, ან პირიქით, ასოები შეტყუებულად არის მოცემული);
- ✓ სიტყვების ჩანერისას ტოვებენ, ანაცვლებენ ცალკეულ ასოებს და მარცვლებს, არ ასრულებენ სიტყვებს;
- ✓ წინადადების ჩანერისას ტოვებენ ცალკეულ სიტყვებს;
- ✓ წერისას აღენიშნებათ ჯდომის უცნაური პოზა, თვალმისაცემია რვეულის უჩვეულო განლაგებაც;
- ✓ შეუძლიათ ნებისმიერი სიტყვის გადანერა, თუმცა უჭირთ განსაზღვრა თუ რა სიტყვა ჩანერეს. (ეს პროცესი სიტყვის შემადგენელი ცალკეული ასოს გადახატვას უფრო ჰგავს, ვიდრე წერით აქტივობას, რამდენადაც არ ხდება ჩანერილი სიტყვისთვის შინაარსის მინიჭება).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებულ მხარდაჭერას და სავარჯიშო პროგრამებს საჭიროებენ როგორც წინადადების და სიტყვის ხმოვანი შემადგენლობის ანალიზის უნარის, ასევე ფონემების გრაფიკული გამოსახვის უნარის განვითარებისთვის. მნიშვნელოვანია, ჯდომის სწორი პოზის და საწერი საშუალების ხელში მოხერხებულად დაჭერის (თუმა არა აუცილებლად ხელში დაჭერის სტანდარტული სახით) უზრუნველყოფა.

### ● სავარჯიშოები წერის უნარის გაუმჯობესებისთვის

#### სავარჯიშოები ფონემატური ანალიზის უნარის განვითარებისთვის

- უთხარით მოსწავლეს წინადადება; დაავალეთ ბავშვს დაუკრას ტაში იმდენჯერ რამდენი სიტყვაა არის წინადადებაში (დაიწყეთ 2-3 სიტყვიანი წინადადებით, სიტყვის რაოდენობა თანმიმდევრულად გაზარდეთ მოსწავლის უნარის გათვალისწინებით);
- უთხარით მოსწავლეს სიტყვა, დაავალეთ დაუკრას ტაში იმდენჯერ, რამდენი მარცვალა არის სიტყვაში, რამდენი ბგერაც ესმის. თავდაპირველად შეარჩიეთ მარტივი სიტყვები, თანდათანობით გაართულეთ დავალებები;
- უთხარით მოსწავლეს ერთი გრძელი და ერთი მოკლე სიტყვა; წახალისეთ გაიმეოროს და თქვას რომელია გრძელი სიტყვა, რომელია მოკლე; იგივე სავარჯიშო შესაძლებელია წინადადებებზე განხორციელდეს;
- უთხარით მოსწავლეს მარტივი (2-4 ასოიანი) სიტყვები დამარცვლით, განელვით ან ნამღერებით, თქვით სიტყვები ასო-ასო; დაავალეთ ბავშვს განსაზღვროს რა სიტყვა გამოვიდა; თუკი მოსწავლე სიტყვის განსაზღვრას ვერ შეძლებს, დაავალეთ დაუკრას ტაში იმდენჯერ რამდენი ასოა სიტყვაში.



ღვრის სირთულეებს აწყდება შეგიძლიათ სიტყვის შესაბამისი გამოსახულების გამოყენება და მოსწავლისთვის ჩვენება. გამოსახულება, მოსწავლეს სიტყვის ამოცნობაში დაეხმარება. უნარის გავარჯიშების შესაბამისად, გაართულეთ სიტყვები, გაზარდეთ ბგერებს შორის დროითი ინტერვალი, ბგერებს შორის დაუკარიტ ტაში, შეამცირეთ ბარათების გამოყენება;


- უთხარით მოსწავლეს სიტყვა; წაახალისეთ განსაზღვროს, რომელია სიტყვის პირველი ბგერა, ბოლო ბგერა. აქაც, შეგიძლიათ სიტყვის შესაბამისი გამოსახულების გამოყენება და მოსწავლისთვის ჩვენება, გამოსახულება დაეხმარება კონცენტრირდეს საჭირო სიტყვაზე;
- უთხარით მოსწავლეს სიტყვა; წაახალისეთ განსაზღვროს, არის თუ არა ამ სიტყვაში მითითებული ასო (მაგ, უთხარით სიტყვა „კარი“, დაავალეთ განსაზღვროს არის თუ არა ამ სიტყვაში ასო „რ, კ“), მოსწავლეს უთხარით როგორც სიტყვაში შემავალი ასოები, ასევე სხვა ასოები. დაიწყეთ სიტყვის ყველაზე ჟღერადი ასოს, სიტყვის პირველი ასოს და უკანასკნელი ასოს განსაზღვრით. წინა სავარჯიშოს მსგავსად, აქაც შესაძლებელია ბარათების გამოყენება;
- წინა სავარჯიშოს სახეცვლილი ვარიანტია: უთხარით მოსწავლეს რაიმე სიტყვა და მიაწოდეთ მოძრავი ანბანის რამოდენიმე ასო. დაავალეთ მოსწავლეს, მოგანოდოთ ამ სიტყვაში შემავალი პირველი, მეორე, ბოლო ასო. (გახსოვდეთ, ყოველთვის უფრო იოლია სიტყვაში პირველი, ბოლო და ყველაზე ჟღერადი ასოების განსაზღვრა);
- ბავშვის წინ დადეთ ბარათი რაიმე ასოს გამოსახულებით, წაახალისეთ სიტყვების დასახელება, რომლებიც აღნიშნულ ასოზე იწყება; თუ მოსწავლეს სიტყვების გახსენების სირთულე აღენიშნება, წინ დამატებით სხვადასხვა გამოსახულებიანი ბარათები განულაგეთ, რომელთაგან უმრავლესობა აღნიშნულ ასოზე იწყება. დაავალეთ იმ ბარათების გადალაგება და დასახელება, რომლებიც დავალებული ასოთი იწყება;
- მოსწავლეს მიეცით ბარათი გამოსახულებით (თავდაპირველად შეარჩიეთ მარტივი სიტყვის შესაბამისი გამოსახულება, მაგ. გემი) და მოძრავი ანბანის შესაბამისი ასოები არეული თანმიმდევრობით; ბარათის დასახელების შემდეგ, დაავალეთ მოსწავლეს ასოების სწორი თანმიმდევრობით დალაგება, რომ შესაბამისი სიტყვა აეწყოს;
- მოსწავლისთვის გაამზადეთ მარტივი სიუჟეტური სურათი, სიუჟეტი ჩანერეთ ერთი წინადადებით, მოსწავლეს წინადადების შემადგენელი სიტყვები (დანერილი ცალკეულ ბარათზე) მიაწოდეთ არეული თანმიმდევრობით. დაავალეთ მოსწავლეს შეადგინოს წინადადება აღნიშნული სიუჟეტის გათვალისწინებით დააწყოს სიტყვები სწორი თანმიმდევრობით;
- ამ სავარჯიშოს სახეცვლილი ვარიანტია: მოსწავლეს მიაწოდეთ მხოლოდ ცალკეული სიტყვები დანერილი ცალკეულ ბარათებზე და დაავალეთ, თვითონ შეადგინოს წინადადება.

ერთი შეხედვით, ზემოთ მოცემული სავარჯიშოების განხორციელება მოსწავლესთან ინდივიდუალურ მეცადინეობებს საჭიროებს, თუმცა პედაგოგის მიერ გაკვეთილის ეფექტური დაგეგმვის შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელია აღნიშნული სავარჯიშოების კლასში შესრულება, რაც სასარგებლო და ეფექტურია არა მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის, არამედ მთელი კლასისთვის.

მთავარია პედაგოგმა წინასწარ დაგეგმოს და მოამზადოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლი მიზნის შესაბამისი მასალა და აქტივობები და თავისი საგაკვეთილო პროცესი დაგეგმოს იმგვარად, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესაც დაეთმოს შესაბამისი ყურადღება და მიეცეს დრო სავარჯიშოების შესასრულებლად.

როგორც ხშირად აღვნიშნეთ, ყველაზე ეფექტურ იქნება, თუკი პედაგოგი მოსწავლისთვის დაგეგმილ ინდივიდუალურ სავარჯიშოებს მიმდინარე საკლასო თემიდან და ტექსტიდან შეარჩევს. მაგ. კლასის მოსწავლეებს ევალუატივით ტექსტის შესაბამის კითხვებზე პასუხი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე კი ტექსტის საკვანძო სიტყვების ფონოლოგიურ ანალიზსა და სინთეზს ახორციელებს.





**რეკომენდაციები და სავარჯიშოები ასობის გრაფიკული გამოსახულების და მისი წინმსწრები უნარების განვითარებისთვის**



- წერის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია **წერის წინმსწრები უნარების განვითარება**, როგორც არის საწერი საშუალების ხელში ჭერის უნარი, გაფერადება, მარტივი ნახატის შექმნა და ა.შ. ნაახალისეთ მოსწავლე ხშირად დახატოს და გააფერადოს. დაავალეთ გაფერადებისას დაიცვას და არ გადავიდეს კონტურებს, გასაფერადებლად შეურჩიეთ საშუალო ზომის ფიგურები, ფართე კონტურებით. ხატვის დასრულების შემდეგ ყოველთვის ჰკითხეთ რა დახატა, ნაახალისეთ თავად აღწეროს თავისი ნახატი, დაეხმარეთ გამოსახული ფიგურების სახელდებაში;

- წერის უნარის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლე დაეუფლოს წერის წინმსწრები მარტივი გეომეტრიული ფიგურების გამოსახვას;
- ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების გაკვლევას, წრეწირის დახატვას, ოთხკუთხედისა და სამკუთხედის გამოსახვას;

- დაავალეთ მოსწავლეს ქალაქზე წყვეტილი ხაზის შეერთება, მოცემულ კონტურზე საწერი საშუალების გადატარება. გამოსახულებები შეარჩიეთ მოსწავლის უნარის გათვალისწინებით;
- უნარის გავარჯიშების შემდეგ, მოსწავლეს გაურთულეთ დავალება, დაავალეთ შეაერთოს ორი მოშორებული წერტილი სწორი ხაზით;




წერტილები იმგვარად დასვით, რომ გაივლოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები. წაახალისეთ მოსწავლე ხაზები სხვადასხვა მიმართულებით გაავლოს – ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით, მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ, დიაგონალზე;

- წერტილების შეერთებით დაასწავლეთ მოსწავლეს სამკუთხედისა და ოთხკუთხედის ხატვა;
- გამოიყენეთ სახალისო ნიმუშები ხაზების გავლების გასავარჯიშებლად და პარალელურად შექმენით ნახატები;
- იმისათვის რომ ვარჯიშის მითითებული პროცესი მოსწავლისთვის სახალისო იყოს, ხაზების და ფიგურების გამონერის პარალელურად, შესთავაზეთ მოსწავლეს წინასწარ შექმნილი ნახატის დასრულება;
- წაახალისეთ მოსწავლე შექმნას მარტივი ნახატი აღნიშნული გეომეტრიული გამოსახულებების გამოყენებით.

ამგვარი აქტივობა მოსწავლისთვის სახალისო და შექმნილი პროდუქტის თვალსაზრისით, საამაყოც იქნება (ხშირ შემთხვევაში ეს მოსწავლის ნახატის პირველი გამოცდილებაა).

აღნიშნული აქტივობა, გარდა წერის წინსმწრები გეომეტრიული ფიგურების განვითარებისა, საშუალებას იძლევა ქალაქის სიბრტყეში სივრცითი მიმართების უნარის განვითარებისა – ზევით, ქვევით, მარჯვნივ და მარცხნივ. ნახატის შექმნასთან ერთად, მოსწავლემ უნდა



გააცნობიეროს სად არის ფურცლის სიბრტყეში ზევით, ქვევით, რადგან ფურცლის სიბრტყეში სივრცითი მიმართება განსხვავდება მანამდე მოცემული გამოცდილებისგან. ეს მას მოგვიანებით, წერის პროცესში დაეხმარება.

- მარტივი და რთული გეომეტრიული ფიგურების გამოსახვის უნარის გავარჯიშების პარალელურად, მნიშვნელოვანია მოსწავლეს განუვითარდეს ორი გეომეტრიული გამოსახულების სინთეზით **ახალი კონსტრუქციის შექმნის უნარი** და ამ ფიგურების შეერთებით ახალი გამოსახულების მიღება.

წერის უნარის განვითარება, სწორედ ამ უნარის არსებობას გულისხმობს. მაგ. მოსწავლემ უნდა შესძლოს ხაზის და ბურთის შესაბამისად შეკავშირება იმისათვის რომ ასო „ძ“ მიიღოს, ბურთის და რკალის შესაბამისად შეკავშირება რომ ასო „თ“ დაწეროს და ა.შ.

ამ უნარის გავარჯიშებისთვის გეომეტრიული ფიგურებით (ოპტიმალური მაგნიტური გეომეტრიული ფიგურები) სხვადასხვა კონსტრუქციის შექმნა სასარგებლო აქტივობაა.

მაგ. ჯოხისა და რგოლის შეერთებით ყვავილის შექმნა, სამკუთხედისა და ოთხკუთხედის შეკავშირებით სახლის აშენება და ა.შ.

- **ცალკეული ასოს წერის ათვისების პროცესში** მნიშვნელოვანია, მოხდეს მოსწავლის წახალისება შეიმეცნოს შერჩეული ასო სხვადასხვა საშუალებით – გამოძერწოს მითითებული ასო ნიმუშის მიხედვით, ხელით შეიგრძნოს ასო, ვერბალურად დაახასიათოს ასოს თავისებურება, თითი გადატაროს ასოს და დაისწავლოს ხელის მოძრაობა საჭირო ასოს გამოსაყვანად, სცადოს ასოს კოპირება.

ამ პროცესს, აუცილებლად უნდა ახლდეს თან ასოს თავისებურებების ვერბალური დაახასიათებაც. მაგ. ასო „თ“ შედგება ბურთისგან და რკალისგან, ჯერ ვხატავთ ბურთს, შემდეგ კი რკალს. ამ სიტყვებთან ერთად, მასწავლებელმა უნდა შესაბამისი მიმართულებით აამოძრავოს ხელი და გამოძერწილ ასოს ან მსხვილი კონტურით დახატულ ასოს გადაატაროს (თითის მოძრაობა უნდა იმეორებდეს ასოს ჩანერის სპეციფიკას).

მნიშვნელოვანია, არ მოხდეს წერის წახალისების არაეფექტური (თუმცა გავრცელებული) სტრატეგიის გამოყენება, რაც გულისხმობს, მოსწავლის ხელისთვის ხელის მოკიდებას და ასოების ერთად გამოწერას. ბავშვები ამ სტრატეგიის გამოყენების შემდეგ ხდებიან პასიურნი, უფროს პირზე დამოკიდებულნი და მათი მონაწილეობა წერის პროცესში დადის მინიმუმადე.

იშვიათ შემთხვევაში გამართლებულია, ბავშვს ხელი მოვკიდოთ და ვუბიძგოთ დაინყოს ასოს წერა (თუკი ინიციაციის პრობლემები აღინიშნება).



ნება), მაგრამ მნიშვნელოვანია, მალევე შემცირდეს ჩარევის ამგვარი სტრატეგია და ის ვერბალური ინსტრუქციით ჩანაცვლდეს.

- აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ თუკი მოსწავლეს **ასოების განსხვავებული (არატიპიური) სპეციფიკით გამოყვანა** უადვილდებათ, რაც ხშირად ცააციებთან შეინიშნება, შესაძლებელია, მოსწავლეს მივცეთ ამის საშუალება და არ მოვთხოვოთ ასოს მოხაზვის ტიპიური გზის დასწავლა.
  - ასოებისა და წერის ათვისების პროცესში, შესაძლებელია არ შევზღუდოთ მოსწავლე და მივცეთ მას საშუალება წეროს არა ასაკის და საფეხურის შესაბამის რვეულში (პირველ კლასელთა ქართული რვეული შესაბამისი ბადეთი, მეორე კლასელთა ბადე, ცალხაზიანი რვეული), არამედ შევურჩიოთ მას შესაბამისი ფორმატი წერისთვის. მაგ. გავავლოთ შესაბამისი სისქის ხაზები თაბახის ფურცელზე მოსწავლისთვის ოპტიმალური დაშორებით. გვახსოვდეს, რომ ბავშვებს დიდი გამოსახულებების გამოყვანა უფრო უადვილდებათ, ვიდრე პატარა მოცულობის. დასაშვებია, მოსწავლეს წერა სრულიად უხაზო ფურცელზეც ვასწავლოთ, თუკი ეს გადაწყვეტილება სპეციალისტების მხრიდან დასაბუთებული იქნება და ოპტიმალურად განისაზღვრება მოსწავლისთვის.
  - ასოების წერის ათვისების პროცესში, ბევრი მოსწავლე აწყდება ასოების ხაზებს შორის განთავსების პრობლემას. ქართულ ენაში ეს განსაკუთრებით აქტუალური პრობლემაა, რადგან სხვადასხვა ასოები რვეულის ხაზებს შორის განსხვავებული მდებარეობით ხასიათდება. იმისათვის, რომ ასოების სწორი განლაგების უნარი განუვითარდეს, დაავალეთ მოსწავლეს სწორად მოათავსოს მაგ. ასო „ბ“ და „დ“ ხაზთან მიმართებაში, ავარჯიშეთ არა მხოლოდ ცალკეულ ასოებზე, არამედ სიტყვებზეც.
- **წერითი დავალების შესრულების რამდენიმე ეფექტური სტრატეგია**

წერითი დავალების შესრულების ყველაზე ეფექტური სტრატეგიებია:

- ალტერნატიული გზების ძიება – აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას საკუთარი უნარები, აზრები, ცოდნა, მისთვის ხელმისაწვდომი ფორმით გამოხატოს: ნაცვლად ხელით წერისა, მოსწავლეს ეძლევა კომპიუტერზე ბეჭდვის შესაძლებლობა. მოსწავლე თავის იდეებს არა წერითი მეტყველების, არამედ მას ეძლევა ზეპირი მეტყველებით დავალების ჩაბარების შესაძლებლობა.
- მოთხოვნების შეცვლა – მოთხოვნებისა და დავალებების მოდიფიცირება ისე, რომ თავი ავარიდოთ მოსწავლის ყველაზე დიდ სირთულეებს. ნაცვლად კითხვებზე პასუხის გაცემისა, მოსწავლე საკონტროლოს ტესტის სახით ასრულებს (გაბმული წინადადებების ჩამოყალიბების მაგივრად, შესაბამისი ნიშნულით აღნიშნავს საჭირო იდეას).

უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც წერის ალტერნატიულ გზებსა და მოდიფიკაციაზე ვსაუბრობთ, ცვლილებები ეხება წერითი აქტივობის ყველა სფეროს:

- წერითი სამუშაოს შესრულების ხანგრძლივობას;
- შესასრულებელი წერითი სამუშაოს მოცულობას;
- წერითი დავალების სირთულეს;
- წერისთვის გამოყენებულ საშუალებებს – პასტებს, ფანქრებს;
- ნაწერის ფორმატს.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას მასწავლებლებისთვის, თუ როგორ განვახორციელოთ ჩამოთვლილი ცვლილებები:

### 1. წერითი სამუშაოს შესრულების ხანგრძლივობა

- ✓ მიეცით მოსწავლეს მეტი დრო დამოუკიდებელი დავალების შესრულების, გადანერისა და საკონტროლო წერისთვის;
- ✓ მიეცით უფლება კლასზე ადრე დაიწყოს წერა;
- ✓ იქონიეთ წინასწარ გამზადებული ფურცლები გამონერილი ასოებითა და შესასრულებელი დავალებებით.

### 2. წერითი დავალებების მოცულობა

- ✓ დაუყავით მოსწავლეს დავალება მცირე ნაწილებად. იმის მაგივრად, რომ მან მთლიანი ტექსტი დაწეროს (მაგ. მოთხრობის შინაარსი), სადაც უამრავი შეცდომა იქნება, აჯობებს დავალება მოკლე წინადადებებით ან კითხვებზე პასუხით შეასრულოს;
- ✓ წინასწარ მოამზადეთ შეკითხვები, რომელიც მარტივ წერილობით პასუხს მოითხოვენ;
- ✓ გარკვეულ ეტაპზე, მოსწავლის ნაწერის შეფასებისას, ნუ მიაქცევთ ყურადღებას მის კალიგრაფიას, აქცენტი გააკეთეთ ნაწერის ძლიერ მხარეებზე;
- ✓ თავი აარიდეთ მოსწავლის მექანიკური გადასაწერი დავალებებით დატვირთვას. იქონიეთ წინასწარ გამზადებული ფურცლები დავალებებით. მაგ. დაწერილი მაგალითები მათემატიკის გაკვეთილისთვის. მოსწავლემ გადმოწერაზე რომ არ დაკარგოს დრო.

### 3. წერითი დავალებების სირთულე

- ✓ დაყავით წერა საფეხურებად და მოსწავლესაც ასწავლეთ ამის გაკეთება. მაგ. ასწავლეთ წერის 4 საფეხური (აზრების, იდეების გენერირება, შავად ნაწერი, გასწორება და რედაქტირება). არ დაგავიწყდეთ მოსწავლის დადებითად შეფასება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან მხოლოდ პირველი ან მეორე საფეხური შეასრულა. თუ მოსწავლისთვის წერა ძალიან დიდ სირთულეს წარმოადგენს, მიეცით უფლება რედაქტირება აღნიშვნებით გააკეთოს და არ გადანეროს მთელი ნაშრომი თავიდან;
- ✓ შეფასებისას ნუ მიაქცევთ ყურადღებას კალიგრაფიასა და გადაჯღაბნილებს.

**4. წერის „იარაღები“**

- ✓ მიეცით მოსწავლეს უფლება გამოიყენოს იმ ზომის, სისქის და სიმძიმის პასტა თუ ფანქარი, რომელიც უფრო კომფორტულია მისთვის;
- ✓ მიეცით უფლება თვითონ აირჩიოს საწერი ფურცლების ტიპი. ცალხაზიანი, უჯრებიანი ან სუფთა ფურცელი;
- ✓ მიეცით უფლება აირჩიოს საწერი ფურცლის და პასტის ფერი.

**5. ნაწერის ფორმატი**

- ✓ მიეცით ბავშვს უფლება მისთვის ხელმისაწვდომი ფორმით შეასრულოს წერითი დავალება. მაგ. თუ საკლასო დავალება გულისხმობს სამ გვერდიანი მოთხრობის მოკლე შინაარსის გადმოცემას დანარჩენებისათვის, მოსწავლეს მიეცით წერითი დავალება რომელიც მოიცავს:
  - მოთხრობის ზოგად აღწერას (ორი ძირითადი დეტალი);
  - მოთხრობის მთავარი გმირების და მათი საქმიანობის აღწერას;
  - მოთხრობის ორი მნიშვნელოვანი მოვლენის – როდის, სად, ვინ და რა – აღწერას.

**მეტყველება და თხრობა**

**● მეტყველების განვითარება და დარღვევის ფორმები**

**მეტყველება** არის ვერბალური კომუნიკაციის პროცესი, რომლის მეშვეობითაც მიმდინარეობს ინფორმაციის გაზიარება და აზრთა გაცვლა ადამიანებს შორის. მეტყველება იცვლება ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად, ასევე შინაგანი მდგომარეობისა და სიტუაციის მიხედვით (მაგალითად, ხდება ემოციური). მეტყველების საშუალებით ადამიანი ადრეული ასაკიდანვე ენის დაუფლების პროცესში იძენს თავისი კულტურის და სოციალური წრის გამოცდილებას.

ბავშვის მიერ მეტყველების დაუფლება გარკვეულ საფეხურებს გადის: ჯერ ჩნდება ერთ სიტყვიანი წინადადება, შემდეგ საფეხურზე იქმნება პირველი უფორმო ორ სიტყვიანი წინადადებები, სადაც სიტყვები ერთმანეთის გვერდითაა მოთავსებული ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, მაგ. „თოჯინა მე“, რაც ჩემს თოჯინას აღნიშნავს, ან თოჯინის ხელში ალების სურვილს. მეორე წლის ბოლოს იწყება მეტყველების გრამატიზაცია – ბავშვი თანდათანობით ეუფლება დედაენის გრამატიკულ სტრუქტურებს, სიტყვათა შორის შეთანხმებას, იზრდება ლექსიკური მარაგი და წარმოთქმული წინადადებების სირთულე.

ეს საფეხურები ასახავენ ზოგად კანონზომიერებას, რომელიც ვლინდება ბავშვის ნორმალურ ენობრივ გარემოში განვითარების პირობებში, სადაც მასთან ურთიერთობას ამყარებენ მეტყველების საშუალებით. ჩვეულებრივ, ბავშვის განვითარების მეორე წელი მიჩნეულია მეტყველების განვითარების ყველაზე

მგრძნობიარე, ე.წ. სენზიტიურ პერიოდად. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები მეტყველების ათვისებისა და გამოყენების ბიოლოგიური მზაობით იბადებიან, თუ სენზიტიურ პერიოდში ბავშვი არ არის ენობრივ გარემოში და არ ხდება მისი მეტყველების განვითარების სტიმულირება, ბავშვის მეტყველება არ ვითარდება.

### **ენისა და მეტყველების დაუფლება ყველა ბავშვის სწავლების და განვითარების საფუძველია.**

ენის ცოდნა და მეტყველების კარგი უნარი უმნიშვნელოვანესია აკადემიური წარმატებისა და სწავლისათვის. ენა კომუნიკაციის ბაზას წარმოადგენს. კითხვა, წერა, მოსმენა და ლაპარაკი ენის შემადგენელი ფორმებია.

პედაგოგიურ პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით ბავშვებს, რომელთაც სხვადასხვა სახის მეტყველების დარღვევები აქვთ. აღნიშნული დარღვევები ძალზე მრავალფეროვანია და მათ განსხვავებული ბუნება და მიზეზები აქვთ. დარღვევები შეიძლება აღმოცენდეს მეტყველების ფონოლოგიურ, გრამატიკულ, სემანტიკურ და პრაგმატულ დონეებზე. თუმცა, ყველა შემთხვევაში დარღვეულია გარემოსთან ენის საშუალებით კომუნიკაცია.

მეტყველების დარღვევების მქონე ბავშვები სერიოზულ სირთულეებს აწყდებიან სწავლის პროცესში. ვერბალური უნარ-ჩვევების განვითარების ჩამორჩენა ხშირად იწვევს სირთულეებს კითხვის, წერის და ანგარიშის დაუფლებაში. ასევე, ხშირია ქცევის თანმხლები პრობლემები.

შესაბამისად, აუცილებელია მეტყველების განვითარების დარღვევების ან შეფერხების თავისებურებების ცოდნა, რათა დროულად შეეძლოს ბავშვის მეტყველების პრობლემების იდენტიფიკაცია და მეტყველების განვითარების შესაბამისი სტრატეგიების დასახვა.

მეტყველების განვითარების დარღვევების მქონე ბავშვების სწავლება განსაკუთრებულ, ინდივიდუალურ მიდგომებსა და სტრატეგიებს მოითხოვს. ქვემოთ, შევეცდებით გაგაცნოთ მეტყველების დარღვევების ძირითადი ფორმები და რამდენიმე ეფექტური სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ მეტყველების დარღვევების მქონე ბავშვების ინკლუზიურ განათლებაში.

მეტყველების დარღვევებში ძირითადად განასხვავებენ:

- **ექსპრესიული მეტყველების დარღვევას**, რაც ვლინდება საკუთარი აზრის, გრძნობების მეტყველებით გამოხატვის სირთულეში.
- **იმპრესიული მეტყველების დარღვევას**, რაც ვლინდება მიმართული მეტყველების გაგების სირთულეში. ანუ, ბავშვს უჭირს სხვათა მეტყველების გეგება.
- **მეტყველების შერეულ დარღვევას**, რაც ვლინდება როგორც ექსპრესიული, ასევე იმპრესიული მეტყველების დარღვევაში.



**ექსპრესიული მეტყველების დარღვევა**

იმისათვის, რომ ბავშვმა შესძლოს ურთიერთობა მეტყველების საშუალებით, მას ექსპრესიის ანუ გამოხატვის უნარი უნდა ჰქონდეს. ექსპრესიული მეტყველების დარღვევა ვლინდება: ლექსიკური მარაგის სიმწირეში; შესაბამისი სიტყვების შერჩევის სირთულეში; შემოკლებული წინადადებების გამოყენებაში; სტერეოტიპული ფრაზების გამოყენებაში; წინადადების სტრუქტურის არასწორ წყობაში; სინტაქსურ შეცდომებში (განსაკუთრებით დაბოლოებებისა და წინსართების გამოტოვება); გრამატიკულ შეცდომებში (წინდებულებისა და ნაცვალსახელების გამოტოვება, ზმნების შეცდომით უღლება ან არსებითი სახელების ბრუნვა). შეიძლება აღინიშნებოდეს გრამატიკის წესების არასწორი, ან განზოგადებული გამოყენება. აგრეთვე შეიძლება აღინიშნებოდეს მეტყველების მოქნილობის დარღვევა და წარსულის გამოცდილების მოყოლისას მოვლენათა თანმიმდევრობის აღდგენის სირთულეები. ექსპრესიული მეტყველების დარღვევას ხშირად ახლავს არტიკულაციის პრობლემები.

**იმპრესიული მეტყველების დარღვევა**

იმპრესიული მეტყველების დარღვევა გულისხმობს, რომ ბავშვი ვერ იგებს მიმართულ მეტყველებას, ანუ არ ასრულებს მარტივ ინსტრუქციებს, არ რეაგირებს ხმის ტონის ცვლილებაზე, არა იმიტომ, რომ მას სმენასთან დაკავშირებული პრობლემა აქვს, არამედ იმიტომ, რომ დარღვეულია რეცეპტული მეტყველების უნარი. რეცეპტული (იმპრესიული) მეტყველების დარღვევის დროს თითქმის ყველა შემთხვევაში დარღვეულია ექსპრესიული მეტყველებაც. რაც კანონზომიერიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სიტყვის მოსმენა და გაგება მეტყველების განვითარების წინაპირობაა. ხშირად აღინიშნება სიტყვებისა და ბგერების წარმოთქმის დეფექტიც. იმპრესიული მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელია გრამატიკული სტრუქტურების (უარყოფა, შეკითხვა, შედარება და ა.შ.) გაგების სირთულეები. მეტყველების ამ ტიპის დარღვევას თითქმის ყოველთვის თან ახლავს სოციალური, ემოციური და ქცევითი დარღვევები. ხშირია ჰიპერაქტიურობა და უყურადღებობა, სოციალური შეუგუებლობა და თანატოლებისგან იზოლაცია, შფოთვა, ან ზედმეტი სიმორცხვე. იმპრესიული მეტყველების დარღვევა ან განვითარების შეფერხება შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა დარღვევებით: **ფონემატური სმენა** (ყდერადობით მსგავსი ფონემების გარჩევა: ბ-პ-ფ); **ხანმოკლე სმენითი მესხიერება** (გრძელი გამონათქვამის გაგების სირთულე); **სემანტიკური პრობლემა** (სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობის, გადატანითი მნიშვნელობის გაგების სირთულე); **პრაგმატული დარღვევები** (სხვისი გამონათქვამის, ხუმრობის, ყესტებისა და მიმიკის გაგების სირთულე).

როგორც წესი, მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვები ჩამორჩებიან სწავლაში თავიანთ თანატოლებს. ისინი შესაძლოა სირთულეებს განიცდიდნენ კითხვისას, წერისას, უჭირდეთ სხვათა გაგება და საკუთარი აზრის გამოხატვა, არასწორად იგებდნენ სოციალურ ნორმებს, თავს არიდებდნენ სკოლაში სიარულს და ვერ აყალიბებდნენ მსჯელობას.

სკოლის ასაკის ბავშვები შემდეგი სახის მეტყველების დარღვევებით ხასიათდებიან:

- ბგერების გამოთქმის სირთულე (ფონოლოგიური, არტიკულაციის პრობლემები);
- სხვათა მეტყველების გაგების სირთულე (იმპრესიული მეტყველების დარღვევა) და საკუთარი აზრის გამოთქმის სირთულე (ექსპრესიული მეტყველების დარღვევა);
- კოგნიტურ-კომუნიკაციური სირთულე – სირთულეები აზროვნების უნარში, აღქმის და დამახსოვრების სირთულე, ზოგადი ცოდნის სიმწირე, მსჯელობისა და წარმოსახვის სირთულეები;
- მოქნილი მეტყველების პრობლემები – ენის ბორძიკი, სიტყვების გამეორება, სიტყვების ან ბგერების წამღერებით წარმოთქმა, მეტყველების დაწყების სირთულე.
- ხმის ძალის, სიმაღლის, ტემბრის პრობლემები – ძალიან ჩუმი ან ხმამაღალი ლაპარაკი (დისპონია, აფონია), ხორხისმიერი ხმების გამოცემა და ა.შ.;

იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელი აღმოაჩენს მოსწავლის სირთულეებს ენის სწავლასა და მეტყველებაში, ბავშვის მშობლებთან შეთანხმებით, აუცილებელია მოსწავლე გაიგზავნოს დიაგნოსტიკაზე ფსიქოლოგთან, მეტყველების თერაპევტთან (ლოგოპედთან), რათა გაირკვეს მოსწავლის მეტყველების დარღვევის ტიპი და შემდეგ მასწავლებელთან ერთად დაისახოს მოსწავლის მეტყველების გაუმჯობესების სტრატეგიები.

### ● რამდენიმე ეფექტური სტრატეგია და სავარჯიშო მეტყველების და თხრობის უნარის განვითარებისთვის:

- მეტყველების დარღვევის მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობისა და მუშაობის დროს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვაიძულოთ ბავშვი გამოთქვას რაიმე სიტყვა ან წინადადება თუკი ეს მას უჭირს. იძულებითი და დაჟინებული მოთხოვნა ბავშვს უარყოფით დამოკიდებულებას უყალიბებს თავად მეტყველების პროცესისადმი, რადგან მას თხოვენ იმას, რისი გაკეთებაც მას ან არ შეუძლია, ან უჭირს;
- მოერიდეთ მოსწავლეს პირდაპირ მიუთითოთ მეტყველებისას და/ან თხრობისას დაშვებულ შეცდომაზე. შეცდომის მითითების გარეშე, თქვენ თვითონ შეასწორეთ შეცდომა. არ მოითხოვოთ მისგან სწორი ფრაზის გამეორება;
- ხელი შეუწყვეთ, მეტყველების მასტიმულირებელი გარემოს შექმნას, სადაც ბავშვს გაუჩნდება სურვილი სპონტანურად ჩაებას საუბარში, უპასუხოს შეკითხვას ან თუნდაც მოგბაძოთ და გაიმეოროს თქვენთან ერთად. მაგ. დასვით შეკითხვები მთელი კლასისთვის; ნაახალისეთ მთელი კლასი ან მოსწავლეთა მცირე ჯგუფი ერთად, ხმამაღლა წარმოთქვან ლექსი; მოსწავლეები რიგ-რიგობით ასახელებენ საგნებს,

მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს;

- თუ თქვენი მოსწავლე სხვადასხვა მიზეზების გამო (მაგ, ენაბორძიკობა, დიზართრია) ერიდება კლასის წინაშე საუბარს, მიეცით მას უფლება გაკვეთილი ან ინდივიდუალურად ჩაგაბაროთ თხრობით ან თქვენი თანდასწრებით წერილობითი ფორმით;
- ზედმინევენით ყურადღებით მოუსმინეთ ბავშვს, როდესაც ის გელაპარაკებათ. შეეცადეთ წაახალისოთ მისი ლაპარაკის მცდელობა და რაღაც მცირედით დაასაჩუქროთ (ვარსკვლავი რვეულში, შექება კლასის წინაშე და ა.შ) არასოდეს არ შეანყვეთინოთ მას ლაპარაკი და ყოველთვის დაელოდეთ მის მიერ ფრაზის დამთავრებას. არ დაამთავროთ ბავშვის მაგივრად არც სიტყვა, არც ფრაზა (არც თანაკლასელებს მისცეთ ამის გაკეთების უფლება).

ეს სტრატეგია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენაბორძიკობის შემთხვევაში. მეტყველების ხშირი შეწყვეტა სხვების მხრიდან ბავშვს აიძულებს აჩქარდეს და აღელდეს; მას უჩნდება სურვილი უფრო სწრაფად ილაპარაკოს, რათა ყველაფრის თქმა მოასწროს, ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს ენაბორძიკობის გაძლიერებას.

- **წაახალისეთ აზრის გადმოცემა, საკლასო თემის მოყოლა სიუჟეტური სურათის დახმარებით.**



- ✓ მოსწავლესთან ერთად დაათვალიერეთ და აღწერეთ მარტივი დეტალებით არაგადატვირთული სიუჟეტური სურათები. მოკლე ნათელი წინადადებებით გადმოცით სიუჟეტი. სურათის აღწერისას, თავდაპირველად ყურადღება გაამახვილეთ არსებით სახელებსა და მოქმედებებზე. ვინ ხატია და რას აკეთებს. (მოგვიანებით გაამახვილეთ ყურადღება დეტალებზე. მაგ. როგორია ბიჭი, რო-

მელი მანქანაა უფრო დიდია, რამდენი ვაშლი ხატია და ა.შ.) სასურველია ნახატის არა მხოლოდ აღწერა, არამედ გახმოვანებაც. მაგ. აქ ძალღი დგას, ის ყეფს, აუ-აუ-აუ;

- ✓ შემდეგი ეტაპია ბავშვი თავად ჩართოთ სურათის აღწერის პროცესში, თუმცა საწყის ეტაპზე მისი ჩართულობა შესაძლებელია არა ვერბალურად იყოს გამოხატული, არამედ დასაშვებია ის ჟესტებით მიგითითებდეთ. თავდაპირველად წაახალისეთ მიგითითოთ იმ გამოსახულებაზე, რომელსაც თქვენ ერთი წინადადებით აღწერს;
- ✓ წაახალისეთ მოსწავლე უპასუხოს თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებს – ვინ არის გამოსახული, რას აკეთებს, როგორია. კითხვები იმგვარად დაუსვით, რომ ბავშვის ერთ სიტყვიანი პასუხი მოეთხოვებოდეს. მაგ. ვინ დგას აქ?

შემდეგ ეტაპზე კითხვა დასვით იმგვარად, რომ საპასუხოდ მოსწავლეს არსებითი სახელების, მოქმედების და ზედსართავების დასახელება უწევდეს;

- ✓ მოგვიანებით, წაახალისეთ ბავშვი დამოუკიდებლად აღწეროს იგივე სურათი, თქვენ უხმოდ მიუთითებთ გამოსახულებებზე შესაბამის ადგილას თითის დადებით, იმისათვის რომ მისი აღწერა თანმიმდევრული იყოს;


თუკი მოსწავლე პასუხს ვერ სცემს დასმულ შეკითხვას თავად გაეცით კითხვას პასუხი, მაგრამ თუ მან არ გაიმეორა თქვენი ნათქვამი, თავი აარიდეთ დაჟინებულ მოთხოვნას გაიმეოროს პასუხი.

იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეს უჭირს შესაბამისი სიტყვით კითხვაზე პასუხის გაცემა, დასაშვებია კითხვის კიდევ უფრო გამარტივება, შეცვლა და იმგვარად ფორმულირება, რომ „კი“ ან „არა“ პასუხს მოითხოვდეს: მაგ. აქ ბიჭი ხატია?

საწყის ეტაპზე, შესაძლებელია მოსწავლეს თავის დაქნევა ან გაქნევა სწორ პასუხად ჩაეთვალოს.

• **წაახალისეთ აზრის გადმოცემა, საკლასო თემის მოყოლა სერიული სიუჟეტური სურათის დახმარებით.**

- ✓ გამოიყენეთ 3-4 ბარათიანი სერიული სიუჟეტური სურათი. ცალკეული სურათი დაეხმარება მოსწავლეს განსაზღვროს რომელი იყო თავდაპირველი მოქმედება, შემდეგ რა მოხდა და ბოლოს






რით დასრულდა ამბავი. პირველად სიუჟეტი აღწერთ თქვენ და უჩვენებთ ჯერ რა მოხდა, მერე რა მოხდა და ა.შ. წაახალისებთ მოსწავლეს გაიმეორეს სიუჟეტი. (გაითვალისწინებთ სურათის აღწერის ზემოთ მოყვანილი პრინციპები და რეკომენდაციები);

- ✓ წაახალისებთ აზრისა და ტექსტის გადმოცემა სიუჟეტური სურათის გარეშე. დაავალეთ მოსწავლეს ყურადღებით მოისმინოს ტექსტი და ზემოთ მოყვანილი სტრატეგიებით სცადოს აზრის გადმოცემა. მასწავლებელს ამ შემთხვევაში ევალუა შეკითხვების სწორად ფორმულირება (გამომდინარე დასახული მიზნიდან და მოსწავლის შესაძლებლობებიდან). როგორც ითქვა, შეკითხვები შესაძლებელია იყოს დახურული (მოითხოვდეს „კი“ და/ან „არა“ პასუხს): საპასუხოდ მოითხოვდეს ერთ სიტყვიან პასუხს არსებითი სახელის, ან მოქმედების დასახელებით; ორ სიტყვიან პასუხს ზედსართავების გამოყენებით; სრულ პასუხს. მასწავლებელმა ასევე უნდა მოახერხოს მოსწავლის წახალისება, რათა ერთი აზრობრივი ერთეულიდან შემდეგზე გადავიდეს.

• **წაახალისებთ მოსწავლის არსებული სიტყვათა მარაგის გამდიდრება.**

- ✓ მოსწავლის არსებული სიტყვათა მარაგის გამდიდრების მიზნით, შესაძლებელია არსებული სიუჟეტური სურათების გამოყენება და მოსწავლისთვის უცნობი სიტყვის გამოსახულებებზე ყურადღების გამახვილება. სიტყვებს, რომლებიც ბავშვმა არ იცის ჩვენ ვუჩვენებთ და ვეუბნებით.
- ✓ ყოველდღიურად იმუშავებთ ბავშვის ლექსიკონის გამდიდრებაზე. აუხსენით ყოველი ახალი სიტყვის მნიშვნელობა და შეეცადეთ ბევრჯერ გამოიყენოთ იგი დღის განმავლობაში სხვადასხვა კონტექსტში.



• **წაახალისებთ მოსწავლეს ლოგიკურ – გრამატიკული სტრუქტურების სწორად გამოყენებაში.**

- ✓ ლოგიკო-გრამატიკული კონსტრუქციების სწორად გამოყენების მიზნით, ავარჯიშებთ მოსწავლეს სივრცით მიმართებებზე. მაგ. ბავშვებმა უნდა ჩამოთვალონ ყველაფერი რაც ზემოთ არის: ცა, მზე, ვარსკვლავები, ქერი, თავი და ა.შ; გამოიყვანეთ ხუთი ბავშვი დაფასთან და სიმაღლის მიხედვით დააყენეთ რიგში. დანარჩენებმა უნდა გიპასუხონ ვინ არის პირველი, ვინ არის შუაში, ბოლოში, ვინ არის გიგის და მარიკას შორის და ა.შ;
- ✓ გაავარჯიშებთ მოსწავლეს სივრცითი მიმართებების წვდომაში სიუჟეტური სუ-

რათების გამოყენებითაც: მიაწოდეთ მოსწავლეს ბარათი და სთხოვეთ გაჩვენოთ ის, ვინც ზის სახლის წინ, მოჩანს მაგიდის ქვეშ და ა.შ. მას შემდეგ, რაც მოსწავლე უშეცდომოთ მოახდენს მითითებებს, კითხვა იმგვარად დაუსვით, რომ პასუხი ლოგიკი-გრამატიკული კონსტრუქციის გამოყენებას მოითხოვდეს: მაგ. სად ზის ძაღლი? მან უნდა უპასუხოს – მაგიდის ქვეშ.

- ნაახალისეთ მოსწავლე ახალი ცნებების ათვისებასა და კატეგორიების დასწავლაში.



✓ ახალი კატეგორიების ასათვისებლად გამოიყენეთ შესაბამისი კატეგორიის საგნების გამოსახულებები. მაგ. ქალაქში დახატული (დანებებული) ცხოველების და ფრინველების ნახატები. სთხოვეთ ბავშვს ხაზებით შეაერთოს ქალაქში მიმოფანტული ერთი კატეგორიის საგნები. მაგ წითელი ფანქარი მიაწოდეთ და სთხოვეთ შეაერთოს ცხოველები, შავი ფანქრით კი დაავალეთ ტანსაცმლის შეერთება. სავარჯიშოს შესრულების პარალელურად გაახმოვანეთ მოცემული კატეგორია: „ძაღლი ცხოველია, ძროხაც ცხოველია, ამიტომაც ჩვენ ისინი შევაერთეთ“, ეს მას მოგვიანებით კატეგორიების დასახელებაში დაეხმარება.

✓ მას შემდეგ რაც ბავშვი ერთი კატეგორიის საგნების დაჯგუფებას უშეცდომოდ მოახერხებს, ნაახალისეთ კატეგორიის დასახელება. ჰკითხეთ ბავშვს, რა ჰქვია ყველა ამ საგანს?

- ✓ ახალი ცნების წვდომის მიზნით, ათამაშეთ კლასი „მიხვედრობანა..“ აღუწერეთ რაიმე ნივთი და სთხოვეთ ბავშვებს გამოიცნონ, თუ რა ნივთი ჩაიფიქრეთ თქვენ. მაგ. დაახასიათეთ და აღწერეთ ტელეფონი – აქვს ლილაკები, შეგვიძლია დავრეკოთ და სხვას ვესაუბროთ. შემდეგ ბავშვებსაც სთხოვეთ გააკეთონ იგივე. მსგავსი სავარჯიშო ძალიან სასარგებლო იქნება, როგორც მეტყველების დარღვევების მქონე ბავშვისთვის, ასევე მთელი კლასისთვის.
- ✓ ცნების წვდომის მიზნით, განიხილეთ საგნები მსგავსი და განსხვავებული ნიშნის მიხედვით. დაახასიათეთ რითი გავს და რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგ. ბურთი-ბორბალი, ვაშლი-მსხალი და ა.შ. ეს სავარჯიშოც ძალიან სასარგებლოა მთელი კლასისთვის.

მეტყველებისა და თხრობის უნარების გავარჯიშების შემთხვევაშიც, მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგი მოსწავლესთან იგივე საგაკვეთილო თემას ამუშავებდეს, რასაც დანარჩენ მოსწავლეებთან. თუმცა, როგორც ნინა თავში ითქვა, დასაშვებია, მოსწავლის უნარების, მისი სიტყვათა მარაგის და/ან მეტყველების სხვა თავისებურების გათვალისწინებით, საგაკვეთილო თემის მოდიფიკაცია – გამარტივება, უცხო სიტყვების ნაცნობი სიტყვებით ჩანაცვლება, რთული წინადადებების შემოკლება, ტექსტის მეორეხარისხოვანი დეტალების გამოტოვება და ა.შ.

**■ მათემატიკური უნარები და რეკომენდაციები  
მათი განვითარებისთვის**

**● როგორ დავადგინოთ მათემატიკური უნარების დარღვევები**

მათემატიკური უნარების დარღვევებზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ მაშინ, როდესაც მოსწავლე ავლენს სირთულეებს რამდენიმე მათემატიკური ოპერაციის შესრულების დროს. მაგალითად, თუ მოსწავლეს უჭირს სხვადასხვა მათემატიკური ცნებების (მაგ. მეტი-ნაკლები) გაგება და მასთან მუშაობა ან აქვს სირთულეები მათემატიკური სიმბოლოებისა და ნიშნების იდენტიფიკაციისას, მოსწავლეს შესაძლოა მათემატიკური უნარების დარღვევა ჰქონდეს. მათემატიკური უნარების დარღვევასთან გვაქვს საქმე, თუ მოსწავლეს არ შეუძლია ისწავლოს თვლა, გამრავლების ტაბულა, მიმატება-გამოკლება. მათემატიკური უნარების დარღვევას ზოგჯერ დისკალკულიასაც უწოდებენ.

თუმცა, ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ აღწერისა და დაკვირვების საფუძველზე დავსვათ დიაგნოზი – დარღვევა ან დისკალკულია. აუცილებელია მოსწავლის ფსიქოლოგიური ტესტირება, დიაგნოზის დადგენა და მასწავლებელთან ერთად, მოსწავლის მათემატიკური უნარების განვითარების სტრატეგიების შემუშავება.

**● რამდენიმე ეფექტური სტრატეგია მათემატიკური უნარების განვითარებისთვის**

1. წაახალისეთ მოსწავლეები, რომ მათ მათემატიკური ოპერაციების „ვიზუალიზაციაზე“ იმუშაონ. დაუხატეთ ან დაახატინეთ ნახატი, რომელიც მათ პრობლემის გაგებაში დაეხმარება. დარწმუნდით, რომ მათ ნამდვილად გაიგეს ამოცანა ნახატის მეშვეობით. გამოიყენეთ ყველანაირი გრაფიკული, თუ დახატული გამოსახულებები მათემატიკური პრობლემის მოსწავლისთვის ასახსნელად.
2. წააკითხეთ მოსწავლეს მათემატიკური ამოცანა ხმამაღლა და სთხოვეთ ყურადღებით უსმინოს საკუთარ თავს. ეს დაეხმარება სმენითი უნარის გამოყენებაში, რაც თავისთავად შესაძლოა ბავშვის ძლიერ მხარეს წარმოადგენდეს.
3. მოიმარაგეთ მაგალითები და ეცადეთ, რომ მაგალითები მოსწავლის სინამდვილეს შეესაბამებოდეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებით, მათემატიკის უნარების განვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის სწავლის შედეგების განსაზღვრებაში.

4. მოამარაგეთ უმცროს კლასელი მოსწავლეები დიდუფრედებიანი რვეულე-ბით, რათა მათ არ გაუჭირდეთ რიცხვების უფრებში მოთავსება.
5. გაუკეთეთ მოსწავლეს ინდივიდუალური რვეულები., მისი შესაძლე-ბლობების შესაბამისი მაგალითებით. რვეულები არ უნდა იყოს გა-დატვირთული ვიზუალური ინფორმაციით და უნდა ემსახუროდეს მათემატიკური ამოცანის გაგებასა და გადანყვეტას.
6. მათემატიკური უნარების დარღვევის მქონე ბავშვები საჭიროებენ დიდ დროს მათემატიკური წესებისა და ფაქტების დამახსოვრებისთვის. ხშირი გამეორება აუცილებელია. გამოიყენეთ მუსიკა ან რითმები წე-სებისა და თვლის უკეთ ასათვისებლად.
7. მათემატიკური უნარების დარღვევის მქონე ბევრი ბავშვი საჭიროებს ინდივიდუალურ მეცადინეობას გარკვეული უნარების ასათვისებლად. ამეცადინეთ ბავშვი ინდივიდუალურად გაკვეთილების შემდეგ ან გაათა-ნეთ დავალებები შესასრულებლად ბავშვის მშობელს სახლში.
8. ახალი მასალის მიწოდებისას დარწმუნდით, რომ მასალა ისე და იმდენ-ჯერ ახსენით, რომ მათემატიკური უნარების დარღვევის მქონე ბავშ-ვმა ის გაიგო, ჩანერა და ახლა შეუძლია თქვენ აგისხნათ.
9. თუ შესაძლებელია, მათემატიკის საკონტროლო დაანერინეთ ბავშვს მისი შესაძლებლობების შესაბამისად, გამარტივებული ვერსიით.
10. მიეცით მეტი დრო საკონტროლო წერისთვის. ამოცანების ამოხსნისას ყურადღებით დააკვირდით ბავშვს, ხომ არ ეწყება პანიკა ან „ტვინის გაყინვა“ ნერვიულობისგან.
11. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღივსეთ მოთმინებით! არასოდეს და-გავინყდეთ, რომ მოსწავლეს ძალიან უნდა სწავლა და კარგი ნიშ-ნების მიღება. გახსოვდეთ, რომ მათემატიკა შესაძლოა ტრავმატული გამოცდილების წყარო იყოს გაუთავებელი წარუმატებლობის გამო. მცირედმა გაუგებრობამ ან მოულოდნელმა სირთულემ შესაძლოა მო-სწავლის საოცრად მძაფრი ემოციური რეაქცია გამოიწვიოს. ამ დროს მას შეცოდებით და მოფერებით ვერ დაეხმარებით, არამედ მხოლოდ მოთმინებით და მისი საჭიროებისადმი ინდივიდუალური მიდგომით.

## ■ მოტორული უნარები და სავარჯიშოები მათი განვითარებისთვის

როგორც ცნობილია, მოტორული უნარების განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ბავშვის განვითარებისთვის. მოტორული უნარი ეს არის ბავშვის შესაძლებლობა განახორციელოს და აკონტროლოს საკუთარი მოძრაობა სხვადასხვა კუნთების გამოყენებით ყოველდღიური აქტივობების განხორციელებისას, თამაშისას, მეცადინეობისას და თვითმოვლისას. მოძრაობის პროცესში ბავშვი შეიმეცნებს სამყაროს, ეცნობა ფორმებს, სიდიდეს, მანძილს. ყველა უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციის განვითარება პირდაპირ კავშირშია ბავშვის მოტორულ განვითარებასთან. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ



მოსწავლის აკადემიური უნარების (წერა, არითმეტიკა და სხვა) განვითარება უშუალოდ ეფუძნება მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარების განვითარებას და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას.

დანეციბით კლასებში ბავშვის მოტორული მოქნილობა, უნარები და შესაძლებლობები ასევე უკავშირდება მის თვითშეფასებას. თანატოლებში ის ბავშვია პოპულარული და შესაბამისად უფრო თავდაჯერებული, რომელიც კარგი ფიზიკური შესაძლებლობით გამოირჩევა. ხშირ შემთხვევაში, საკუთარი სხეულის და მოძრაობების ფლობა, თავდაჯერებულობის და ნამატების საფუძველია.

შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია სკოლამ მაქსიმალურად ხელი შეუწყოს მოტორული უნარების განვითარებას თავის მოსწავლეთა შორის, სწორედ ამას ემსახურება სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მოსწავლის მსხვილი და ნატიფმოტორული უნარების გაუმჯობესებაზე/გავარჯიშებაზე ზრუნვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. როგორც ცნობილია, ესა თუ ის სამედიცინო დიაგნოზი, მაგალითად ისეთი, როგორცაა ბავშვთა ცერებრული დამბლა, სწორედ მოტორული უნარების განვითარების შეფერხებით ხასიათდება; ასევე ხშირია ნატიფმოტორული უნარების განვითარების შეფერხება სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეებთანაც. ამ შემთხვევაში, სასურველია მოსწავლესთან დამატებითი სარეაბილიტაციო კურსის რეკომენდირება მოტორული უნარების განვითარების თვალსაზრისით, ან დამატებითი სავარჯიშოების გამოყენება რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობებისას.

**განასხვავებენ მსხვილ და ნატიფ მოტორულ უნარს.**

**მსხვილი მოტორული უნარები** – ეს არის დიდი ამპლიტუდის მოძრაობა, კერძოდ მსხვილი კუნთების მოძრაობის კონტროლირების უნარი, როგორცაა სხეულის მდგომარეობის შენარჩუნება სხვადასხვა პოზაში, ჯდომა, დგომა, სიარული, სირბილი, კიდურების დიდი ამპლიტუდით ამოძრავება, კისრისა და თავის ქერა და ა.შ.

**ნატიფი მოტორული უნარები** – ეს მცირე ამპლიტუდის მოძრაობაა, კერძოდ თვალის კუნთების ფაქიზი და ხელის მტევნის, კერძოდ თითების ფალანგების წვრილი მოძრაობები საგანთა ასაღებად, დასაჭერად, წერისას, ხატვისას და ა.შ.

ნატიფი მოტორული უნარების განვითარება უშუალოდ ეფუძნება უხეში მოტორული უნარების განვითარებას. ბავშვი ჯერ ეუფლება დიდი ამპლიტუდის მოძრაობებს და შემდეგ უვითარდება ხელის ნატიფი მოძრაობები. თუ მოსწავლეს ჯდომის არასწორი პოზა აქვს ან დარღვეულია ზემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი, ძალიან გაუჭირდება ხელის მტევნების გამოყენება ნატიფი მოტორული აქტივობების შესასრულებლად წერისას, ხატვისას, ხელგარჯილობისას, ან თუნდაც ჩაცმისას, სასკოლო ჩანთის გახსნისას და ა.შ.

**სავარჯიშოები ნატიფ-მოტორული უნარების განვითარებისთვის**


- ითამაშეთ პლასტილინით, დაავალეთ მოსწავლეს პლასტილინის ხელ-


ში დარბილება, ნაახალისეთ მისცეს პლასტილინს სხვადასხვა ფორმა, დააგრძელოს, დაამრგვალოს, დაანანევროს, გააბრტყელოს, დატოვოს პლასტილინზე ყოველი თითის ანაბეჭდი.

ნაახალისეთ მოსწავლე, რომ თამაშის დროს ჩართოს ორივე ხელი, შესაძლებელია, ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა, მოგვიანებით კი ორივე ხელი ერთად;

- ითამაშეთ მოზაიკით. შესაძლებელია განსხვავებული სიდიდის მოზაიკების გამოყენება. მოზაიკის ზომა შეარჩიეთ მოტორული უნარის და მიზნის გათვალისწინებით. რაც უფრო მცირე ზომისაა მოზაიკა, მით უფრო მეტად განვითარებულ მოტორულ უნარებს მოითხოვს ის. ამ შემთხვევაშიც სასურველია, ორივე ხელის ჩართულობის ნახალისება, მოზაიკის ხელების მონაცვლებით მოთავსება ნახვრეტებში. გარდა ნატიფმოტორული უნარის განვითარებისა, მოზაიკა, შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვა უნარების განვითარების მიზნითაც. მაგ. მოსწავლეს დავავალოთ ფერად მოზაიკებს შორის მხოლოდ წითელი და მწვანე ფერის მოზაიკების ამორჩევა (მიზანი: ფერების გარჩევა); მოზაიკის ჩარჭობასთან ერთად, ითვალოს ნახვრეტები (მიზანი: ხუთამდე გადათვლის სწავლება) და ა.შ;
- აქტიურად ჩართეთ მოსწავლე ხელგარჯილობის გაკვეთილებში. თუკი მაკრატლის მოხმარება სირთულეს წარმოადგენს, დაავალეთ ფერადი ქალაქის ხელით დაქუცმაცება და ერთად გააკეთეთ კოლაჟი;
- ორივე ხელით, (შესაძლებელია ერთი ხელითაც) დაავალეთ ქალაქის დაჭმუჭნა და ბურთის გაკეთება;
- გოგონას დაავალეთ სხვადასხვა ზომის მძივების თოკზე აცმა (შესაბამისად შეარჩიეთ მძივის ზომა და თოკის სისქე), ბიჭს სთხოვეთ კონსტრუქტორის დაშლა, ბოლტების მოხსნა, მიმაგრება და ა.შ;
- დაავალეთ მოსწავლეს თითით ნაშალოს დაფაზე ცარციით დაწერილი სხვადასხვა მიმართულების ხაზები, დაფიდან თითის აულებლად; მოგვიანებით გამოიყენეთ სველი ფუნჯი და მოსწავლეს ფუნჯის საშუალებით სთხოვეთ ფიგურების და ხაზების ნაშლა, ნაახალისეთ კონტური ფუნჯის ერთი მოსმით ნაშალოს. (ეს აქტივობა სასარგებლოა არა მხოლოდ ნატიფმოტორული უნარის განვითარებისთვის და თვალისა და ხელის კოორდინაციის გავარჯიშებისთვის, არამედ ფორმის, მიმართულების შემეცნებისთვისაც);

- დაავალეთ მოსწავლეს ხაზების დაავლებული მიმართულებით გავლება, ამისათვის შესაძლებელია სიუჟეტური სურათების გამოყენება (ბურთი და კალათა; ლაბირინთი; ისარი და სამიზნე; კატა და რძე; მანქანა და სერპანტინი და ა.შ.).





მოსწავლეს დაავალეთ ჯერ საჩვენებელი თითი გაავლოს მითითებული მიმართულებით, ისე რომ ხაზს და კონტურს არ გადასცდეს, შემდეგ კი საწერი საშუალება გამოიყენოს;

- დაავალეთ მოსწავლეს ხაზების თქვენს მიერ დახატულ წყვეტილ ხაზებზე, ან წერტილებზე გადატარება. ხაზები შესაძლებელია იყოს კლაკნილი, კუთხოვანიც. ხაზები და ფიგურები შეარჩიეთ სირთულის მიხედვით;

- ითამაშეთ ასანთის ღერებით ან საანგარიშო ჩხირებით (ბავშვი წახალისეთ თავად გახსნას ყუთი, შეაგროვოს გაფანტული ჩხირები). წახალისეთ მოსწავლე სხვადასხვა სირთულის კონსტრუქციების შესასრულებლად.

### ■ მოსწავლის თვითშეფასება

მოსწავლის თვითშეფასება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ღირებულია იგი გარშემო მყოფთათვის, რამდენად აღიარებულია მათ მიერ, რამდენად უყვართ იგი და რამდენად მიღებულია იგი სკოლასა და სახლში. ეს ყოველივე საკუთარი თავის ღირებულების შეგრძნებას აყალიბებს და შესაბამისად უზრუნველყოფს საკუთარი თავის დადებითი ხატის ჩამოყალიბებას ბავშვებში. ყოველივე ზემოთ თქმული ერთნაირად მართალია ყველა ბავშვის შემთხვევაში, მაგრამ განსაკუთრებით მწვავედ დგება ეს საკითხები მაშინ, როდესაც ბავშვი საკუთარი განვითარების ფორმით განსხვავდება უმრავლესობისგან.

ცნობილია, რომ როდესაც ბავშვები კარგი წარმოდგენისა არიან საკუთარ თავზე, ისინი უკეთეს შედეგებს აღწევენ სწავლაში. მასწავლებლებისა და მშობლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია შესძლონ ბავშვს განუვითარონ საკუთარი თავის რწმენა, შექვებით, მხარდაჭერით და წახალისებით მიმართონ ბავშვი წარმატებაზე და შეუქმნან მას განწყობა – „მე ამას შევძლებ“, „მე გამომივა“. ბავშვის ამგვარი განწყობა გვეხმარება მისი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მოტივაციის გაზრდაშიც. ბავშვის თვითშეფასების ამალღების რამდენიმე გზა არსებობს:

- უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც ვცდილობთ ბავშვს საკუთარი თავის რწმენა გავუჩინოთ, ძალიან ფრთხილად უნდა შევარჩიოთ მისი შექვების, წახალისების ფორმები. სასურველია, რომ შექვების ობიექტი იყოს არა ბავშვი (მაგ. რა კარგი ბიჭი ხარ), არამედ კონკრეტული სასწავლო ან ქცევითი მიზანი, რომელსაც ბავშვმა უნდა მიაღწიოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავი აარიდეთ ისეთ შექვებას როგორცაა: „მე ვამაყობ შენით, კარგი ბიჭი ხარ ან ყოჩად, დღეს ბევრი იმუშავე“. გაცილებით უფრო ეფექტური სტრატეგიაა, როდესაც ჩვენ ვაქვებთ, სა-

განგებოდ აღვნიშნავთ ან წავახალისებთ ბავშვის მონდომებას ან დავალების შესრულების სტრატეგიას. მაგ. „მე შევამჩნიე, რომ შენ დღეს სახაზავი გამოიყენე სწორი ხაზის გასავლებად. ეს ძალიან ჭკვიანური გადაწყვეტილება იყო და შესაბამისად ყველა ხაზი სწორი და ლამაზი გამოგივიდა!“ ან „მე ყურადღება მივაქციე, რომ დღეს შენ არც ერთი შეცდომა არ დაგიშვია მიმატებისას!“ როდესაც ჩვენ ამგვარ შექებასა და წახალისებას ვიყენებთ ჩვენ ვაძლიერებთ როგორც ბავშვის საკუთარი თავის რწმენას, ასევე აკადემიური მიღწევების მოტივაციასაც.

- იმ მიზნით, რომ ბავშვებს უფრო მეტად მოეწონოთ საკუთარი თავი, ბავშვის ყურადღება უმჯობესია მხოლოდ მის დადებით და ძლიერ მხარეებზე გავამახვილოთ, რამეთუ ბავშვები დაბალი თვითშეფასებით, ძირითადად, უარყოფითზე არიან ფოკუსირებულნი: „მე ეს არ გამომივა, არ ვიცი როგორ გავაკეთო, მე მეგობრები არ მყავს და ა.შ.“
- ბავშვებს სისტემატურად უნდა მივცეთ შესაძლებლობა დააფიქსირონ საკუთარი ძლიერი მხარეები და დადებითი თვისებები. მაგ. მიეცით მოსწავლეს დავალება დაგისახელოთ 10 თვისება, რომელიც მას ყველაზე მეტად მოსწონს საკუთარ თავში. ჩამოთვლისას უკარნახეთ მას და გაახსენეთ აქტივობები, რომელიც მას კარგად გამოსდის. სამწუხაროდ დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვებს როგორც წესი ძალიან უჭირთ საკუთარ თავზე კარგის თქმა და თქვენ ხშირად დაგჭირდებათ კარნახი. მაგ. ნინიკო კარგად წერს; ნინიკომ ბევრი ლექსი იცის და ა.შ.
- ყველაზე მძაფრად და მტკივნეულად დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვები კრიტიკაზე რეაგირებენ. ამიტომ შეეცადეთ თავი აარიდოთ კრიტიკას და არ მისცეთ ბავშვს ბევრი შენიშვნა.
- ყოველთვის ეცადეთ, რომ ბავშვმა დავალების შესრულებისას დაშვებული შეცდომები თქვენთან ერთად გააანალიზოს და განიხილოს როგორც ახალი გაკვეთილი და არ წარუმატებლობა. შეცდომებზე ხომ ყველანი სწავლობენ! ამგვარი მიდგომა ეხმარება ბავშვს აქცენტი პოზიტიურ მხარეზე გააკეთოს და არა ნეგატიურზე. ყოველთვის გაახსენეთ ბავშვებს, რომ შეცდომებს ყველა უშვებს, მაგრამ ჭკვიანია მხოლოდ ის ვინც საკუთარ შეცდომებზე სწავლობს.



## ტერმინთა განმარტება

**ადაპტაცია** – ადაპტირებული საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარული სასწავლო პროგრამის სასწავლო შედეგებს ინარჩუნებს და ისეა მიწოდებული, რომ მოსწავლეს შეუძლია პროგრამაში ჩართვა. ადაპტაცია სწავლებისა და შეფასების სტრატეგიას წარმოადგენს, რომელიც მოსწავლეთა განსაკუთრებული საჭიროებების საპასუხოდ არის შემუშავებული და შესაძლებელია მოიცავდეს ალტერნატიულ ფორმატს (მაგ. ბრაილი, კასეტაზე ჩანერილი წიგნები), ინსტრუქციის სტრატეგიებს (მაგ. თარჯიმნების, თვალსაჩინოებების გამოყენება) და შეფასების პროცედურებს (მაგ. ზეპირი გამოცდები, დამატებითი დრო, დამხმარე ტექნოლოგიები). მოსწავლეები, რომლებიც ადაპტირებული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლობენ კურსის/პროგრამის სტანდარტების შესაბამისად ფასდებიან და იღებენ საჭირო კრედიტს.

**ადრეული სკრინინგი და იდენტიფიკაცია** – ადრეული სკრინინგის მიზანია დაავადების, თუ დარღვევის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა და დადგენა, ანუ მისი იდენტიფიკაცია. ეს კი შესაბამისად უზრუნველყოფს ადრეულ ინტერვენციას, ანუ ჩარევას და პროცესის მართვას მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

**აკადემიური მოსწრება** – აკადემიური მოსწრება (აკადემია ბერძნულად სამეცნიერო დაწესებულებას ნიშნავს) არის სასწავლო პროცესის მოცემულ ეტაპზე მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგების შეჯამებული შეფასება საგნობრივი პროგრამებით გათვალისწინებული მოთხოვნებით. აკადემიური მოსწრების განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება მოსწავლის დისციპლინარული დახასიათება და ის პიროვნული თვისებები, რომელთა განვითარებაც არ არის საგნობრივი პროგრამის მიზანი.

**აუტიზმი** – ბავშვს პრობლემები აქვს სოციალურ განვითარებაში, ქცევაში, მეტყველებაში, ვერ ამყარებს ურთიერთობას თანატოლებთან. აუტიზმის მძიმე ფორმას ახასიათებს გარემოს მიმართ გულგრილობა.

**ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგია** – ეს არის განათლების მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება უპირატესად მოსწავლის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე. ამ მიდგომას დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო გეგმის შექმნის და ჩამოყალიბების პროცესში.

**ბრაილის შრიფტი** – ეს არის მხედველობის არ მქონე პირებისათვის შექმნილი შრიფტი ფრანგი ტიფლოპედაგოგის, ლუი ბრაილის მიერ.

**გონებრივი ჩამორჩენილობა** – ფსიქიკური განვითარების დარღვევის ფორმაა. აღნიშნული მდგომარეობა აღმოცენდება ადრეულ ასაკში და მთელი ცხოვრების მანძილზე ახდენს გავლენას ადამიანის ფსიქიკურ განვითარებასა და ჩვევების ჩამოყალიბებაზე. ამერიკის გონებრივი ჩამორჩენილობის ასოციაციის (AAMAR) განმარტებით, გონებრივი ჩამორჩენილობა არის მნიშვნელოვანი გადახრა ზოგადი ინტელექტუალური ფუნქციონირების დონიდან, რომელიც ადაპტაციური ქცევის დეფიციტს უკავშირდება და ვლინდება ადამიანის განვითარების პერიოდში. ის ხასიათდება ინტელექტუ-

ალური უნარების დაქვეითებით და ადაპტაციური უნარების (კომუნიკაცია, თვითმომსახურება, სოციალური ჩვევები, სწავლა, მუშაობა, დასვენება, საოჯახო საქმიანობა) ორ ან მეტ სფეროში დარღვევით. **მსუბუქი:** საშუალოზე მნიშვნელოვნად დაბალი ინტელექტი, თუმცა შეუძლია გარემოს სოციალურ მოთხოვნებთან გამკლავება. **საშუალო:** საშუალოზე მნიშვნელოვნად დაბალი ინტელექტი, ესაჭიროება პერიოდული დახმარება. **ძლიერი:** საშუალოზე მნიშვნელოვნად დაბალი ინტელექტი, ესაჭიროება მუდმივი დახმარება, შეუძლია ელემენტარული ჩვევების დასწავლა. **მძიმე:** ძალიან დაბალი ინტელექტი, ესაჭიროება მოვლა და მუდმივი ზედამხედველობა. არსებობს უფრო მძიმე ფორმაც, როდესაც სიმძიმის დადგენა შეუძლებელია.

**დაკავშირებული მომსახურებები** – გულისხმობს სატრანსპორტო, ასევე განვითარების, კორექციულ და სხვა დამხმარე მომსახურებებს, რომლებიც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვისთვის არის რეკომენდებული ინკლუზიური განათლების დროს. ის მოიცავს: ენისა და მეტყველების თერაპიას და აუდიოლოგიურ მომსახურებას; ფესტური ენით თარგმნას და დაქტილის გამოყენებას; ფსიქოლოგიურ მომსახურებებს; ფიზიკურ და ოკუპაციურ თერაპიას; გართობას, თერაპიული აქტივობების ჩათვლით; საკონსულტაციო მომსახურებებს, რეაბილიტაციისა და ფსიქოლოგიური კონსულტაციების ჩათვლით; ორიენტაციისა და გადაადგილების მომსახურებას; სამედიცინო მომსახურებას დიაგნოსტიკისა და შეფასების მიზნით; სკოლებში სოციალური მუშაკის სამსახურებს; მშობელთა კონსულტაციასა და ტრენინგს. მომსახურებების ეს ჩამონათვალი, ამომწურავი არ არის და შეიძლება ასევე სხვა დამხმარე სერვისებს მოიცავდეს (როგორცაა სამსახიობო და კულტურული პროგრამები, ხელოვნების, მუსიკისა და ცეკვის თერაპია), თუ ისინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დასახმარებლად და ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისთვის არის განკუთვნილი.

**დროებითი დამხმარე კლასები** – გულისხმობს მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად, დროებით შექმნილ დამხმარე კლასებს, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ დაძლიონ სწავლის პროცესში აღმოცენებული სირთულეები. მაგ. ჩამორჩენა გარკვეულ საგანში ავადმყოფობისა ან სხვა მიზეზის გამო, დამატებითი მეცადინეობები და სხვ. დამხმარე კლასების არსებობის აუცილებლობა ქრება მაშინ, როდესაც ყველა მოსწავლე დასძლევს სწავლის სირთულეებს.

**დისკრიმინაცია** – (ლათ. Discriminatio, განსხვავება) ნიშნავს ადამიანების უთანასწორო, არასამართლიან მოპყრობას, სხვა ადამიანების ან განსაკუთრებით, რაიმე ნიშნით განსხვავებული ადამიანების ჯგუფის წინააღმდეგ. კერძოდ დისკრიმინაცია შეიძლება იყოს რასობრივი, ეთნიკური, სქესობრივი, რელიგიური და ა. შ.

**დისლექსია** – (ბერძ. dys ნიშნავს მცირეს, lexis – სიტყვებს). დისლექსია ვიწრო მნიშვნელობით – კითხვის უნარის დაქვეითებას, ხოლო ფართო მნიშვნელობით კი – მეტყველებით გაშუალებული დასწავლის უნარის დაქვეითებას ნიშნავს, რომელიც ხასიათდება კითხვის, წერისა და ზეპირი მეტყველების პრობლემებით.

**ინდივიდუალური სასწავლო გეგმა** – არის სასწავლო გეგმა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კონკრეტული მოსწავლისათვის და ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სპეციფიურ საგანმანათლებლო მოთხოვნებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას მასწავლებელი ძირითადად ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას, მაგრამ თუ მოსწავლის შესაძლებლობები არ იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის საშუალებას, მასწავლებელი, სხვა სპეციალისტებთან ერთად, განსაზღვრავს სპეციფიურ შედეგებს და ამ შედეგების მიღწევის განსაკუთრებულ გზას.

**ინკლუზიური განათლება** – ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს ვინ არის პასუხისმგებელი ამ საკითხების კოორდინირებაზე.

**ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდი** – წარმოადგენს სპეციალისტთა გუნდს, რომლის შემადგენლობაში შედიან: ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი და ზოგადი განათლების პედაგოგი. მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა შეიძლება იცვლებოდეს საჭიროებების შესაბამისად. გუნდის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნან: ნევროლოგი, ფსიქიატრი, სურდო-პედაგოგი და/ან ნებისმიერი სხვა სპეციალისტი. სკოლას სასკოლო შტატში შესაძლებელია ყავდეს მუდმივ მოქმედი მულტიდისციპლინური გუნდი. ასევე შესაძლებელია **მობილური მულტიდისციპლინური გუნდების** არსებობა განათლების სისტემის მართვის ორგანოებთან (სამინისტრო, რესურს-ცენტრი).

**ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციები:**

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების იდენტიფიკაცია და შეფასება. მათი ინდივიდუალური საჭიროებების და შესაძლებლობების განსაზღვრა; ბ) შეფასების საფუძველზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის საგანმანათლებლო ინტერესის დადგენა და მშობლისათვის რეკომენდაციის გაწევა საგანმანათლებლო დაწესებულების არჩევისთვის; გ) კონსულტაციების გაწევა სკოლებისთვის: ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მათი სასწავლო პრაქტიკაში ეფექტიანი დანერგვისთვის; დ) სკოლების პრაქტიკული და მეთოდოლოგიური დახმარება ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების პროექტების განხორციელებაში. სკოლაში ინკლუზიური განათლების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ფორმირება. ე) სკოლებში სასწავლო პროცესში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების აკადემიური და სოციალური მიღწევების მონიტორინგი და შეფასება. ინკლუზიური განათლების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა. პრობლემების გადაჭრის ხერხებისა და რეკომენდაციების შემუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება სამომავლო საქმიანობის ეფექტურად

განხორციელებისათვის აუცილებელი ქმედებები. ვ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების მოძიება რესურს ცენტრების, რაიონული პოლიკლინიკებისა და სოც. უზრუნველყოფის განყოფილებებიდან. არსებული მონაცემთა ბაზების შევსება.

**ინტეგრირებული კლასი** – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებით დაკომპლექტებული კლასი, რომელიც სწავლობს სპეციალური კორექციული პროგრამით და მდებარეობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სივრცეში (შენობაში). ინტეგრირებული კლასის მოსწავლეები ჩართულები არიან ყველა სასკოლო აქტივობაში (ექსკურსია, ზეიმი, გამოფენები და სხვ.) სკოლის სხვა მოსწავლეებთან ერთად, გარდა სასწავლო პროცესისა.

**ინტეგრაცია** – ინკლუზიის მიღწევის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიას წარმოადგენს. ინტეგრაციით განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეები თავიანთ თანატოლებთან ერთად, რომლებსაც განსაკუთრებული საჭიროებები არა აქვთ, ჩართულები არიან საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასეთი მოსწავლეები ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით დადგენილი პირობებით არიან უზრუნველყოფილნი, რაც მათ წარმატებულობას განაპირობებს. ინტეგრაცია არის „მოსწავლის სწავლისათვის ყველაზე მეტი შესაძლებლობის მიმწოდებელ საუკეთესო გარემოში მოთავსების“ პრინციპი.

**მაქსიმალურად ხელშემწყობი და ნაკლებად შემზღვეველი სასწავლო გარემო** („Least restrictive environment“) – გულისხმობს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა განათლებას ღებულობს თანატოლებთან ერთად, რომელთაც არ გააჩნიათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სპეციალურ კლასებსა და სპეციალიზირებულ სკოლებში გადანაწილება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებები იმდენად მრავალფეროვანი და მძიმეა, რომ მათი დაკმაყოფილება შეუძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში.

**მოდელიზირებული საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო გეგმა)** — ეროვნული სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, განსხვავებული სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის. მოიცავს იმ სასწავლო შედეგებს, რომელიც რეგულარული სასწავლო გეგმისგან ძირეულად განსხვავდება და სპეციფიურად არის შერჩეული მოსწავლის განსაკუთრებული საჭიროებების მიხედვით.

**ნაწილობრივი ინკლუზია** – გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განსაკუთრებულ საგაკვეთილო განრიგს, რომლის თანახმად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ესწრება მხოლოდ მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკვეთილებს.

**მარგინალური ჯგუფი** – მარგინალობის (ლათ. margin) ცნებით, ჩვეულებრივ, აღინიშნება ის ინდივიდები თუ ჯგუფები, რომელთა ფასეულობები და ქცევის მოდელები ზუსტად და მკაფიოდ არ თავსდება რომელიმე კულტურულ სივრცეში, არამედ ქმნის გარდამავალ საფეხურს ამ სივრცეებს შორის.



**მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება** – მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება არის განათლების მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე. ეს განსხვავდება მასწავლებელზე ფოკუსირებული მიდგომისაგან, სადაც მასწავლებელს აქვს ლიდერის როლი, ხოლო მოსწავლეს პასიური მიმღების როლი. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დროს, მოსწავლე არის აქტიური თავისი სწავლის პროცესში, ხოლო მასწავლებელი მიმართულების მიმცემი. ძველი საგანმანათლებლო პროგრამები და სტანდარტები გათვლილი იყო მეტწილად, ეგრეთ წოდებულ „საშუალო მოსწავლეზე“. ეს იმას ნიშნავდა, რომ საშუალო აკადემიური მოსწავლის მოსწავლეს უნდა შესძლებოდა სტანდარტის მოთხოვნების შესრულება. ასეთი მიდგომა გულისხმობდა, რომ მოსწავლეების ნაწილი ვერ შეასრულებდა სტანდარტს და შესაბამისად, საგანმანათლებლო სივრცის გარეთ ხვდებოდა. ძველი საგანმანათლებლო პროგრამები ასევე პრაქტიკულად განათლების გარეშე ტოვებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა მოქალაქეებს და შესაბამისად, გზას უკეტავდა მათ შემდგომი განვითარებისთვის.

ეროვნული სასწავლო გეგმა ორიენტირებულია უკლებლივ ყველა მოსწავლეზე. სტანდარტში მოცემული ყველა შედეგი მიღწევადია თითოეული მოსწავლისთვის, თუმცა ყველა მოსწავლე, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარი ხარისხით აღწევს ამ შედეგებს.

**რესურს ოთახი** – არის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სივრცეში არსებული ოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების ყველა აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით: ადაპტირებული ავეჯი, მრავალფეროვანი თვალსაჩინო სასწავლო მასალა, აუდიო-ვიდეო აპარატურა, კომპიუტერი, პრინტერი, ქსეროქსი. რესურს ოთახს ემსახურება სკოლის ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი და ყველა ის მასწავლებელი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ინკლუზიური განათლების პროცესში მონაწილეობს. რესურს ოთახი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საგაკვეთილო განრიგის შემადგენელი ნაწილია, სადაც მათ შესაძლებლობა ეძლევათ საჭიროებისამებრ დაისვენონ, ინდივიდუალურად და/ან ჯგუფურად იმეცადინონ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის რესურს ოთახში ყოფნის ინტენსივობას მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრავს.

**სასწავლო მიზანი** — სასწავლო მიზანი არის მოსწავლის/სტუდენტისთვის წინასწარ განსაზღვრული შედეგი და ახლი გამოცდილება. იგი მოიცავს მოსწავლეთა უმრავლესობის მიერ ასათვისებელი ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების ერთობლიობას.

სასწავლო მიზნებს განსაზღვრავს მასწავლებელი ან საგანმანათლებლო დაწესებულება, სასწავლო პროცესის ნებისმიერი მონაკვეთისთვის (გაკვეთილი, კვირა, ტრიმესტრი, სასწავლო წელი, სწავლის საფეხური და სხვა). სასწავლო მიზნების განსაზღვრა ეფუძნება მოსწავლეთა



მისწრაფებების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების ანალიზის შედეგებს. გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური თუ ფსიქიკური მონაცემები, ასევე ასაკის შესაფერისი შესაძლებლობები და ასაკის შესაფერისი ინტერესები.

სასწავლო მიზნები, საზოგადოდ, განსაზღვრავს სასწავლო გეგმებს. საქართველოში საჯარო სკოლების სასწავლო მიზნები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ხოლო მასწავლებლის მიერ დასახული სასწავლო გეგმები – სკოლის სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განისაზღვრება.

**სოციალური უნარ-ჩვევები** – სოციალური უნარ-ჩვევები არის იმ უნარ-ჩვევათა კრებული, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა თანაარსებობას. სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას საფუძვლად უდევს სოციალური შემეცნება. ეს არის ადამიანის ცოდნა მეორე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის აზრების, გრძნობების და განზრახვების შესახებ. სოციალურ შემეცნებას აქვს უდიდესი ზეგავლენა იმაზე, თუ როგორი მიმართება ჩამოუყალიბდება ბავშვს სხვა ბავშვებისა და უფროსებისადმი; როგორ განუვითარდება მას სხვისი პატივისცემის და ურთიერთგაგების ჩვევები.

**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე** — მოსწავლე, რომელსაც განსხვავებული და სპეციფიური სასწავლო მოთხოვნები გააჩნია და განსხვავებულ სასწავლო სტრატეგიისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას საჭიროებს სკოლის მხრიდან. განსაკუთრებული საგანმანათლებლო მოთხოვნებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლედ ითვლება:

1. შეზღუდული შესაძლებლობებისა და შეფერხებული განვითარების მქონე მოსწავლეები;
2. სწავლის უნარის დაქვეითებისა და სოციალური ჩამორჩენის მქონე მოსწავლეები;
3. ყველა ის მოსწავლე, ვინც სკოლიდან და სასწავლო პროცესიდან გარიყულია.

**სრული ინკლუზია** – გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგაკვეთილო განრიგს, რომლის თანახმადაც იგი ესწრება ყველა გაკვეთილს.

**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი (მოსწავლე)** – ყველა ბავშვი რომელიც ხასიათდება: 1. ფიზიკური და გონებრივი განვითარების დარღვევით; 2. მხედველობისა და სმენის დარღვევით; 3. მეტყველების, ქცევისა და ემოციური განვითარების დარღვევით; 4. რომელთაც აქვთ გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება; 5. რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობებს; 6. რომლებიც არიან სოციალურად დაუცველნი და 7. რომელთაც სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვა ემუქრებათ.

**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის იდენტიფიკაცია და შეფასება** – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის იდენტიფიკაცია გულისხმობს ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევისა და სწავლის სირთულეების აღმოჩენასა და დადგენას, ხოლო

შეფასება გულისხმობს ამ დარღვევების ბუნების, ხარისხისა და მიზეზების განსაზღვრას.

**სპეციალიზირებული სკოლა** – სკოლა, რომელიც ახორციელებს სპეციალურ და კორექციულ საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა სააღმზრდელო საქმიანობას.

**სპეციალური პედაგოგი** – არის უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგი, რომელიც ზედმინვენით კარგად იცნობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა აღზრდის, განვითარების, განათლებისა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის საკითხებს. სპეციალურ პედაგოგს შეუძლია ფსიქო-პედაგოგიური სწავლების ტექნიკების პრაქტიკაში გამოყენება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების პედაგოგიური შეფასება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა. აგრეთვე სპეციალური პედაგოგის ფუნქციაა დახმარება აღმოუჩინოს და ასისტირება გაუწიოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ინკლუზიური განათლების პროცესში.

**სტერეოტიპული ქცევა** – არის განმეორებითი მოძრაობა, მდგომარეობა ან სიტყვების გამოცემა, რომელიც დამახასიათებელია გონებრივი ჩამორჩენილობის, აუტიზმის და სხვა ზოგიერთი დარღვევისათვის. სტერეოტიპული ქცევა შეიძლება იყოს ისეთი მარტივი მოძრაობა, როგორცაა სხეულის რწევა-ქანაობა ან ისეთი კომპლექსური, როგორცაა საკუთარი თავის მოფერება, ფეხების გადაჯვარედინება და/ან ადგილზე სვლა, მოძრაობა.

